



63



1854  
2016

# სამთავროს მანუქლოვანი

სამთავროს მწიფა ნინოს ღვლთა-მონასტრის კარიკულული გამოცემა,  
(გამოდის 2010 წლის 5 ივნისიდან)

15 სექტემბერი 2016. №3-4 (24-25)





გულითადად მიესალმებით სამაიეროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის შერეულ ღია სასწავლებელი „მაცელიანის“, – გამოცემას. მოხარულნი ვიქნებით, თუ მისი შემდგენელი შეტყუებუნი, მკითხველს გააცნონ საქართველოში დაცული სიწმინდენი, ზურ-მონაზურერი ცხოვრების სიღრმე, აზრი და მნიშვნელობა, ის, თუ რა არის ჩვენი უროვნული ფასეულობანი, როგორია ჩვენი ტრადიციები, ისტორია, ეთნოგრაფიული თავისებურებანი, ჩვენი ხალხური სიბრძნე.

ეს ჟურნალე დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი საზოგადოების ხელური და ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათში ჭეშმარიტების ვხიო ხელის სურვილის გაღვივებას.

დმტრომ და წმინდა ნინომ დილოცოს „მაცელიანის“ გამოცემულნი და მკითხველნი.

დმტრომ დილოცოს სრულიად საქართველო.

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

25 მისი 2010 წელი

© ვველა სააიეტორო უფლება დიკუღლია. ჟურნალ „სამაიეროს მაცელიანის“ გამოქვეყნებული ტექსტებისა და ფოტომისილის გამოყენება აკრძალულია რედაქციის ნებართვის გარეშე.

ISSN 1987-5207

შპს (UDC) 27 + 271.2

8 – 407

	<b>სსაშხმბრდ</b> შუაგან-საზოგადოებრივი საბიბლიოთეკო სისტემა	მისამართი რეგისტრაციის № 3-4 (24-25)
	მისამართი რეგისტრაციის № .....	მისამართი რეგისტრაციის № .....
დასახელება: ქუჩისა და მუყაროვანი		
რედაქტორი: მკობრძეძე ვახუშტი		

## შინაარსი

საბურძნეთის ეკლესიის დელეგაცია სტუმრად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან.....5	თეოდორე სტუდიელის „სტოდიერი“.....17
„საქართველოს ეკლესია მანათობელ შუქურად დგას“ (ინტერვიუ პროტოპრესვიტერ პეტრე პირშთან).....7	განგუბამ პანაშვიდისა და ხსენებასა შესვენებუ- ლისასა.....35
ათონელში ბერ-მონოზენებმა კრეტის კრება დაგმეს.....10	ილუმენია ქუთუვანი (კოპაძიანი) წმიდა შუფე ვასტანგ გორგასაღი.....56
თანამედროვე მონოზენებს (ბერის ჩანაწერებზე ბიდან).....11	ქრინიკა.....57

31438

**რედაქტორი:**

მონოზონი ანა (ნიაური)

ხარედაქციო კოლეგია:

არქიმანდრიტი ღაზარე (გაგნიძე)

ილუმენია ქუთუვანი (კოპაძიანი)

კომპიუტერული მიმსახურება:

მონოზონი ბარბარე (იაკობაძე)

მისამართი: მცხეთის სამთავროს

წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.

მირიან მეფის ქუჩა N 3

ტელ: 593 76 31 87; 593 30 07 07

ელ-ფოსტა: [samtavrosmonasteri@yahoo.com](mailto:samtavrosmonasteri@yahoo.com)

ანგარიშის ნომერი: GE65BG000000158107700



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი  
უნეშისი და უნებარესი ილია II

\* \* \*

„ერთადერთი ჭეშმარიტი ეკლესია არსებობს – მართლ-  
მადიდებელი სამოციქულო ეკლესია!“

\* \* \*

„ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტი სარწმუნოების  
მქადაგებლობას გულისხმობს; ამიტომაც ამბობს წმიდა მაქსიმე  
ადმსარებელი, რომ მაცხოვარმა ეკლესია უწოდა „მართლად-  
სარებასა სახელისა მისისასა.“ მის წინააღმდეგ ბრძოლა კი  
ნიშნავს ამ სწავლების წინააღმდეგ მოქმედებას, მის შეწყენას  
ან შეცვლას, რასაც ეშმაკი სხვადასხვა ცრუ ფსევდოქრის-  
ტიანული მოძღვრების გაფრცქელებით თავიდანგე ცდილობდა  
და ცდილობს დღესაც.“

სააღდგომო ეპისტოლე

## საბერძნეთის ეკლესიის იერარქთა დელეგაცია სტუმრად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან



უწმიდესი და უნეტარესი ილია II, საბერძნეთის ეკლესიის დელეგაცია და ქართველი იერარქები

25 ივლისიდან 28 ივლისის ჩათვლით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს საბერძნეთის ეკლესიის სასულიერო პირთა დელეგაცია ესტუმრა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: თესალონიკის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი, დეკანიზი, მამა თეოდორე ზისისი, ამავე უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი დემეტრიოს ცელენგიდისი, პროტოპრესვიტერი ანასტასიოს გოცოპოულსი, პროტოპრესვიტერი იერისუ, ღვთისმეტყველების დოქტორი, პროტოპრესვიტერი პეტრე პირში და მამა მეთიუ ვულკანესკუ.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირებმა, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ხელმძღვანელობით, დიდი პატივით მიიღეს სტუმრები მიხი უწმიდესობის საზაფხულო რეზიდენციაში. შესვენებები ძმური სიყვარულით და გულწრფელი თანამშრომლობით გამოიჩნეოდა.

დელეგაციის ვიზიტს ორმაგი მიზანი

პქონდა: ერთის მხრივ, მათ სურდათ, რომ საბერძნეთის მართლმადიდებლების სახელით, გულისთადი მადლიერება გამოეხატათ, საქართველოს უძველესი მოწამებრივი ეკლესიის პატრიარქის, იერარქების და მორწმუნე ერის მიმართ, იმისათვის, რომ საქართველოს ეკლესიამ, სინკრეტული ეკუმენიზმის კრების საწინააღმდეგოდ, მართლმადიდებელი სარწმუნოება აღიარა. მეორეს მხრივ, დელეგაციის მიზანი იყო, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ისა და სხვა ქართველი იერარქებისგან მიეღოთ კონსულტაცია და ერთობლივად განეხილათ არამართლმადიდებლური „კრეტის კრების“ მიმართ სათანადო პასუხი.

დელეგაციის წევრებმა მართლმადიდებელი ეკლესიოლოგიის მიმართ საქართველოს ეკლესიის ერთგულება აღნიშნეს; რაც ჯერ კიდევ 20 წლის წინანდელი გადაწყვეტილებით გამოჩნდა, როდესაც იგი გამოვიდა და გაემიჯნა სინკრეტულ ეკუმენიზმს, ე. წ. „ეკლესიათა მსოფლიო ხაბტოს“. ეს მოვლენა ყველა მართლ-

მადიდებელი ეკლესიისათვის სანიმუშო გახდა და მოწონება დაიმსახურა. ეს იყო სარწმუნოების ერთგულება და უფრო მეტიც, ყველაზე რთულ ვითარებაში, საქართველოს ეკლესიამ აშკარად დაიცვა და შეინარჩუნა მართლმადიდებლური სწავლება.

ბერძენ და ქართველ იერარქთა განხილვების მთავარი თემა ის პრობლემები იყო, რომლებიც ინოვაციურ და არამართლმადიდებლურ „კრეტის კრების“ მიერ წარმოიშვა. საბერძნეთის ეკლესიის დელეგაციამ ხაზი გაუსვა კრების მეთოდოლოგიის და ორგანიზაციის, აგრეთვე, კრებაზე მიღებული ინოვაციური და არამართლმადიდებლური დოკუმენტების უარყოფის აუცილებლობას და ასევე – ახალი, მართლმადიდებლური კრების მოწვევის

ერთგულება და მხურვალე სიყვარული, ამასთანავე ხაზი გაუსვა, რომ „არსებობს მხოლოდ ერთი ეკლესია – მართლმადიდებელი ეკლესია და რომ მრავალი ეკლესია არ არსებობს. მართლმადიდებელი ეკლესია ერთხელ გადმოცემულ სარწმუნოების საფუძველს ემყარება“.

გაიმართა აგრეთვე კონფერენცია, სადაც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა: ზუგდიდის მიტროპოლიტმა გერასიმემ და ახალციხის მიტროპოლიტმა თეოდორემ აღნიშნეს, რომ მიუღებელია არამართლმადიდებლური დოკუმენტები: „ქორწინების წეს-ჩვეულება და მისი დამატარებელი გარემოებები“ და „მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა დანარჩენ, ქრისტიანულ სამყაროსთან“.

როგორც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და საქართველოს ეკლესიის მიტროპოლიტებმა განაცხადეს: კრების დოკუმენტები ქართულად ითარგმნება, განიხილება ახლო მომავალში და ოქტომბერში გაშუქდება.

დახასრულ, სტუმრებმა და მასპინძლებმა საერთო, ერთსულოვანი, შეთანხმება მიიღეს და სარწმუნოებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, საეკლესიო დოგმების მტკიცე ერთგულება დაიცვეს: რათა მომავალშიც განუხრვლად აღიარონ მართლმადიდებელი სარწმუნოება და წინ აღუდგნენ სინკრეტული ეკუმენიზმის გავრცელებას. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ საკითხზე უახლოეს მომავალშიც გააგრძელებენ თანამშრომლობას.

შეხვედრების და განხილვების შემდეგ, მასპინძლებმა ჩვეული, ქართული სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს.

დახასრულ, სტუმრებმა საქართველოს ეკლესიის ისტორიული სალოცავები მოილოცეს.



საბერძნეთის ეკლესიის დელეგაცია და ქართველი იერარქები მცხეთის ჯვარზე

საჭიროებას. საბერძნეთის დელეგაციამ სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გულთბილად მიიღო სტუმრები; აღნიშნა ეკლესიის და სარწმუნოებისადმი მათი



ინტერვიუ პროტოპრესვიტერ პეტრესთან (პირში)



პროტოპრესვიტერი პეტრე (პირში)

პროტოპრესვიტერი პეტრე (პირში) დაიბადა ტეხასში. იგი ანგლიკანელი პასტორის შვილი იყო. აღიზარდა ხან-ფრანცისკოს მახლობლად. 1992 წელს მშობლებთან და მამის მრევლთან ერთად მართლმადიდებულ სარწმუნოებაზე მოექცა. დაასრულა თესალონიკის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი და დუთისმეტყველების დოქტორის ხარისხი მიიღო. 2014 წელს იგი პროტოპრესვიტერად აკურთხეს. ამჟამად ოჯახთან ერთად ცხოვრობს თესალონიკში.

მამა პეტრემ დაარსა პერიოდიული გამოცემა „გაუთიბავი მთის პრესა“. იგი იყო დამაარსებელი და პირველი რედაქტორი მართლმადიდებლურ ჟურნალ „ამბადლებისა“.

ცნობილია პროტოპრესვიტერ პეტრეს ნაშრომი „თანამედროვე ეკუმენიზმის მიხილნერული ეტაპები 1920 წლამდე.“ ასევე დიდი გავრცელება პოვა ახლახან, ბერძნულ ენაზე გამოცემულმა მისმა შრომამ: „ვატიკანის მეორე კრების ეკლესიოლოგიური განმახლებლობა.“ აღსანიშნავია აგრეთვე, მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მან ინგლისურად თარგმნა „ბერი პაისის ცხოვრება“, „ბერი პაისის ეპისტოლეები“, აგრეთვე, ბერი კლუპას წიგნი „ჩვენი რწმენის ჭეშმარიტება“ (ტ.1 და ტ.2) და სხვა...

(რედაქცია)

საქართველოში სტუმრად მყოფ საბერძნეთის დელეგაციის წარმომადგენელს, პროტოპრესვიტერ პეტრეს (პირში) დაუკავშირდა ისტორიის დოქტორი, ბატონი გიორგი მაჭარაშვილი და სპეციალურად, ჟურნალ „სამთავროს მაცვდლოვანისთვის“, ინტერვიუ ჩამოართვა.

მკითხველს ვთავაზობთ ინტერვიუს მამა პეტრესთან, რომელიც მცირე შემოკლებით იბეჭდება.

რა შეფასებას მისცემდით ე.წ. დიდ და წმიდა კრებას?

- სამწუხაროდ, „კრეტის კრება“ არის ცრუ კრება, რომელმაც არამართლმადიდებლური დოკუმენტები შეიმუშავა და რომლებიც ამჟამად მართლმადიდებელი ეკლესიის საესკებაში უნდა დადგომოს.

ქრისტე არის გზა და ჭეშმარიტება, რომლის მართლადღარებასაც დაცვილდა „კრეტის კრება“, როგორც მეთოდოლოგიურ, ასევე შინაარსის თვალსაზრისითაც. ორივე შემთხვევაში, მიღებული დო-

კუმენტები, არამართლმადიდებლურია და ეკუმენისტური ნააზრევია, რითაც იგი იმ-შორდა წმიდა მამათა და მართლმადიდებლურ მსოფლიო კრებათა გზას და ჭეშმარიტებას. ხსენებულმა კრებამ წმიდა მამათათვის უცხო სულისკვეთების, მაგრამ ამქვეყნიური სულისათვის მისაღები, უცხო სწავლების ქადაგება გააძლიერა...

კრების ვერც მოსამზადებელმა პროცესმა და ვერც საორგანიზაციო-მმართველობითმა წესებმა, შემრიგებლური მართლმადიდებლური გზა ვერ გამოხატა. კრების მიერ



საბურთალოს ეკლესიის დელეგაცია და  
ქართველი იერარქები

უმთავრესი გადაწყვეტილებები, კრების ნატარების საბოლოო გადაწყვეტილების ნათვლით, ინფორმირებული არ იყო. რის გამოც, ადგილობრივი ეკლესიების სინოდმა უარი განაცხადა კრებაში მონაწილეობაზე. შემდგომ კი, პრაქტიკულად, კრებაზე პაპისმის ახალი ფორმა შემუშავდა. სადაც ადგილობრივი ეკლესიების პრიმატი მიიწინეს არა როგორც „პირველი თანასწორთა შორის“, არამედ, ისევე, როგორც არის პაპის მიმართება თავის ეპისკოპოსებთან – „პირველი თანასწორთა გარეშე.“

უპრეცედენტო და არამართლმადიდებლური ქმედება იყო, აგრეთვე, ადგილობრივი ეკლესიებისათვის ხმის მიცემის შეზღუდვა, როგორც ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა აღნიშნა: ხმის მიცემის უფლების გარეშე, მართლმადიდებელი ეპისკოპოსების დასწრება კრებაზე იმით განსხვავდებოდა ერეტიკული კონფესიების წარმომადგენლებისაგან, რომ მართლმადიდებელ ეპისკოპოსებს, თუცა დიმიტრებული დროით, მაგრამ საჯაროდ სიტყვით გამოსვლა შეუძლიათ.

მართლმადიდებელი კრებების კარგად ცნობილი კრიტერიუმი ის არის, რომ კრებებს იწვევდნენ დოკატური და სამღვდლო საკითხების წარმოსადგენად, რაც უმთავრესად სარწმუნოებას და კანონიკურ წესრიგს (სახულიერო იერარქიას) ეხებოდა. კრებაზე კი, სარწმუნოებასა

და იერარქიაზე და დოგმაზე და სულისკვეთებას შორის ურთიერთობაზე მსჯელობა გვერდზე გადადეს. ყველა დროის ყველაზე ერეტიკულ დღევანდელ პერიოდში, როდესაც სინკრეტოზმი და ახალი ერა მეფობს, როდესაც ბოროტი „ცხადად მოქმედებს...“ „კრეტის კრებამ“ „ეკლესიებად“ აღიარა ისეთი ცნობილი ერესები, რომლებიც მსოფლიო მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაწმინდა მამებმა დაგმეს.

სამწუხაროდ, ისიც ცხადია, რომ კრება არც „დღი“ არ იყო და არც „წმიდა“. არამედ,

ეს იყო მცირე შეკრება, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, მოიხსენიება, როგორც საეპისკოპოსო კონფერენცია, პან-მართლმადიდებლური წარმომადგენლების გარეშე; რადგანაც გასათვალისწინებელია ის, რომ კრებაზე ეპისკოპოსების მცირე რაოდენობა იყო მოწვეული და აგრეთვე ისიც, რომ კრება მთორეხარისხიდან საკითხებს შეეხო. უფრო მეტიც – ეს კრება არ იყო „წმიდა“, რადგან იგი წმიდა ტრადიციებს ამკარად დაშორდა და სინკრეტულ ეკუმენიზმს შეუწყო ხელი.

წმიდა ტრადიციებისგან ტრაგიკული განდგომა ვაცხადდა იმ დადგენილებითაც, რომელიც კრებამ მიიღო სახელწოდებით: „ქორწინების საიდუმლო და მისი ხელის შემშლელი მიზეზები.“ ამ დადგენილებამ თავდაყირა დააყენა ტრუდის მსოფლიო კრების 72-ე კანონი. არამართლმადიდებლუბთან ქორწინების ნებართვის დართვით, ეს დადგენილება რბილად, მაგრამ ცხადად გამოხატავს ე.წ. „ბაპტისტურ თუ ოლოვიას“ და ერთიანი ეკლესიის გარეთ, ახალ ეკუმენისტურ „ეკლესიოლოგიას“. მიუღებელია აგრეთვე დადგენილება: „მართლმადიდებელი ეკლესიის კავშირები დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან“. რომელიც ერეტიკული „ეკლესიების“ არსებობას ცნობს. ყველა ეს დოკუმენტი მართლმადიდებელმა ეკლესიამ უნდა უარყოს დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ სა-





ბერძნეთის მორწმუნეთა დიდი უმრავლესობა „კრეტის კრებით“ იმედგაცრუებულა და ელის ადგილობრივი ეკლესიების მიერ მის სრულიად უარყოფას, უპირველეს ყოვლისა კი – საქართველოს ეკლესიისგან და ასევე საბერძნეთის ეკლესიის იერარქებისგან, რომლებიც არ დაესწრნენ კრებას. მორწმუნეები ასევე უკმაყოფილონი არიან კრების წინაურ გადაწყვეტილებით, რომელიც არაკანონიკური იყო.

**როგორ შეაფასებთ საქართველოს ეკლესიის პოზიციას „კრეტის კრებისადმი“?**

– საქართველოს ეკლესია ამ ისტორიულ ვაშს მანათობელ შექურად დგას, რომელიც მორწმუნეებს ყველგან დანათის. და მათთვის ეკლესიის ერთიანობისა და სინკრეტული ეკუმენიზმის „ეკლესიოლოგიაზე“ მომავალი გამარჯვების იმედს წარმოადგენს. კერძოდ, კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ისა და საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის პოზიციას, თუ რატომ არ დაესწრნენ ისინი კრებას, კარგად განმარტავს მათ მიერ შემუშავებული დოკუმენტი ქორწინებისა და ერესების საკითხებზე; ამასვე მოწმობს მისი უწმიდესობის და უნეტარესობის ეპისტოლედი, რომელიც მან კრების მსვლელობისას გაუგზავნა კონსტანტინეპოლის პატრიარქს, რითაც უდიდესი სიხარული მიანიჭა ყველა ქვეყნის მართლმორწმუნეს და განსაკუთრებით კი საბერძნეთის ეკლესიის შვილებს. საბერძნეთი ახლა იმედით შეჭურვებს საქართველოს ეკლესიას, რათა ეს მიმართულება შეინარჩუნოს და მტკიცედ და უშიშრად ეგოს სარწმუნოების აღმსარებლობის მყარ კედელზე – ქრისტეს სხეულის ერთადერთ რწმენაზე, რომელიც არის მართლმადიდებელი ეკლესია. ჩვენს ქვეყანაში ჩვენ ანტიქრისტიანული საშინელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში ვართ ხართ, რომელიც, რომლებიც საბერძნეთში ქრისტიანული სარწმუნოების ამოხადირკვად ღიად მოქმედებენ. სინკრეტული ეკუმენიზმი ანტიქრისტიანული დღის წესრიგის ნაწილია. ამდენად, საქართველოს ეკლესიის მიერ მართლდასარების დამოწმებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

**რას გავტყობთ საქართველოს კათო-**

**ლიკოს-პატრიარქთან, უწმიდეს და უნეტარეს ილია II-თან შეხვედრის შესახებ?**

– მის უწმიდესობასთან ჩვენი შეხვედრა, ჩვენი ვიზიტის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მომენტი იყო. ჩვენთვის დიდი წვაღობა იყო ეს შეხვედრა და უწმიდესის ღოცვა-კურთხევა. მისი სათნოება და სიტყვები ჩვენთვის გამამხნეებელი იყო, სარწმუნოების გადარჩენისა და ეკუმენიზმის ახალი „ეკლესიოლოგიის“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და იერარქები მართლმადიდებელთა ერთიანობის ერთგული არიან და რომ ისინი იმ ინოვაციურ აზრთა სხვადასხვაობისაკენ არ გადაიხრებიან, რაც კრებაზე განიხილეს. მისმა უწმიდესობამ გვაჩვენა, რომ მხოლოდ ერთადერთ ეკლესიაში, მართლმადიდებელი სარწმუნოების საფუძველზე და ყოველგვარი ახალი ეკლესიოლოგიის გარეშე, ემყარება მტკიცედ სარწმუნოების ერთიანობა და სული წმიდასთან თანახმარება.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს ეკლესიისათვის „მომავალი ეკლესია არ არსებობს, არამედ, ტექნიკური ეკლესია მხოლოდ ერთადერთია – ეს არის მართლმადიდებელი ეკლესია“. მისმა უწმიდესობამ აღნიშნა, რომ ის და წმიდა სინოდი მართლმადიდებელთა ერთიანობისათვის იღვავებენ, რომელიც ერთგულის უკვე დადგენილი რწმენის საფუძველებს ემყარება.

ჩვენ მაღლიერნი ვართ მისი უწმიდესობის, ილია II-ის, საქართველოს მაღალირის მიტროპოლიტების, კეთილმორწმუნე სამღვდელთა და საქართველოს ეკლესიის მშველისა, განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობისათვის და პატივისცემისათვის, რაც მათ ჩვენი ვიზიტის მანძილზე გამოიჩინეს. ჩვენი ღოცვითი თხოვნაა, რომ ეს ხანმოკლე ვიზიტი დასაწყისი იყოს საქართველოსა და საბერძნეთის მორწმუნეთა შორის ახლო და ნაყოფიერი თანამშრომლობის, სარწმუნოების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში, რაც ჩვენ ქრისტეში და მის ეკლესიაში გვაკავშირებს.

**ღმერთმა დაგლოცოს!**



წმიდა მთის სამოციმა ბერმა ღია წერილი გაუგზავნა წმიდა კინოტს, რომელშიც დაგმეს კრებაზე გამართული ათი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის კრება, როგორც ანტიმართლმადიდებლური და „ავაზაკური კრება“. ათონელმა ბერებმა მოითხოვეს კონსტანტინეპოლის პატრიარქის, ბართლომეოსის, ღვთისმსახურებაზე მოხსენიების შეწყვეტა.

წმიდა მთის ბერები წერილში კინოტს მოუწოდებენ „წმიდა სინაქსისი“ ერთადერთ თემაზე მოწვევას – დაგმონ კრების კრების მიღებული ტექსტები. წერილში აღნიშნულია, რომ მათ შეისწავლეს „ე.წ. წმიდა და დიდი კრების ტექსტები, აგრეთვე, გამოჩენილი ღვთისმეტყველებისა და მიტროპოლიტების პასუხები...“ და „დაასკვნეს, რომ ეს კრება იყო ანტიმართლმადიდებლური, ავაზაკური და მწვალებლური.“

მთაწმიდელები აცხადებენ, რომ კრების კრება ოფიციალურად და მაღალ დონეზე აკანონებს ეკუმენიზმს, ხოლო სხვა დანარჩენი სახის მწვალებლობებმა, „როგორც იქნა მიადწიეს თავის მიზანს – სექტების ეკლესიებად ცნობას“ ანუ „პაპიზმი, ისევე როგორც სხვა მწვალებლობები, ეკლესიებად აღიარეს და არა მწვალებლობებად“.

წერილში ნათქვამია, აგრეთვე, რომ კრებამ მონოზენების როლი უგულებელყო, განსაკუთრებით კი – ათონის წმიდა მთის დამოკიდებულება პაპის და ეკუმენიზმის მიმართ...

„ამისათვის, მოვითხოვთ და ველით, რათა ეს საკითხი განიხილოთ, როგორც თქვენი სულიერი მოვალეობა, მოიწვიოთ საგანგებო ორმაგი სინაქსისი და ზემოთქმულის საფუძველზე, დაგმოთ ეს ე.წ. კრება, როგორც მწვალებლური, უკანონო და ავაზაკური.“ – აცხადებენ წმიდა მთის ბერ-მონოზენები და აღნიშნავენ, რომ თუ კინოტი არ მოიმოქმედებს ამას, მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან, თავად აღასრულონ ეს ყოველივე და შეწყვიტონ კონსტანტინეპოლის პატრიარქის მოხსენიება ღვთისმსახურებაზე.

ღია წერილს ხელი მოაწერეს: დიდი ღაერის მკვიდრებმა, ვატოპედის, ქილანდარის, პანტოკრატორის, სტავრონიკელის, ფილოთეოსის მონასტრებმა, აგრეთვე – კარეის, კახალის და სხვადასხვა სკიტის ბერებმა.

შეგახსენებთ, რომ ათონი კონსტანტინეპოლის პატრიარქის უშუალო საეკლესიო იურისდიქციაში იმყოფება.

15.07.2016

Редакция СПЖ

anayiotistelewantos.blogspot.ru

Благовест-Инфо

РИА Новости

## (ბერის ჩანაწერებიდან)

„სახსუფვეელი ღვთისა შორის თქვენსა არს“ (ღუკა 17,21) – გვამცნო უფალმა, და მოგვიწოდა მის დასახანად და მოსაპოვებლად. ასევე, უფალი ბრძანებს: „პირველად ეძიებდით სახსუფვეელსა ცათასა და ყოველივე შეგებინით თქვენ“ (მათე 6. 31-34). ესე იგი უმთავრესი მიზანი ადამიანისა არის სახსუფვეელის მოპოვება. ჩვენ კი ამ ანგელოზთა ხვედრს, სახსუფვეელს, საკუთარ თავს თვითონვე ვპარავთ, რადგანაც ჩვენი ცხოვრება, ფაქტობრივად, დროის გამუდმებული პარავა. ჩვენ არ უნდა დაგვაეციყდეს თუ რისთვის მოვიფინეთ ამქვეყნად, თუ რა არის ჩვენი ცხოვრების მიზანი, ის გვირგვინი, რომელიც ანიჭებს ჩვენს ცხოვრებას აზრს, სიხარულს, იმედს და უფალში მარადიულ შეებას. ამიტომაც, თავი უნდა მოვამზადოთ ჩვენი სამშობლოსათვის – ზეცისა და სამოთხისათვის. სახსუფველის დასამკვიდრებლად კი საჭიროა სრულყოფისაკენ გამუდმებული სწრაფვა. ხილო სრულყოფა გულისხმობს და მოძღვრის გარეშე შეუძლებელია.

უფალმა ჭეშმარიტ მოძღვრობას დასაბამი დაუდო ახალ აღთქმაში: „შე ვარ მწყემსი კეთილი“ – გვამცნო უფალმა. ამიტომაც, საღმრთო მსახურება, რომელსაც აღასრულებს მღვდელი, უფლის მიერ არის დაფუძნებული. უფალმა თავდაპირველად მოციქულნი გამოირჩია, დაადგინა მწყემსება და ყოველივე განუცხადა მათ; რათა დაემოძღვრათ და მოექციათ ქვეყანა ჭეშმარიტ რჯულზე. რის შემდეგაც კაცობრიობა შეიცნობდა ჭეშმარიტ ღმერთს, ყოელის შემოქმედს.

უფალმა მის მიერ დაფუძნებულ კლესიაში მოციქულნი აღჭურვა მოძღვრობის, მღვდელმსახურებისა და სასულიერო ხელმწიფების უფლებით. ასე რომ, უფლის მიერ დაწესებული სამოძღვრო მსახურება, მოციქულთაგან მემკვიდრეო-

ბით გადმოცემული, დღემდეა დაცული. უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ კლესიაში მოძღვრები იმისთვის დაადგინა, რომ მისი საღმრთო ნების მაუწყებელნი და აღმსრულებელნი ყოფილიყვნენ. ღვთის ნება კი ის არის, რომ მისი მოძღვრება ანუ სახარება ყველასათვის იქადაგებოდეს, არა მარტო სიტყვით, არამედ – საქმითაც ანუ სახარებისეული ცხოვრებითაც; რადგანაც ყველაზე შთამბეჭდავი და ცოცხალი ქადაგება, ეს საქმით გამოვლენილი რწმუნებაა. ცხოვრებაში გატარებული სარწმუნოება და ნაქადაგები სიტყვა საქმეში ვლინდება.

უფლისმიერ კლესიაში დადგენილი მწყემსის, მოძღვრის, ვალდებულება და მისი ძირითადი ამოცანა ადამიანის სულის გადასარჩენად ბრძოლაა. მოძღვარი ცდილობს, ავადმყოფი განკურნოს და ფეხზე წამოაყენოს; ასწავლოს მას სულიერი სწეულებისგან, ცოვდათა ტყვეობისგან თავის დაღწევა და ზნეობრივი, სულიერი, განვითარებით, უფლისკენ სვლა. მოძღვარი ღვთისგან გამორჩეული და დადგენილი მწყემსია. თავად უფალიც ხომ გვამცნებს: „არა თქვენ გამოირჩიეთ მე, არამედ მე გამოვირჩიეთ თქვენ და დაგადგინეთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ, და ნაყოფი თქვენი ეგოს საეხებით, რათა სთხოვით მამასა ჩემსა, სახელითა ჩემითა და მოგვცეს თქვენ“ (იოანე 15.16).

როგორც წმიდა იოანე ოქროპირი ბრძანებს, მოძღვრობა და მღვდელმსახურება დედამიწაზე აღესრულება, მაგრამ – ზეციური განწესებით; რადგანაც ეს განწესება არა ანგელოზთა, არა კაცთა, არამედ თვით უფლისგანაა განწინებული. აქედან ჩანს თუ რამხელა როლი და პასუხისმგებლობა აკისრია მოძღვარს, თავისი სამწყემსო სულიერ-ზნეობრივ განვითარებაში.

დღეს, სამწუხაროდ, მრავალი ადამიანისაგან გვესმის უკმაყოფილება ამა თუ

იმ მოძღვრის მიმართ, და ეს მტკივნეულადაა, როგორც სასიკვდილო ორდესული მახვილით მიყენებული ტრილობა. ეს არა მარტო ჩვენი ერის პრობლემაა, არამედ მას საუკუნეების მანძილზე განიცდიდა ეკლესიის წიაღში მყოფი ერი თუ ბერი. დღეს კი, ეპოქის სულმა მეტად დაამახინჯა და მეტად შეუხისხლხორცა ჩვენს გულს ერული სული.

აი, რას წერს ამ საკითხზე მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსი, რომელიც გულისტივილით მიმართაოდა ბერძენ ერს:

„განსაკუთრებით მინდა მიმართო ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებს, და მინდა, მათ მიემართო ამ წმიდა საყდრიდან.

ჩემო შეილებო!

საბერძნეთის ძვირფასო შეილებო! თქვენ ჩვენი სიამაყე ხართ და დაფნის გვირგვინი ჩვენი ქვეყნისა! მაგრამ, შეილებო, ჩვენ გიღალატეთ თქვენ და გული გატკინეთ, ჩვენი სიყაღბით;

არაფრად გაგდებდით, არარად მიგიჩნევდით და ვალი ვერ მოვიხადეთ თქვენს წინაშე. ჩვენ ვაღაღ დაგადეთ ჩვენი უსირცხვილობა. და დამნაშავედაც არ ვგრძნობთ თავს თქვენს წინაშე; შენდობაც კი არ ვეთხოვოვთ თქვენგან. ყოველივე ამისთვის. სიყვარული მოგაკელით და მიგატოვებთ ბაბილონის სულთ შეპყრობილ ქარიშხლიან უდაბნოში. უმაღურ, შეუბრალებელ და უხნეო ქვეყანაში ცხოვრება გაიძულეთ და იმ გზაზე მივითითეთ გველოთ, რომელზეც ჩვენ არ გვივლია; გზაზე, რომელიც ჩვენ არ გაგვიკვლავს თქვენთვის. დაგაკარგვინეთ, მოგისპეთ ყოველგვარი რწმენა და იმედი. დაეანგრიეთ, აღმოფხვრით თქვენში ყოველივე დიდადი და დიდებული ოცნება და მისწრაფება. ყოველივე ამის შემდეგ კი ვამბობთ, რომ გვიყვარხართ. ჩვენს უნახურობაში და უსუსურობაში, თქვენს მიმართ ჩვენი დიდი უპასუხისმგებლობა დაინახეთ. და ამიტომ, ზურგი ვეპქციეთ, აღარ გვენდობით; აღარ გსურთ იცხოვროთ ისეთ სამყაროში, როგორც გაგიშადათ. ამიტომაც, გავეპქციეთ და აღმოჩნდით იმ სამყაროში, სადაც ნარკოტიკები და ძაღადობაა. პრო-

ტესტის ნიშნად გაგვისასტიკდით.

ჩემო შეილებო!

ის, ვინც ახლა თქვენ გესაუბრებდათ, საკუთარ თავზე იღებს ამ პასუხისმგებლობის მთელ სიმძიმეს.

ასე! ვიღებ და ვტვირთულობ მთელი თქვენი ცოდვების პასუხისმგებლობის სიმძიმეს და თქვენს წინაშე ქედმოხრილი ვითხოვ შენდობას... ბოდიშს ვიხდით თითოეულს!..

მაგრამ მინდა გითხრათ, რომ არაფერს და არავითარ წინააღმდეგობას არ შეუძლია, რომ ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა გადავიკეტოთ. ამ სამყაროში ერთი ადგილი არსებობს, სადაც თქვენ არასოდეს გაგვიდიან და არასოდეს გიღალატებენ. ეს ადგილი ეკლესიაა. მოდით მახთან! მოდით რწმენაში! მოიხიეთ ქრისტე, ჩვენს შორის ეძიეთ, ჩვენს ღირსეულ, წმიდა მამათა შორის იპოვეთ თქვენ ქრისტეს; ჩვენს სიახლოვეს იპოვეთ იმას, რაც თქვენი ცხოვრების მანძილზე გაკლდათ. ჩვენთან ერთად კვლავ გაცოცხლდებოდა თქვენში ნამდვილი თავისუფლების სული, ჭეშმარიტი სიმაღლეთ.

ადგომილი ქრისტე, ჩემო შეილებო, მუდამ იქნება ჩვენს შორის.

ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, მაღლი, სიყვარული მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყოს თქვენთან, აჲ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ეკლესიის უსაყვარლესო შეილებო! თქვენს გულეში გამოუთქმულ მწუხარებას და იმეღვაცრუებას ხედავს მოძღვარი, როდესაც ეკლესიაში მოსული მრავალი თქვენგანი უნუგეშოდ აღმოჩნებოდა; რადგან ვერ მიიღეს იმის ცოცხალი მაგალითი, რასაც მათ მოძღვარი ახწავლის და ღვთის სამსახურში მოუწოდებს.

ხშირად ეკლესიას ცალკეულ მოძღვართან აიგივებენ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, შეილებო, რომ ეკლესია უცდომელია და არ შეიძლება ცალკეული მოძღვრის გაიცილება ეკლესიასთან. ეკლესია ჩვენი უფლის სხეულია და ამ სხეულში მისი სული ხუფვეს. უფალი უცვლელია და



უძველესი, ასევე გელესიაც, რომელიც დაადგინა კლდესა ზედა და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერუოდნენ მას“. ღმერთი ხომ საწყისია და სათავე ყველანაირი სიკეთისა.

ჭეშმარიტი სიკეთე და სათნოება შეუძლებელია, რწმენით შეითვისო ან საქმით შეასრულო, თუ არა იესო ქრისტესა და სულიწმიდის მეშვეობით. ფსალმუნშიც ვკითხულობთ: „არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შერებიან მაშენებელნი მისნი, არა თუმცა უფალმან დაიცივნა ქალაქნი, ცუდად იღვიძებენ მხუმილაენი მისნი“ (ფსალმ. 126). ამიტომაც, მცირედმორწმუნეობით, ადამიანს ხშირად ძლევს ხორცი და ამა სოფლის ბოროტების ქვეშ ექცევა, მათ შორის – მოძვდარიც; მაგრამ მორწმუნე ადამიანს უნდა ესმოდეს ადამიანური ბუნების სისუსტისა. განა მართალნიც არ შეცდნენ და არ შესცოდეს? როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაში, ბევრი მოღვაწე დაეცა, მაგრამ მათ შეინანეს, წამოდგნენ და მეტად უკეთესნი შეიქმნენ; ხოლო მათი განმკითხველნი და მღვწეულნი, უმეტესი ბოროტებით დაეცნენ და მათზე დიდ ცოდვებში ჩაცვივდნენ. ამიტომაც, უნდა გვესმოდა ადამიანური ბუნების უძლურების და არ უნდა აგვერიოს ცალკეული სასულიერო პირის ცდომა გელესიის უცდომელობაში, ეს არ იქნება სწორი.

გელესია შეუმცდარია, ხოლო ყოველი ადამიანი ცოდვილი და მცდარი. ამიტომაც, არაფრის დიდებით არ შეიძლება ვინმეს, თუნდაც მოძღვრის გაკერპება. ამგვარად პაპიზმი ასწავლის: თითქოსდა, ღმერთითი თუ შეუმცდარი იყოს პაპი. არადა, ის ისეთივე ცოდვის შეილია, როგორც სხვა ყველა ადამიანი.

გელესიის წესდებაში ნათქვამია, რომ წმიდა მამათა ანდერძით, ყველაფერში უნდა იყოს დაცული ზომიერება და წესრიგი. ღირსი ფერემ ასური ბრძანებს: „იქმნეთ უღიღესი უბედურება, ხადაც ჯუროვანი კანონებით არ ხელმძღვანელობენ“ (საეკ. წესდ. თავი 35); ხოლო ცოცხალი სარწმუნოება მტკიცე სვეტია. ეისაც ასე

თი სარწმუნოებით სწამს ქრისტე, მისთვის ქრისტე ყველაფერია“.

უფალ იესო ქრისტეს მიერ დაწესებული სამოძღვრო მსახურება, მოციქულთაგან შემკიდრეობით გადმოცემული, დღემდეა დაცული. სამოძღვრო მოველეობების შესასრულებლად, ყველა მოძღვარს თვით სულიწმიდა ადგენს. ამიტომ, სამოძღვრო მსახურება საღმრთოა (ღმერთისმოვრია); არა მხოლოდ თავის დაწესებით, არამედ – თავის გაკრძელებითაც. უფალმა გელესიაში მოძღვრობა იმისთვის დაადგინა, რომ მოძღვრები მისი საღმრთო ნების მაუწყებელნი და აღმსრულებელნი ყოფილიყვნენ. ღვთის ნება კი ის არის, რომ უფლის მოძღვრება ანუ სახარება ყოველი დაბადებულისათვის ყოფილიყო ნაქადაგები – არა მარტო სიტყვით, არამედ სახარებისეული ცხოვრებით; არა მხოლოდ მაცხოვრის მაგალითით, არამედ მისი მაგალითის ჩვენზე ცხოვრებაში გამოვლინებით: რათა ნაყოფი მაცხოვრის გოლგოთის შესაწირავისა, ყოველთათვის იყოს შეთვისებული, რათა ყოველმა მორწმუნემ თანდათან მოიპოვოს სრულყოფილება.

მოძღვრის მოვალეობა გამომდინარეობს სამი ძირითადი მსახურებით:

1. სწავლება – სახარებისეული მოძღვრების დაკრძელება.
2. მღვდელმსახურება – მორწმუნეთათვის საიდუმლოთა აღსრულებით, სულიწმიდასთან ზიარება.
3. სულიერი ხელმძღვანელობა – ქრისტიანთა ზნეობრივი სრულყოფა, საზომამდე. ასე რომ, როგორც მამა ღმერთმა მოაქვინა ძე თვისი სოფლად, ასევე თავისი ამალეების წინ, ძე ღმერთმა სოფლად თავისი მოწაფეები მოაქვინა. გადასცა და მინაჩა მათ მწვემსობა და მისცა ის სულები – ცხვრები, რომლებიც უნდა მწვემსონ და მიგვართონ ბატონს, უფალს. ამიტომაც, მწვემსი ღვთით დადგენილი სულით არის თითო სულ ცხვარზე პასუხისმგებელი.

ასევე, ადამიანის მსახურება, მორჩილება მწვემსისადმი, არის მისწრაფება ღმერთთან ერთობისა, რაშიც მას უნდა ეხმარე-

ბოდეს მოძღვარი. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ასე არ ხდება და ცალკეული მოძღვარი ცდილობს, თავისი თავი ჩაანაცვლოს ღმერთს და ცხვარიც მიისაკუთროს. ასეთი მოძღვარი მპარავია და ეშმაკზე უარესი. ამიტომაც ბრძანებს იოანე ოქროპირი: ბილწი და პატივმოყვარეა სასულიერო პირი, რომელსაც თავისი მრევლი არ მიჰყავს უფალთან, ეშმაკზე უარესი და საშიში არისო. მას გაეჭვიოთ, როგორც ცეცხლს, ჯოჯოხეთამდე ჩამყვანსო.

ასე რომ, დიდად საპასუხისმგებლოა ქრისტეს ეკლესიის მწყემსის, ღვთისგან დადგენილი მოძღვრის მსახურება. ამ ყველაფერთან, მინდა ვითხზათ, ჩემო შეიღებო, რომ მოძღვრის სისუსტემ არასოდეს არ უნდა შეგვირყიოს რწმენა და რაც მთავარია, ჩვენი მონდომებით, სხვის ცხოვრებაზე კი არ უნდა ვიყოთ დამოკიდებულინი, არამედ ჩვენივე ნებელობა უნდა დაეუმორჩილოთ უფლის მცნებას და ასე ვიაროთ ღვთისკენ საკად გზაზე. დღეს შეიძლება ვისაუბროთ მოძღვართა სისუსტეებზე ან მონასტრული ცხოვრების უმწეობაზე. თუნდ იღუმენის სისუსტეზე, მაგრამ უდიდესი ცდომილებაა და სარწმუნოების არცოდნა, თუკი ჩათვლით, რომ ეს ნაკლოვანებები ხელს შეუშლიან ჩვენს სულიერ ცხოვრებას, ანდა ცხოვრების გზაზე დაგვაბრკოლებენ.

სამწუხაროდ, მართლაც შემცირდა, თითქმის აღარ არიან, ჭეშმარიტი მაგალითის მაჩვენებელი წინამძღვრები და მოძღვრები. მათი მოწოდება უფრო სიტყვიერია, ვიდრე სახარებისუფლი ცხოვრებით გაცოცხლებული მაგალითი. ეს იგრძნობოდა XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში, რომლის მაგალითსაც ვხვდებით ათონის მთაზე მოღვაწე ბერ იოსებ ისიხასტის ცხოვრებაში.

როგორც გერონდა იოსები სულიერი შეიღისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „...ვითხოვდით, ვიძახდით, ვტიროდით და ერთი კუნჭულიც კი არ დაგვბრტყვებია ღვთის მადლის ჭურჭლად ქცეულ მესაჭის ძიებაში, რომ გაგვეგო არა ამო და უქმი სიტყვა, არამედ „სი-

ტყვა ცხოვრებისა“ — ეაკვირდებოდა სად იყო ცხოვრება, სად შევძლებდი სულითვის სარგებლის მიღებას. ერთი სიტყვით, ფრანცისკომ (ბერმა იოსებმა) კარგად გააცნობიერა, რომ წმიდანები უკვე აღარ იყვნენ და სულიერი შიმშილი დაწყებულიყო, შიმშილი ღვთის სიტყვისა, შიმშილი „საქმისა და ხედვისა.“ რა თქმა უნდა, მრავალი მოშურნე ბერი იღვწოდა წმიდა მთაზე, მაგრამ წინამძღვრები თითქმის აღარ დარჩენილიყვნენ. ცხადია, მაშინაც იყვნენ ათონის მთაზე, ისევე, როგორც ყველგან და ყოველთვის, ისეთებიც, რომელთაც სხვათა დამოძღვრა წიგნებიდან სურდათ, მაგრამ ასეთებს იშვიათად თუ შეძლებიათ საქმით სახარებისუფლი ჭეშმარიტების განხორციელება, ამასთან დაკავშირებით, გერონდა იოსები მოგვიანებით ამბობდა: „ქადაგება ისეთივე ადვილია, როგორც მაღალი სამრეკლოდან ღოდების გადმოყრა, მაგრამ ნაკადაგების შესრულება იმდენად ძნელია, რამდენადაც ამ გადმოყრილი ღოდების უკან აზიდვა.“ ეს იმას ნიშნავდა, რომ გერონდა ისეთ სულიერ წინამძღვრს ეძებდა, რომელიც შეძლებდა, უსაფრთხოდ გასდლოლდა მას, ჭეშმარიტი, წმიდა ნავსაყუდელისკენ და საღმრთო მადლის მოხვეჭაში დახმარებოდა; რადგან სულ სხვაა, როცა კაცი მოღვაწეობს და სულ სხვაა, როცა მას სხვისი წინამძღვრობაც შეუძლია. ეს საკითხი უმნიშვნელოვანესია ყველა მომავალი მონაზონისთვის. ამიტომაც იყო, რომ სანამ მორჩილების უღველს დაიდგამდა, ფრანცისკოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ გერონდა, რომელსაც აირჩევდა ღოდვის სულიერ ხელოვნებას შესაწავლიდა. წლების შემდეგ, როდესაც თვითონ გახდა გერონდა, ერთ-ერთ თავის სულიერ შვილს, მეუღაბნოეს, გაუმხილა თავისი აზრები: „წმიდა მამები გვასწავლიან, ვიყოთ სათნოებათა შორის უმაღლეს სათნოებაში — მორჩილებაში, რითაც მივემსაკავებთ იესო ქრისტეს: ესაა მათი მიზანი. ეს იმისათვისაა საჭირო, რომ მორჩილების მეშვეობით, განვიწმიდოთ სხვადასხვა ვნებებისაგან და საკუთარი სურვილების და



ქმეაფიცილებსგან. და ამ გზით მოვიპოვოთ ღვთის მადლი. კიდევ იმისთვის, რომ – როდესაც მადლი ჩვენდა განსასწავლად მიგვატოვებს, მაშინ გერონდამ, როგორც ერთგულმა მეორე მადლმა, ხელში აგვიყვანოს და იმ დარიცხვებით გვიხელმძღვანელოს, რაც თავად საჭით აღუსრულებია; და მანამ გაადვილოს შენში მოშურნობა, სანამ ღვთის მადლითა და სულიერ მამის ღოცით, შენც არ გათავისუფლდები ბრძოლისაგან; სანამ ისევე არ მოგიხილავს საღმრთო მადლი და ტკბილი იესო, როგორც უკვე სრულყოფილს, და არ გაგიხველს თავის დაფარულ საიდუმლოებებს. არ არსებობს მორჩილებაში ყოფნის სხვა მიზანი. თუმცა, დღევანდელი წინამძღვრები და მასწავლებლები ასე თვლიან: მოწაფე იმისათვის უნდა მიიღოს, რომ ხელობა შეასწავლოს და ამით ფული იშოვოს, ან ეენახი მოაშენოს, ან ვაჭარი გახადოს, ანდა თავისი სახლის, ან სენაკის, ან მადახის შემკვიდრე გახადოს, ანდა სულაც იმისთვის, რომ უბრალოდ, მოიხსახუროს. ჩვენ სრულებით არ უარყოფთ იმას, რაც მართლაც აუცილებელია და მაინც, ძირითადი მიზანი, რისთვისაც მოწაფე მიდის მოძღვართან და მის სრულ მორჩილებას სწევს, ისაა, რომ ღვთის სიყვარულით ანთებულმა მოძღვარმა თავისი მდიდარი სათნოების ნიჭი მასაც გადასცეს. და თუ ეს არ გააჩნია წინამძღვარს, სახარებიდან ვიცით, რომ „უკეთუ ბრმა მიუძღოდეს ბრმას, ორივე ჯურღმულში ჩავარდნენ“.

ასეთი გულგრილობა გულს უკლავდა ახალგაზრდა ფრანცისკოს (ბერ იოსებს), რადგან ვერ იპოვა ის, რასაც მისი სული ეძებდა. მოვიანიებით წერდა: „მახსენდება მაშინდელი ჩემი ცრემლები და სულიერი ტკივილი, ჩემი ტირილი და ძახილი, დღე და ღამ მთებს რომ ვძრავდი“. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა მოშურნე უმოქმედოდ არ გაჩერებულა და თავისი თავი სრულყოფით მიუძღვნა უფალს.

აი, კიდევ მამები რას ამბობენ: „უსამართლო იდუმენისადმი მორჩილება ვისგავსება ბოროტი ბატონისადმი ქრის-

ტიანი ყრმის მორჩილებას, რასაც პავლე მოციქული იწონებს და ასე მიმართავს ეფესელთ: „მონანი ერჩით ხორციელთა უფალთა თქვენთა, შიშითა და ძრწოლით, სიწრფოებითა გულისა თქვენისათა, ვითარცა ქრისტესსა, ნუ თვალთა წინაშე თუაღლებითა მონად, ვითარცა კაცთმოთნენი, არამედ, ვითარცა მონანი ქრისტესნი, ჰყოფდით ნებასა ღმრთისასა გულთა; გონიერად მშობებდით, ვითარცა უფალსა და არა კაცთა“ (პავლე. ეფეს. 6.5). მართალია, ხშირ შემთხვევაში, გვიმნდვება მორჩილების აღსრულება და საკუთარი ნებისა და შეხედულების დათმობა, მაგრამ სულიერი ცხოვრების მსურველთა, აუცილებლად სჭირდებათ სულიერი ხელმძღვანელი და მათ ამ ბრძმედში უნდა გამოწვრთნან საკუთარი ნება-სურვილები, რომ შეძლონ სიმდაბლით და უფლისადმი მორჩილებით მიიღონ მადლი სულისა წმიდისა. რა თქმა უნდა, მორჩილებით და საკუთარი ნების უარყოფით, ადამიანი იძენს სიმდაბლეს და მშვიდ ნახსენებულში პოუვებს სულის განხვენებას. მორჩილსა და თავმდაბალს არაფერი ეშუქრება, ის მუდამ დაცულია და მიუღი პასუხისმგებლობა და სიმძიმე მის მაკურთხეველზეა დადებული. მოძღვრის ამოცანა კი ადამიანის სულის გადასარჩენად ბოძოლია. უნდა გვესმოდეს, რომ მორჩილება და კრძალულება – ეს სათნოებათა დასაბამია. ხოლო სულიერი ხელმძღვანელობის გარეშე ცხოვნება შეუძლებელია. სულიერი ხელმძღვანელის გარეშე სველა მომაკვდინებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ არასოდეს და არაფერში არ შეიძლება საკუთარ თავზე მინდობა. თუთი დიდი მოღვაწეებიც კი, როგორებიც იყვნენ ანტონი დიდი, მაკარი დიდი, პახუმი დიდი, სისოი დიდი და სხვა მრავალნი, საკუთარ თავს არასოდეს ენდობოდნენ და რწმევას ყოველთვის კითხულობდნენ, რომ სხვისი მოძღვრობით და ხელმძღვანელობით გაეგოთ ღვთის ნება და მორჩილებით მიეღოთ.

მართალია, ჩვენს ეპოქაში აღარ არიან ანტონი დიდი და პახუმი დიდი, მაგრამ არც ჩვენ გააქვს მოშურნობა აკაკი

მორჩილისა და მასხავით თავგანწირული მორჩილები ვერ ვართ. როგორი ხელმძღვანელიც გაგვანია, იმას ნუ უგულვებლს-ვეოფთ, რომ საერთოდ არ აღმოჩნდეთ ეკლესიის ანუ ცხოვნების გარეშე. ვიკმართთ ამ სოფლის უძღურება და ვეცადოთ, თითოეულმა მიუძღვნათ უფალს ჩვენი თავი. ასე რომ, ეკლესია ყოველთვის დგას თავისი ერის სადარაჯოზე და კარგად ესმის ერის სულიერი ტკივილიც და ადამიანთა ცოდვიანი მდგომარეობის აღქმა. ის მუდამ ელის ადამიანს, რომელიც შეადგებს კარს, დამძიმებული ამა თუ იმ ცოდვით, ანდა პრობლემით, და მივა უფალთან, საკუთარ მამასთან; მოიხურეებს თავისი ჭრილობების ჩვენებას და მკურნალი მოძღვარიც ადებს მას მალამოს ჭრილობებზე და ცდილობს მალე მოუშუშოს იარები. ასე იღებს უსამართლობით დატანჯული ერი შეებას ეკლესიაში.

ჩვენს ერს ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული მიდგომა, რწმენისა და ქვეყნის სიყვარულის აუცილებლობისაში. სიცოცხლის ფასადაც კი იცავდა მას. მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, რწმენა ჩანაცვლა უხნობაში და მუცელმა, ხოლო სამშობლოს სიყვარული ჩანაცვლა სხვისი ქვეყნის კეთილდღეობის სიყვარულმა, რომელიც სულგამოცდილია და უხნეო. აი, სადაა დე მიყვდით ერიც და ბერიც. ეს დიდი ტკივილია და უკანსვლაც, ჩვენი ბედკრული და ტანჯული ერისა. მართალია, ჩვენში გამუფებული ცოდვა და უსამართლობა, ცდუნებაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დედამიწაზე მაინც მოიპოვება წმინდა და უხენაესი ადგილი, სადაც სამართლიანობა სუფევს და ისწავლება. ეკლესია კვლავაც სუფევს და მუდამ იქნება თავისი ერისა და ხალხის სადარაჯოზე. მის ნუგეშად და სიხარულად მყოფი.

ეკლესია არის ერთობა, კრებული, რომელიც შედგება მორწმუნეთაგან. ამ სიტყვას სხედასხვა რელიგიები და კონფესიებიც იყენებენ. მაგრამ არ უნდა

დაგავიწყდეს, რომ ჭეშმარიტება ერთია და ჭეშმარიტი ეკლესიაც ერთია. სხვა დანარჩენი კი, როგორც დავით მეფსაღმუნე ბრძანებს, ყოველნი ღმერთნი წარმართანი ეშმაკ არიან. ასე რომ, ღმერთი ერთია და ჭეშმარიტი სარწმუნოებაც ერთია და თუ გინდა რომ გაგანდეს ჭეშმარიტება, ის უნდა მოიძიო, უნდა შეისწავლო და უნდა გაგანდეს. ხოლო თუ გაგანია ის, უნდა დაიცვა კიდევ, რომ მასში არაფერი შეერიოს. თუკი ჭეშმარიტება გაგანია, მაშ ცოცხალი ხარ და ახლოს ხარ ცხენებასთან; ხოლო რწმენის დასაცავად სიცოცხლის დათმობაც რომ მოგიწიოს, მზად უნდა იყო და უნდა გადადო საკუთარი თავი. ასეთები იყვნენ: მარკოზ ვეფხელი, მაქსიმე აღმსარებელი და სხვები.

სწორედ მათ და მათმა მსგავსმა მოძღვრებმა დაიცვეს სამწყსო და განამტკიცეს მართლადსარებაში, საღმრთო ჭეშმარიტებაში; ხოლო მრავალნი, წინამძღვარი და მოძღვარი, ცდუნდნენ და ჩავარდნენ მწვალებლობაში, რადგან მათ არ მოიპოვეს და არ დაიცვეს ჭეშმარიტება.

რატომ ჩავარდნენ მრავალნი მწვალებლობებში? — იმიტომ, რომ მათ არ ჰქონდათ მოპოვებული და დაცული ჭეშმარიტება. ისინი, უმეცრებით დასწეულნი და ამპარტაყნებით შეპყრობილნი, თავიანთ შეხედულებებს ურევდნენ ჭეშმარიტებას და ასე ბილწავდნენ და ამახინჯებდნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

ჩვენმა ერმა სისხლის და ტანჯვის ფასად შეინარჩუნა რწმენა და ჭეშმარიტება. ამიტომაც, ვადგებულნი ვართ ჩვენი ერისა და წინაპართა წინაშე, გაუფრთხილდეთ დედა-ეკლესიას და სიცოცხლის ფასად დავიცვათ მისი ჭეშმარიტება და დავიკრძალოთ გულგებში უფლის მტკიცე რწმენა, სიყვარული და სასიება.

კრებულიდან  
„სულიერი სახრდოს ძიებაში“



# თეოდორე სტუდიელის „სტოდიერი“



თეოდორე სტუდიელს († 826წ.), სტუდიის მონასტრის სახელგანთქმულ წინამძღვარს და აღმსარებელს, ეკუთვნის ორი ვრცელი ნაშრომი: 1. „სწავლანი სულიერნი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსარებელისა, სტუდიელთა წინამძღვრისა, თუსთა მოწაფეთა მიმართ, ყუელიერისა კურიაკეთაჲთ ეიდრე დიდისა შაბათამდე, რომელნი წარიკითხვიან დიდთა მარხუათა შინა ...“ 2. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსარებელისა, სტუდიელთა წინამძღვრისა სწავლანი თუსთა მოწაფეთა მიმართ. ქრისტე, წარგვმართე აღესებასა, რაითა მოღუაწებით აღვასრულებდეთ ყოველსავე ცხოვრებასა ჩუენსა.“ ეს ორი თხზულება არის ორი ნაწილი ასკეტურ-მისტიკური კრებულისა, რომელმაც ძველთაგანვე დაიმკვიდრა სახელი „სტოდიერი“. თხზულება, როგორც სათაურებშია წარმოდგენილი, შეიცავს დიდმარხვისა და ზატიკის პერიოდის „სწავლანს“ მონაზონთა სულიერ და ფიზით საკითხებში დამოძღვრისათვის. მარხვის „სწავლანი“ შეიცავს დიდმარხვის ყოველ დღეზე კვირიაკეთა თანამიმდევრობით თითო სწავლას, სხვადასხვა თემაზე. ასეთვე სტრუქტურა აქვს ზატიკის (აღდგომის) პერიოდის „სწავლათაც“. „შემდგომად აღესებისა, ვითარმედ ჯერ არს ჩუენდა სღვაი ღიხსად მონაზონებისა აღთქმისა და დევნილებისა, რომლითა დევნულ ვართ უფლისათვის,“ „შემდგომად აღესებისა, რაითა ეკრძალნეთ თათა თუსთა და ვეელტოდით მანებელთა ადგილთა და სახეთა ცოდვისათა...“ „შუვა ზატიკსა, ვითარმედ ჯერ არს განსურნელება თათა თუსთა მოგებითა სათრებათათა...“ „ყოველთა წმიდათათს და ვითარმედ არა სისხლთა დათხეეთა ხოლო იქმნების წამება, არამედ ცხოვრებისა მიერცა საღმრთოისა და კეთილისა მოქალაქობისა“. და ა.შ.

„სტოდიერი“ ბერძნულიდან ქართულად უთარგმნია გიორგი მთაწმინდელს XI საუკუნის შუა წლებში. „სტოდიერის“ პირველი ნაწილი გამოცემულია, ხოლო მეორე ნაწილი პირველად ქვეყნდება, წინამდებარე პუბლიკაციის სახით. ტექსტი წარმოდგენილია XIV - XV სს-ის ხელნაწერთა K 52. როგორც ხელნაწერის მინაწერიდან ირკვევა, ნუსხა გადაუწერია ვინმე იოანე კაკიაშვილს, „ამა წიგნსა ჯერმზინებელსა კაკიაშვილს იოანეს... შეუწინეს ღმერთმან. ამინ...“ ზატიკის პერიოდის „სწავლანს“ ნუსხაში მოსდევს „ანდერძი წმიდისა მამისა და აღმსარებელისა თეოდორე სტუდიელთა მამასახლისისა...“ და „ზუდაწერილი წმიდისა მამისა ჩუენისა და აღმსარებელისა თეოდორესი...“ ეს უკანასკნელი შეიცავს ცნობებს წმიდა მამის გარდაცვალების შესახებ.

წმიდა მამის „ანდერძს“, ასევე „ხედაწერილს“, მოვიანებით შევთავაზებთ მკითხველს.

## არქიმანდრიტი ბასილი (კაკიაშვილი)



**წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე აღმსარებელისა, სტუდიელთა წინამძღვრისა სწავლანი, თუსთა მოწაფეთა მიმართ: აღესებასა, რაითა მოღვაწებით აღვასრულებდეთ ცხოვრებასა ჩუენსა**

მმანო და მამანო, ვინაითგან მადლთა ქრისტესითა ღირს ვიქმნებით აღ-

სრულებად აღესებასა წმიდასა, კუაღად ჩუენსავე საქმესა შეუდგეთ, რაითა ერთბაზად ვიქმოდითცა და ვიხსენებდითცა ცხოველსყოფელსა ენებათა მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა. და რამეთუ აღესებამ თანა წარგუხდა, ნუმცა თანა წარგუხდების ჩუენ ამათი ხსენებამ, არამედ მარადის წინაშე თუაღთა გუაქუნდინ მაცხოვრისა ჩუენისა ენებანი: ჯუარცმა, დაფლუა და აღდგომა, რაითა მათითა



ხსენებითა წარუტყუენველ ვიყუნეთ ვნუ-  
ბათაგან. და უკეთუ სადა წარვიტყუენნეთ  
უკრძალველობითა, მსწრაფდ მივხედნეთ  
ჯუარცმულსა იესუს, უფალსა დიდების-  
სასა. და მეყსეულად აღმოვკვიბრწინდეს  
კურნებას სულთა ჩვენთა. რამეთუ ეს-  
რთოვე ისრაელი პირველ ოდეს იგი იკ-  
ბინებოდა გუელთაგან, მიხედვითა გუელსა  
მას რეალისასა განიკურნებოდა, და არა  
უმეცარ ხართ, რამეთუ ბორტგნი გულის-  
ხიტყვანი სახედ გუელთა უკებნე სულთა  
და აღავსებენ გესლთა. და რაჟამს იქმნას,  
ყოვლითა ჯერ არს აღმოფხვრამ, რაჟთა  
არა უკურნებელი წყლულებამა შექმნას  
დაყოვნებამან. განიცადეთ ესე, რამეთუ აღ-  
მორძინებულ არს სიხდისამ. და ხორც-  
თა გული უთქვამს სულისათვის და სულ-  
სა ხორცთათვის, და ერთისა შეძინებად  
მეორისა დაკლებამ იქმნების. ამიერიტგან  
ვეკრძალნეთ, რაჟთა ყოველივე საქმე ჩვენი  
სასწორით იყოს: საზრდელი, სასუმელი,  
ძილი და სხუამ, რაოდენი არს ესე ვითარი,  
რაჟთა არა მიემძღაუროს სული, არამედ  
აქუნდეს ძლევა ხორცთა ზედა. რომელნი  
სრბიან სარბიელსა შინა, არა თუ რაჟამს  
ერთი სტადიონი, გინა ორი ირბინის, მაშინ  
იქადაგების მძლედ, არამედ რაჟამს ყოველ-  
ნი სარბილნი წარასრულდნეს, და ჩუენცა  
უკუე არათუ მარხუანი „გინა ზატიკნი აღ-  
ვასრულნეთ, არამედ არათუ ყოველივე  
ცხოვრებამ ჩუენი მოღვაწებით წარვლით,  
ვერ სადა განვერნეთ მახეთა ეშმაკისათა  
და ვერცა ძღვევისა გვირგვინი დავიდგათ.  
აწ უკუე, პოი, ძმანო, კუაღადცა ვიღვაწით  
ღვაწლი კეთილი, კუაღადცა დაეშურეთ  
სათნოებისათვის, კუაღადცა აღვიკრძალ-  
ნეთ მარხეთა, კუაღადცა დავიძინებთ  
ხორცნი, კუაღადცა დაესცნეთ ვნებანი.  
ყოვლადვე სიკუდილი უფლისა ჩუენისა  
იესუ ქრისტესი ხორცთა შინა ჩუენთა  
ვიტვირთით, ყოვლადვე სჯული სიკუდილ-  
ისამ თავთა შინა ჩუენთა გუაქუნდინ, რა-  
მეთუ ამა, ესერა უპაქულად და ჩუენცა  
მოეკუდეთ, ვითარცა მამანი და ძმანი ჩუენ-  
ნი, და მივიცუალნეთ ამიერ და წარვიდეთ  
ადგილთა უცხოთა და ვიხილნეთ ხილუ-  
ანი, რომელნი არა სადა გუეხილვუნენ, და  
საშინელ არიან თქმულნი ესე განცვიბრე-

ბითა აღსავსე, რომელსა ოდენ გონება  
აქუნდეს. ამისთვის მარადის შეშინებულ  
ვიყვნეთ და ესცივიდეთ საცნობელთა სუ-  
ლისა ჩუენისათა სმენისაგან ამომსა, და  
ხილვისაგან ვნებულისა, და ყნოსვისაგან  
დამხსნელისა და ყოვლისაგან საქმისა  
ბორტგისა. და ყოვლადვე ყოვლითურთ  
თავნი თვისნი წმიდად შევწირნეთ ღმრთო-  
სა, რაჟთა სათნო ვეყვნეთ მას და მევიდრ  
ვიქმნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა, ქრისტე  
იესუსის მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისამ  
არს დიდებამ და ძლიერებამ თანა მამით  
და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის  
და—

**შემდგომად აღვსებისა და ხსენებისა  
წმიდისა დომენტისა, ვითარმედ ჯერ არს  
სიკუდილი ნეფსითთა სიკუდილითა და  
წესიერებისათვის**

გვაკურთხენ, უფალო!

ძმანო და მამანო, აღვსებამ გარდახდა  
და დღესასწაული დასრულდა, არამედ არა  
სიხარულიცა და დღესასწაულდებამ, რამე-  
თუ არა წარსულ არიან ესენი უკეთუ ოდენ  
გუნებავენ. რამეთუ ჯერ არს ჩუენამ მარა-  
დის სიხარული და დღესასწაულდობა სუ-  
ლიერი, ვითარცა თქმულ არს: გიხაროდენ  
მარადის უფლისა მიერ. რამეთუ კუაღად  
გაბეჭვი თქუნენ, კუაღად გიხაროდენ. ხოლო  
ვითარმე იქმნას ესე უკეთუ განახლებუ-  
ლად გვაქუნდეს მარადის ხსენებამ ვნებ-  
თა მათ მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრის-  
ტესითამ. ვითარმედ უფალი დიდებისამ  
ჩუენთვის ჯუარს-ეცუა, და ვითარმედ დაე-  
ფლა და ვითარმედ მესამესა დღესა აღდგა  
და თანა აღმადგინა, და თავისა თვისისა  
თანა ცხოველმყუნა ჩუენ, რაჟთა ცხოველ-  
ნი არღარა თავთა თვისთათვის ცხოველ  
ვიყვნეთ, არამედ ჩუენთვის მომიკუდრისა  
და აღდგომილისა, რაჟთა სკადრებულ  
იყოს ჩუენთვისცა სიტყუად მოციქულისა  
თანა, ვითარმედ: ცხოველ არღარა მე ვარ,  
არამედ ცხოველ არს ქრისტე ჩემ შორის.  
რომელმან იგი შემიყუარა მე და მისცა  
თავი თვისი ჩემთვის. ესე არს აღსას-

რული ხაიდუმლოსაი, რაითა მკუდრად ვიყვნეთ სოფლისა და ცხოველ ღმრთისა და ამისთვის თანა გუაჲ შემდგომად აღვსებისაცა განფრთხობაი და მღვიძარებაი, ლოცვაი და სიხანული, ტირილი და განათლებაი, და მარადის სიკუდილსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა ხორცთა შინა ჩუენთა ტვირთაი, და მარადელ სიკუდილი ნუფსით, და მარადელ განსუღაი ხორცთაგან და მისვლელ უფლისა, განშორებითა ხორციელთა ზრუნვათაითა. ნუ იტყვი, ვითარმედ: აჲ არღათა მარხვანი არიან, რამეთუ ფრთხილისათვის მარადის მარხვანი არიან. ნუ იტყვი, ვითარმედ: მრავალი ჟამი დაგვკაე მარხვასა და მოღუაწყოებასა შინა და განსუენებაი მიხმს, რამეთუ არა არს განსუენებაი აჲ. ნუ იტყვი, ვითარმედ: დაებერდი სათნოებასა შინა და არა მეშინის, რამეთუ მარადის შიში არს ძლევისა, რამეთუ მრავალნი დაბერებულნი სათნოებასა შინა, ერთსა წამსა თუალისასა მოხრებლსა შინა ცოდვისასა შთასთხინა ეშმაკმან (და რომელი ჰგონებდეს დაცვასა, ეკრძაღენ ნუ უკუე არა დაცვას), ამისთვის, რომელი ჰგონებდეს დგომისა, ეკრძაღენ ნუ უკუე დაეცეს. გაქრდენ უკუე ხაიდუ და კრძალაი და სახომი ძილსა შინა, და ჭამასა და სუამასა და სხვასა ყოველსავე რადცა იყოს. რაითა შეიწრდენ და დაჟუდნენ ხორცნი, რაითა არა მსგავსად კიცვისა შუებულისა უტინიან აღვირთა და შთამტრიან ჩუენ პარებსა ცოდვისასა. გამცენ თქუენ უკუე პირველსა მას სწავლასა შინა, ვითარმედ ნუ იქცევით მარტოებით ადგილთა შინა დაფარულთა. და ვითონიე კუალად მათვე შინა იქცევით. რად გნებავს კუერთხითა მოვიდეთ თქუენდა ანუ სიყუარულითა. სულითა მშვიდობისათა ანუ შფოთითა. არა გეკლიძებისა, რამეთუ გამცენ ყოველად და არა ისმინეთ, და უფროსდა თქუენ, რომელითა ვგე იხილეთ შერისხეაი მონსა თქუენისა ამის პირისათვის და არა განეკრძაღენით. აჲ უკუე, დაიცვინით თავნი თქუენნი, რაითა არა ამითვე სახითა შთაპარდეთ ვინმე კუალადცა ურწებასა. რამეთუ არად ცუდად და ამოად იქმნებიან სწავლანი, და რამეთუ არა არს ღმერთი

შფოთისაი, არამედ მშვიდობისა, ვითარცა ყოველთა შინა ეკლესიათა წმიდათასა. ამისთვისცა ყოველივე შუენიერად და წესიერად იქმნებოდენ, რაითა ყოველსა შინა იდიდებოდის ღმერთი ჩუენ მიერ. და მძანი ეგე, რომელინი აჲათ გინა იქით მიმოსუალოთ, ეკრძაღენით თავთა თვისთა სადა და ვითარ დასხდებოდით, გინა იქცეოდით. ნუ ვითარცა განტეობილნი, არამედ ვითარცა შეკრულნი სულითა. ნუ ვითარცა უხილაენი, არამედ ვითარცა ხილულნი უფლისა მიერ, რომელი იგი ხედავს ყოველსავე ძრვასა და ქცევასა თქუენსა. ნუ უბანთა და ფოღლოცა შინა ფრონინებთ, არამედ დაეუდნებოდეთ სასტუმროთა შინა თქუენთა. და ლოცვასა და ვედრებასა და ხელთ საქმარსა თქუენსა განკრძალულ იყვინით. ნუ იუნჯებთ, ვითარცა ეცცხლისმოყუარენი თავთა თვისთათვის, არამედ კმა ეყოფოდეთ მუნ მყოფთაცა, რამეთუ თავადმან თქუა, ვითარმედ: არა დაგიტოვ შენ, არცა დაგაგდო შენ. ეინაცა საკადრებელ არს თქუემად ჩუენდა: უფალი არს მწე ჩემდა, არა შემეშინოს, რად მიყოს მე კაცმან. მოიხსენეთ ძმად თქუენი და ხედვიდეთ გამოსვლასა ცხოვრებისა მისისა და კბადვედით სარწმუნოებასა მისსა, რომელ არს ნეტარი დომენტრიანე, რომლისათვის ეგალობდით და რომლისა სახსენებელი წმიდათა თანა. თუ ვითარ ვატრობით მოივაჭრა და რაბამი მოქალაქობად აღასრული, რამეთუ ჭირითა და ღუაწლითა მცირედითა დაიმკვიდრა შუებაი საუკუნოდ კაცმან უნდომან ხორციელად. არამედ ვინათგან სათნოებაი აღირჩია და შეიტკბო და ღმერთი შეიყვარა, აღამადლა იგი ღმერთმან მსგავსად წერილისა მის, ვითარმედ: „მადიდებლნი ჩემნი ვადიდენ და შუერაცხისმოყუენი ჩემნი შუერაცხ იყენენ“. სიხარული უკუე ჯერ არს ესე ვითართათვის ძმანო და მხიარულებაი. არამედ არა რად არს სარგებელ უკეთუ არა ჩუენცა ვაჩუენით ახოვნება და თავით თვისით მოვიგნეთ სათნოებანი. ვაჩუენით უკუე ჩუენცა მსგავსად ძაღისა ცნობად სულიერი და სიყუარული ღმრთისაი, რაითა გუაქუნდეს ნაწილი წმიდათა თანა, ქრისტე იესუს მერ უფლისა ჩუენისა,

რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის—

**მეორესა კვირიაკესა, ვითარმედ ჯერ არს შიშითა და სიყვარულითა ღმრთისათა გარდახდა ცხორებისა ჩუენისაჲ და დაძინებისათვის ძმისა ედუკაციონისა.**

ძმანო და მამანო, დღე ესე კვირიაკისაჲ, რომელსა დღეს ედღესასწაულობთ, კმა არს ჩუენდა სახედ სწავლისა, უკეთუ ოდენ ვერძედთ, რამეთუ ამას შინა აღმადგინა ჩუენ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან დაცემულნი ცოდვითა. ამას შინა ცხოველ მყენა ჩუენ მომკუდარნი უსჯულობითა და წინა დაუცუეთლებითა ხორცთა ჩუენთათა. ამას შინა განძიდო ჩუენ კუადად სამოთხე შუებად ძელისა მისგან ცხორებისა, რომელ არს ცხოველსმოყველი ხორცი და სისხლი მისი. ამას შინა ვმადლოთ სიკუდილსა ზედა და მსგავსად საწინასწარმეტყუელოსა მის ხმისა ვდადადებთ: „სადა არს სიკუდილო, საწერტელი შენი, ანუ სადა არს ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი“, ძლეულ ხარ მის მიერ, რომელმან იგი თქუა: „ანუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფლისა“, და მერმეცა თქუა მსგავსად მოციქულისა: „ამას შინა ღმერთმან და მამამან თანა აღმადგინა და თანა დაამხსნა ჩუენ ზეცათა შინა ქრისტე იესუს მიერ, რათა აჩუენოს ეამთა მათ მომავალთა გარდამატებული იგი სიმდიდრე მადლისა თვისისაჲ სიტკბოებით ჩუენდა მომართ ქრისტეს მიერ“. და კოდა, გამოუთქმელნი იგი ნიჭნი მისნი; თუ სადაჲთ სადა აღმოძიევენა ჩუენ. სიკუდილისაგან ცხორებად, ბნელისაგან ნათლად, მონებისაგან აზნაურებად, მტერობისად საკუთრად სიყვარულად და ესოდენად ვიდრეღა თანახატმსგავსებასა მას ძისა თვისისასა გამოამაჩინა ჩუენ, რაჲ არ მიუთხრობელი ესე მადლი, რაჲ არს გარდარეული ესე სიმდიდრე ჩუენდა მომართ სიყვარულისა მისისაჲ

**შემდგომად ადგებისა, ვითარმედ ჯერ არს ჩუენდა სღვად ღირსად მონაზონებისა აღთქუმისა და დევნულებისა, რომლითა დევნულ ვართ უფლისათვის**

ძმანო და მამანო, მხიარულ ვართ და გვიხარის ჩუენ გლახაკთა ამათ, რამეთუ გხვდავთ თქუენ წლითი წლად მოწვეწულთა ჩუენდა, და ვითარცა მეორესა ხატისა ეხათიკონთ მოსვლასა თქუენსა, არამედ ვინაძიგან თქუენ ხორციელსა მოგართუამთ ჩუენ, ვითარცა რაჲ ვის ხელგუწიფების კაცად-კაცადსა, მოვედით უკუ და ჩუენცა მსგავსად ძალისა ჩუენისა სულიერი შეესწიროთ თქუენდა. გლოცავ თქუენ, ძმანო და გვეყდრები სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რათა ღირსად მონაზონებისა თქუენისა აღთქუმისა ხედოდით და აღსარებისა, რომელი აღიარეთ, და დევნულებისა, რომელი იდევნინთ უფლისათვის, რათა მოქალაქობაჲ კეთილი გაქუნდეს სოფელსა შინა, რათა რომლითა იგი ძვირსა გვიზრახვენ ჩუენ, ვითარცა ბოროტის მოქმედთა, სირცხვილულ იქმნენ და კდემულ, ხედვიდენ რაჲ ქრისტეს მიერ უბიწოსა სღვასა თქუენსა, რამეთუ არიან ვინმე, რომელნი ძმაცუენ ბიწიან ყოფად აღსარებასა ამას ქრისტესსა, ვითარმცა მიზეზი იყო განდგომილებისა და ცოდვისაჲ, რომლისა თქუამადცა ვძრწი და იტყვიან, ვითარმედ უმჯობეს არს ზიარებაჲ წვალებისა ქრისტესთვის დევნულებისა. რომელთა სასჯელი ცხად არს და განზრახვაჲ მათი მსგავს არს ბალამისსა, რომელმან დაუგრო საცთური ძეთა ისრაელისათა. რამეთუ ორნი არიან სიძვანი, ერთი ხორცთაჲ და მეორე სარწმუნოებისაჲ. აწ უკუ, რომელი შესცთეს წვალებელთა ზიარებითა, იგი არს მემრუშე სარწმუნოებითა და მის თანა იმრუშებს სულითაცა და ხორციითაცა. აწ უკუ, რომელნი ზრახვენ ზრახვასა მას ბოროტსა, ვეგ ვითარნი იგი მაცთურნი არიან და გონება ცთომილნი, რომელნი მოინადირებენ დაუმტკიცებელთა სულთა ხოლო თქუენ ძმანო, ჩუენთვისცა და წინააღმდეგომთა მათთვისცა ჭეშმარიტებათა, უმეტესად განაკრძაღეთ ცხორებაჲ



თქვენი. კეთილად ქცევითა იქცეოდეთ და კეთილად ქცევითა განიკანონებოდეთ. ვითარცა იტყვის, კაცად კაცადსა ფსალმუნებაი აქუს, მოძღვრებაი აქუს, სიტყუაი აქუს, ყოველივემცა აღსაშენებულად იქმნების. უკეთუ განსლუად ჯერ იყოს განვიდეთ მოშიშებით, რათათა ბრწვინებდეს პირი ჩუენი მადლითა, სარგებელად მხილველთა. უკეთუ სამე შეგუემთხეიოს უზნობაი დედათაი, ვეზრახნეთ მრავლითა კრძალულებითა. დაიცივნეთ თავნი ჩუენნი მიხედვისაგან, რათათა არა შევიდით გულად საწერტკლი და ისარი გულის თქუმისაი, და მოკლედ ეოქვა, ყოველსავე სახელადებულად ღმრთისაი ვიქმოდით, რომელმან იგი შემოყარა ჩუენ და მისცა თავი თვისი ჩუენთვის, რომლისა სიყვარული განაკრთობს ტრფიალთა, და არა უტყუებს, რათათა თავისა თვისისა იყოს, არამედ ტრფიალისა. და ესე ცხად არს ხორციელისა ტრფიალები-საგან, რამეთუ რაჲმს ვტრფივალს თინმე დედაკაცსა, ყოვლითურთ მისცემს თავსა თვისსა ტრფივალსა მას და მისსა მიმართ იყნოსს. არა უნებნ მიხედვად მისსა, არამედ ტრფივლი იგი სწადინ, დადაცათუ ტაბლად ეინ დაუდგას არა პნებაენ მიღებაი სახრდელისაი, არა ხასურველისაი მის. რამეთუ უკუე არს უშუენიერეს მეუფისა ქრისტესისა?! ვინა, რამეთუ არს უტკბილეს სანატრელსა მას სიყვარულსა მისსა? ანუ არა იგი არსა შუენიერ სიკეთითა უფროსი ბეთა კაცთათსა? ანუ არა იგი არსა სიტკბოება ყოვლითურთ საწადელ, მსგავსად წერილისა? და ამას გუაუწყებენ წმიდანი და იტყვიან მხურვალეობასა მას სიყვარულსა მისისა. რამეთუ, რომელიმე ვადლობს, ვითარმედ: „ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთათსა, ვერეთ სურინ სულსა ჩემსა შენდაი ღმერთო.“ და სხუაი იტყვის, ვითარმედ: „ტრფივლი ჩემი ქრისტე ჯუარცმულ არს.“ და სხუაი კუალად, ვითარმედ: „უკეთუ სიყვარული ქრისტესი განფინიდ არს თქუენ შორის განდა იკითხეთ ესე, რამეთუ ერთი ყოველთათვისი მოკულა, რათა ცხოველნი არღარა თავთა თვისთა ცხოველ იყვნენ, არამედ მათთვის მომკურნისა და აღდგომილისა.“ ესე ვითართა სიყვარულითა შეიყვარა

ღმერთმან სოფელი და ესრეთ შეყვარებულ იქმნა წმიდათა მიერ, მოუწლომედ და და უსომოდ.

ხოლო ჩუენ, ვინათგან გრილად გვიყვარს იგი, ამისთვის წარვიტყუენით ბოროტთა გულის სიტყვათა მიერ და ხორციელთა გულის თქუმათა. რამეთუ შევიტკბობთ საღმობასა სიმართლისა წილ და სიმწარესა სიტკბობისა წილ და შფოთსა მშვიდობისა წილ. არამედ განვიფრთხოთ, გვედრები, მძანო მარადის და განვიწმიდით სული ჩუენი ესე ვითართა მათ წარმწყმედელთა გულისთქმათაგან, რათათა მოვიგოთ ქრისტე თანა მკვიდრად. რამეთუ სადგცა იყოს სიწმიდგ მუნცა არს ქრისტე და ესე არს ნეტარი იგი და საწადელი ცხორებაი, რათათა ესრეთ მოქალაქობითა დაეიმკვიდროთ ჩუენ სასუფეველი ცათაი, ქრისტე იესუსი მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაი არს დიდებაი და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის ...

**შემდგომად წმიდისა აღვსებისა, რათათა ვერძალნეთ თავთა თვისთა და ველტრდით მაგნებულთა ადგილთა და სახეთა ცოდვისათა**

გუაკურთხენ, უფალო. მძანო და მამანო, მომიწოდს ჩუენ ეამი ესე შემდგომად დღესასწაულისა კუალად მოხვლად ზრახუად თქუენდა და ჩუეულები-საებრ მიცემად სწავლისა. ვინაცა მოვედ გულსმოდგინეთ, რამეთუ მებრვე ამისთვის დადგინებულ ვართ და ვაი არს ჩუენდა, არა თუ ვეტყოდით რაოდენნი შეგაკეს. რამეთუ უკუე ვთქვათ აწინდელსა ამას ეამსა? ვითარმედ, თითოეულმან თქუენმან, ვითარცა რაი ვაჭარმან გონიერმან შეიკრინბა თავისა თვისისა სიმდიდრე დღეთა ამით შინა წმიდათა მარხუათასა და წმიდად აღვსებად, ვითარცა ნეთსაყუდლად შემოვიდა მრავლითა და პატრონითა ტვირთითა სათნოებათათა აღგებულნი, რომელ არს მარხუაი, მღვიძარებაი და ღლოცვაი, საქმის მოყვარებაი და რაოდენი არს ესე ვითარი სიწმიდისა მოსწარავებაი.

ამიერიდან ზრუნვამ არა მცირედი თანა გუაც დაცვად ესე ვითარისა ამის სიმდიდრისა, რამეთუ არა თუ ვითარცა ხილულისა ნაუთსაყუდელისათვის და ვერეთვე სულიერისათვის ხ(კ)მა ვეოფების, რამეთუ მუნ ვითარცა ვინ შევიდეს, მიერთვან უზრუნველ არნ და უურავ დღევათათვის და განსაცდელთა ზღვისათა. ხოლო აქა წინააღმდეგომ იქმნების, რამეთუ განსუენებოთა ხორცთათა უმეტეს განძინებობიან ენებანი, და იწყებენ კვეთებად, ვითარცა ნიაქპარნი სასტიკნი სულნი უკეთურებიანი: სული სიძვისა, სული ნაყოფანებისა, სული ვეცხლისმოყვარებისა, სული მოწყინებისა, სული მწუხარებისა, სული ამპარტაენებისა, და შიშ არს ნუ უკუე ნაუთსაყუდელსა შინა საწყალობლად დავინთქეთ. მიხედნა ოდენზე განუკრძალვედ წმიდამან დავით ცოლსა ურიისასა და რამ იგი შეემთხვია უწყიან, რომელნი იკითხვენ; ჭამა იაკობ, განძდა და განწინა საყვარელი იგი თვისი; შეეხო ვინმე უნებლიეთ და აღგზნა გულისთქმითა და გამოშვა უმჯულოება; იხილე, რომელსა ევა გესმის და ევლტოდე მავნებელთა ადგილთა და სახეთა ცოდვისათა. განიკანონე თავი შენი და თუაღნი და სასმენელი, და ყნოსა, და გემოსხილვია, და შეხება, ჭამი და სუმი და ძილი, რათა დაუწთქველად ეგო დღევათაგან ენებათასა. და ესეცა საცნაურ იყავნ, რამეთუ რომელი ხილულსა ამას ზღვასა ვიდოდის, თვით არს უფად დღევათაცა და მუდროებისაცა. და რომელმან უჯერონი გულისსიტყვანი ახოვნებით წარიტნეს, ადივსოს იგი მუდროებითა და თანა მოგზაურად მოიგოს თვისსა სული წმიდა, ვითარცა წერილ არს წმიდისა არსენისათვის. ხოლო, რომლისა საცნობელნი დახსნილ იყვნენ და მსგავსად ნიაქპართა შეიკრებდეს უჯეროთა გულისთქმითა ეგვეთარი იგი, თავით თვისით აღსძრავს დღევათა ბოროტთა, რომელმან არათუ ადრე დააყუდნეს დღევათა იგი გულისსიტყვათაგანნი, მოიწიოს მის ზედა აღმოთქუმა საწყალობელისა მის ხმისა: „მოვედ მე სიღრმესა გულსა ზღვისასა და მოქცევამან დამნთქა მე.“ აწ უკუე იყავნ საცოე გულისსიტყვათა ზედა

მარადის და ნუმცა მიიზიდვის უმჯობესე უდარებისაგან, არამედ უფლებსმცა სული და მოიყვანებს უმჯობესისა მიმართ. ანუ არა უწყითა, რამ იგი მოაწია ცოდვამან? ანუ არა ამან შემოიყვან სოფლად სიკუდილი? არა ამან განხრწნაა ყოველი ქუეყანა? არა ამან ადავსოა სოფელი სიკუდილითა და საფლავითა დასაბამითან და ვიდრე აქამომდე? რამეთუ პირველ მცნებისა გარდასვლისა უხრწნელ იყო კაცი და არა რამ აქუნდა პირველ თქმულთა ამათგანნი. უკეთუმცა ადამს დაეცვა მცნება და მბადებელისა უძევველად, ესევე არს მიზეზ საუკუნეთა შათ სატანჯველთა, ესე არს უშრეტისა მისცა ცეცხლისა აღსაგზებელ, ესე არს დაუშრეტელისა მისცა მატლისა აღმორძინებელ, ამან კაცი პატივსა შინა მყოფი პირტყვთა უგუნურთა მოსგავსებითა უგუნურად გამოაჩინა.

ვინათგან უკუე ესე ვითარი სასიკუდილე არს და წარმწყმედელ, ყოვლითა ძალითა ეველტოდეთ მისგან ძმანო, და შევიტკობთ სათნოება პატიოსანი, რომელი კაცთა ანგელოზად გამოაჩინებს და სიკუდილსა მძლე ექმნების, და ეშმაკთა დასთრგუნავს, და შთავარსა მას სოფლისასა შემსურავს, და სასუფველსა ცათასა დაგვიწინდებს, რომლისა ღმრსმცა ქმნილ ვართ ყოველნი მიმთხუეად, მადლითა და კაცთმოყვარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა დიდება სულით წმიდითურთ და სიმტკიცე, აწ და მარადის ...

**შემდგომად აღვსებისა, საშინელისა მისთვის სასხვაჯეროისა, და რათა კრძალულად გარდავიხდიდეთ დღეთა ცხოვრებისა ჩუენისათა**

ძმანო და მამანო, მიმყოვრება ესე ამის ცხოვრებისა ნუმცა იქმს ჩუენ შორის უდებობასა, ნუცა დახსნილობასა, ნუცა სულმოკლებასა, არამედ უფროსდა მოსწრაფებასა და გულსმოდგინედ მოღვაწეებასა, სათნოყოფად ღმრთისა, ვითარცა მიახლებულთა სიკუდილსა. ხოლო არავინ მონაე მიახლებულ სიტყვისცემად უფლო



სა თვისისა, გინა მოციქული მივლინებულისა თვისისა უღებ არნ, არამედ ესოდენი დუაწლი აქუნ, ვიდრედა განკროთმილად ხაგონებულ არნ მის მიერ. ვგრეთვე ჩუენცა, ვინათგან მივეხილებით უფალსა უფროსელსა მოგვეხილების ჩუენ უფალი და საშინელი იგი სიტყვისგებაი და სამსჯავრო, ოდეს იგი შიშუენლი და ქედ დიდრეკილნი წარედგეთ ყოველნი სიტყვის მიცემად საქმეთა ჩუენთათვის, და მოღებად გინათუ ხასუფეველისა ცათასა, გინათუ ტანჯვისა საუკუნოსისა, და ვინმცა იყო, რომელი უღებ იქმნა, გინა დახსნილ ეხე ვითართა ამთ საქმეთათვის, და არა უმაფრეს ცეცხლისა მოსწრაფე და ფრთხილ აღსრულებად ნებასა უფლისა თვისისასა, რათა არა იპოს, ვითარცა მონად იგი, რომლისანი შეეკრნეს ხელნი და განიხადა ხასილოსა მისგან.

ხოლო უკეთუ ესე სახე არა შეგვაშინებს ჩუენ, აქანსა ამის ხასისაგან ვისწაოთ ყოფადი იგი, ხოლო ვიტყვი საწუთროსა ამის საქმეთა: არა ეხედეთა მტერთა მეფისათა? ვითარ რომელნიმე საპრობილთა იტირვიან, და რომელნიმე გეკითთა განიკითხვიან, და რომელნიმე ექსორიობად წარციქვიან, და სხვათა თუალნი აღმოხედებიან, და რომელნიმე სიკუდილთა დაისაჯებიან, ხოლო რომელთა არაა უცოდავს, იხილე კუალად, ვითარ ივინიცა შიშით დგანან წინაშე მისხა და ძრწოლით მსახურებენ მას. და აქა და იქი, მიიმეთა და ხატიროთა საქმეთა და ბრძოლად რაა წარიგზავნებოდიან, არაეინ იკადრებს ურჩებასა, გინა სიტყვის გებასა, ხოლო უკეთუ განხრწნადისა მეფისათვის ესრეთ იქმნების, რაოდენ უფროსს უხრწნელისა მის მეუფისა და უფლისა უფლებათასათვის ჯერ არს ესრეთ ქმნა, შიშით და ძრწოლით, და არა რას, უფროსს განწესებულისა ქმნად, ანუ სიმდიდრესა სიტკბოებისა მისისასა შეურაცხყოფად და სახიერებასა და სულგრძელებასა, ვითარცა იტყვის წერილი: „და უმეცარ ხარ, რამეთუ სიტკბოებაი ღმრთისაი ხინანულად მოგიყვანებს შენ, ხოლო სიფიცხითა მაგით შენითა და შეუნანებელითა გულითა, იუნჯებ თავისა შენისა რისხვისა დღედ რისხვისა, და გა-

მოცხადებისა, და მართლმსაჯულობისა ღმრთისა, რომელმან იგი მიაცოს კაცად კაცადსა საქმეთა მათთაებრ.“

ესე შეგვაშინებდინ ჩუენ და ყოველთა დღეთა ჩუენთა შიშინ(თ) და კრძალვით გარდავიხდიდეთ, განვაგდებდეთ ძილსა თუალთაგან ჩუენთა და განთიად მსთუად ადვდებოდით და ფრთხილად და მღვიძარედ ვილოცვიდეთ, რაქამს აღდგომისათვის უფლისა ზოგად არა ვილოცვიდეთ ვამთა, რათა განმზადებულნი ვიწყებდეთ შრომად საქმესა ჩუენსა, გინათუ კელარი საკელაროხისა, გინათუ მზარეული სამზარეულოხისა, გინათუ მსახური მსახურებისასა, გინათუ ნუგეშინისმცემელი ნუგეშინისცემისასა, და რათა მოკლედ ეთქუა, ყოველნი ყოველსა შინა მშვიდობასა გეყოფდეთ. ნუმცა სადა არს დრტვინეაი, ნუმცა სადა არს ურჩებაი, ნუმცა სადა არს დიდადებამი, ნუმცა სადა არს ცილობამი, ნუცა მანკიერებამი დაფარული, რათამცა გარეშე აქუნდა რეცა სახე მშვიდობისაი, ხოლო შინაგან ზრდიდა მანკიერებასა, და ვითარცა დახუდა ვამი უკებდამცა ვითარცა გუელი, ანუ ვითარცა აქლემი ძვირის მოხსენე. იქმნა ყუედრებაი და შეურაცხებამი ანუ სხუაი რამეი ესე ვითარი, და კუალად იქმნა სინანული და შენდობამი და სიყვარული, და წარხდა ენებაი იგი. ნუ კუალად ადაგზნებთ სიყვარულითა გულისსიტყვათათა, ნუცა მსგავსად წერილისა: მიავებთ ბოროტსა ბოროტისა წილ, ნუცა ვინებასა, ვინებისა წილ, არამედ უფროსდა აკურთხევდით და უწყოდეთ, რამეთუ მებრვე ამისთვის იმინეთ, რათა დაიმკვიდროთ თქუენ კურთხევაი.

„რომელსა მნებავს ცხობრებაი და უწყარან მას ხილვად დღენი კეთილისანი – ვითარცა წერილ არს – დააცხვრე ენა თვისი ბოროტისაგან და ეყენ კეთილი, მოიბიე მშვიდობამი და მისდევდინ მას, რამეთუ თვალნი უფლისანი მართალთა ზედა და ყური მისნი ლოცვასა მათსა ზედა. ხოლო პირი უფლისაი მოქმედთა ზედა ბოროტისათა.“ და ესე უდარენი სათნოებანი არიან, ხოლო რომელნი არიან უმაღლესნი, ბრძოლად ჩუენი მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა სოფლის მპყრობელთა

მიმართ ამის ბნელისათა, და მოწვევულისა ამის მიმართ დევნულებისა, რომლისათვის გვითქუმენ და მრავალფერად გვაშინებენ. აწ უკუე უდარესთა მათ შინა უხმარ ვიპოვნეთ, ვითარ წარვგმართნეთ უმაღლესნი ესე? რამეთუ რომელი მცირესა ზედა სარწმუნო იყოს, იგი დიდსაცა ზედა სარწმუნო იქმნების, ვითარცა იტყვის უფალი.

ვინაითგან უკუე თქვენ მცირედსაცა ზედა და მრავალსაცა სარწმუნოდ გამოხსნდით მადლითა ქრისტესითა, აღსაარებისათვისცა და მორჩილებისა ნუ ვინა მისდრკებით, არამედ ორკერძო სრულ იქმნენით და განმტკიცებულ ყოვლისათვის საჭმისა კეთილისა, და ნუცა ერთითა რაით სცემთ დაბრკოლებასა, რათა არა იგმოს მსახურება თქუენი, არამედ რათა სათნო ყვევით ქრისტესა ყოველსავე შინა, და დაიმკვიდროთ სასუფეველი ცათაჲ, ქრისტე იესუსს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდება და სიმტკიცე, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის...

**შუგა ზატიკსა: ვითარმედ ჯერ არს განსურნელებაჲ თავთა თვისთა მოკებთა სათნოებათათა**

მანო და მამანო, ქრისტეს აღდგომისა ყოველმან დაბადებულმან ზამთრისა იგი მკუმნეარებაჲ, ვითარცა მოკუდავობაჲ რაიმე განაგდო და კუალად მხიარულ არს და ორძის, რამეთუ აჲ ესერა ვხედავთ ქუეყანასა შემოხილსა მწუანვილითა და ნერგთა ყუაილითა, და პირუტყუთა მხიარულებითა, და ზღუასა მყუდროებითა და ყოველსავე უმჯობესად შეცვალელებსა. არამედ ვოქუა იგი, რომლისა პირისათვის ესე წარმოვოქუ: რამეთუ უკეთუ უსულონი და პირუტყუნი ესრეთ შეიმკვებიან და განსურნელებიან აღდგომისა თანა ბრწყინვალესა და ყოვლად დიდებულსა, რაოდენ უფროსს და უმეტეს თანა გუაც განსურნეებაჲ და განათლება ცხორებისა ჩუენისა, რომელნი ესე სიტყვითა და ხატებითა უფლისათა პატრიცკულ ვართ, და განსურნელება სულითა, რამეთუ ჭეშმარიტად

სურნელება არს ქრისტეს სათნოებათა განსურნებული. და მეწამების მოციქული და იტყვის, ვითარმედ: „ქრისტეს სურნელე-ბანი ვართ ღმრთისა მიერ ცხორებულთა მათ შორის და წარწყმედულთა, რომელთაჲმე სულად სიკუდილითა სიკუდილად და რომელთაჲმე სულად ცხორებითი ცხორებაჲ.“ და ამისთანა ამისიცა ჯერ არს თქუმაჲ, ვითარმედ: ადამ პირველ მცნებისა გარდასვლისა სურნელება იყო ღმრთისა და უკუდავებითა და უხრწნელებითა განბრწყინებულ, და საღმრთოთა ხილვათა მიერ აღტაცებულ, ვინაიცა ვითარცა ველი რაიმე სურნელი და ყუავილოვანი, და შესაბამად თვისა საშობესცა შინა იქცეოდა და ფშოდა სათნოებათა. და კუალად ისაჲ მამათმთავარმან იენოსა რამ სული სულ-ნელებსაჲ, იაკობოსაგან ძისა თვისისა, იტყოდა: „აჲ ესერა სულნელებაჲ ძისა ჩემისა, ვითარცა სულნელებაჲ აგარაკისა საესისაჲ, რომელი აკურთხა უფალმან.“ ხაცნაურ არს უკუე ვითარმედ სულდგერსა სათნოებასა მოასწავებდა. აწუე ჩუენცა, პოე მმანო, ვფშოდით სულნელებასა სულიერსა, რომელსა თითოეული შეჰმზადებს შეზავებითა სათნოებათათა, ვითარცა ჭეშმარიტად ხელოვანი მენელსაცხებლდ, რამეთუ ესე არს მიპრონი კეთილი, რამეთუ ესე არს ნელსაცხებელი ღმრთისაჲ. ესე მიპრონი მთაზიდაცა ანგელოზთა და წარსდევნის ეშმაკთა. ამის ნელსაცხებლისა მიერ რბიოდეს ქალწულნი შემდგომად იესუსსა, ვითარცა იტყვის ქებაჲ ქებათაჲ, ამით სულნელებითა ჩუენცა ვრბიოდით მარადის, და აწ კართა ზედა მოწვევულსა წმიდასა ამას შუა ზატიკსა წადიერად ვდღესასწაულობდეთ, ვინაითგან წერილ არს: „და ვითარცა დღესასწაული იგი გოდენწოვებულ იყო, აღვიდა იესუ ტაძრად და ასწავებდა და უკვირდარ პურიათა და იტყოდას: ვითარ ამან წერილი იცის უსწავლელად“. გარნა ესე იყო პირველ ვნებისა, ხოლო აწ შემდგომად აღდგომისა ქრუენებოდა და თანა მქცეოდა წმიდათა მოციქულთა, და აუწევებდა მათ დაფარულთა და გამოუთქმელთა საიდუმლოთა. და ეჲ, მიუწდომელი იგი სიმდაბლდ რამეთუ შემდგომად აღდგომისა საზრდელი მიიღო.





დადაცათუ არღარა უხმდა წმიდათა მათ ხორცთა მისთა, არამედ რათა აღდგომათ თვისი ხარწმუნოთ ყოს, ჭამაცა, და სუაცა, და განიხილაცა გუერდით, და რომელთა იგი ეგონა, ვითარმედ სული არს ესრეთ პრქუა: „იხილენით ხელნი ჩემნი და ფერხნი ჩემნი, რამეთუ თავადი მე ვარ. ხელი შემახეთ და იხილეთ, რამეთუ სულსა ხორც და ძუალ არა ასხენ, ვითარცა მე მხედავთ, რამეთუ მასხენ.“ რასა იტყუი ამისთვის პოა, ქრისტეს მბრძოლო? უკეთუ ხორცნი და ძუალნი ასხენ, გამოხატეად არა აქუსსა? უკეთუ მგორე ესე არა აქუსს, არცა პირველი აქუნდა, გარნა თავადი წამებს თავისათვის გამოხატეასა მდუმრიადცა, რამეთუ ორივე ესე ურთიერთარს დაამტკიცებს, გამოხატეად ხორცსა და ხორცნი გამოხატეასა. გარნა ხატთა მბრძოლნი, ვინათგან სწორად მანიქველთა წვადებენ, სწორიცა მათი მიუხადოს სშჯული, მომსერელი საუკუნოა, მსგავსად წერილისა. ხოლო ჩუენ ძმანო, ვინათგან მართლმადიდებლობით და კეთილითა გონებითა გურწამს, უფალი ჩუენი იესუ, ხატსა შინა ხილვად და თავყანისცემად, შემსგავსებული სარწმუნოებისა ჩუენისადა ვაჩუენოთ მოქალაქობადა წმიდათ, განსრულებული და უნაკლულოა, რათა არა ერთ კერძო მკვლობდეთ, არამედ ორკერძოვე მტკიცე ვიყენეთ და რჩეულ, და ღირს ვიქნეთ მიმთხუვად სასუფეველსა ცათასა ქრისტე იესუსს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისადა არს დიდება და სიმტკიცე, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის ...

ღეს ცასა ცათასა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „ამდღითა ხაროთ გამოსწანილნი“ და ვითარმედ: „თანა აღმადგინნა და თანა დამხსნა ზეცათა შინა ქრისტე იესუსს მიერ, რომელ არს მარჯუენით ღმრთისა, უმაღლეს უფროსს ყოველთა მთავრობათა და ხელმწიფებათა და ძალთა, და ყოველსა სახელსა სახელდებულსა არა ხოლო თუ ამას სოფელსა, არამედ მერმესაცა. და ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერხთა მისთა და იგი მოსცა თავად უფროსს ყოველისა ეკლესიისა, რომელი იგი არს გუამი მისი და აღსაესებადა, რომელმან იგი ყოველი ყოველსა შინა აღავსო.“ ხედავთა, თუ ვითარსა დიდებასა ამაღლდა კაცობრივი ბუნება ქუეყანით ზეცად და ხრწნილებინაგან უხრწნელებად? რაოდენიმცა ვინ შრომათ თავს იფდა, რათამცა იქმნა საყუარედ ქუეყანისა და განხრწნადისა მეფისა? არამედ ჩუენ დადაცათუ უცხოქმნილ ვიყუენით და მტერ გონებითა, საქმეთა მიერ ბოროტთა, არა ხოლო თუ დავეგვებით ოდენ ღმერთსა და მამასა უფლისა ჩუენისა მიერ იესუ ქრისტესსა, არამედ ძეობისა პატვისცა ღირს ვიქმნებით, და არს ბუნება ჩუენი ზეცთა შინა ყოველისა ხილულისა და უხილავისა დაბადებულისა მიერ თავყანისცემული. ესე ვითარი არს დიდებულებად მიუთხრობელისა კაცთმოყვარებისა სახიერისა ღმრთისა ჩუენისადა, და ესე გულისხმაყო ნეტარმან მოციქულმან და ხმაყო, რად იგი არს სასოებად ჩინებისა მისისადა, და რად იგი სიმდიდრე მკვიდრობისა მისისადა წმიდათა შორის, და რად არს გარდარეული სიმდიდრე ძლიერებისა მისისადა ჩუენდა მომართ მორწმუნეთა, შეწვევისაგერ სიმტკიცისა ძლიერებისა მისისა, რომელი იგი ქმნა ქრისტეს მიერ, და თუ რად ქმნა: მოვიდა ჩუენდა ყოველად სახიერი იგი ქალწულებრივისა ბუნებისა მიერ, მშახურა შემსგავსებულთა შჯულთა ბუნებისათა, აღვიდა ჯვარად და დამსჯავდა მას ზედა ხელთწერილი ჩუენი, შთახდა ქუესკნელთა ქუეყანისათა და დამხსნა საღმობანი სიკუდილისანი, და თანა აღადგინა კაცობრივი ბუნება, და მერმე ამაღლდა დიდებით და წარუდგინა თავი თვისი ჩუენთვის ღმერთსა და მამასა ...

**ითქა უწინარეს ამაღლებისა. ამაღლებისათვის იესუ ქრისტესსა, და რათა სათნოდ ღმრთისა ვიქცეოდით თავთა შორის თვისთა**

გვაკურთხენ, უფალო, ძმანო და მამანო, ამა ესერა კართა ზედა მოიწია ჩუენდა დღესასწაული დღესასწაულთადა, ამაღლებად მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი. და რაბამ არს საიდუმლოდ ესე და უვადრეს ბუნებათა, რამეთუ ამაღლების ბუნება ჩუენი უმაღ-

მასა, და რაითა მოკლედ ვთქვა: ესე არიან ბრწყინვალეებიანი ამის დღესასწაულისანი. ამას განვიცდიდეთ ძმანო, და რამეთუ ვართ ხორცინი ქრისტესნი, შვევიკდიშოთ ნიჭისა ამისგან, დავიცვათ აზნაურებამ, ნუ განვსცემთ მადლსა, ნუ ვგყოფთ ასოთა ქრისტესთა ასო მეძვის, არამედ უფროს-და განვიწმიდნეთ თავნი თვისნი გულის-სიტყვათაგანცა და საქმეთა, უფროსდა განვეშორნეთ ხორციელსა გულისთქმისა, რომელნი იგი განვეწოვებინ სულისა მიმართ. კეთილი ქცევაჲ გუაქუნდინ თავთა შორის თვისთა, მშვიდი, ყუდრო, მორწილი, მდაბალი, და დაწინარებული, რომელი ესე არს სანატრული ცხორებამ. ხოლო შუებაჲ და განცხრომად, სიცილი და დაუწყნარებლობად, და რაოდენიცა არს უჯეროდ მიუშუათ სოფლის მოყვარეთა და ხორციშოყვარეთა, რომელნი ხედვენ და არა ხედვენ, ესმის და არა ესმის, რამეთუ დაბრძობილნი გულნი ჰქონან და ყურნი დამძიმებულნი, რათა ვერ განარჩიონ კეთილი ბოროტისაგან, და ნათელი ბნელისაგან, და ცხორებამ სიკუდილისაგან, არამედ განშაადებულნი მივლენ ცეცხლად, რამეთუ ცეცხლი არს გულისთქმად ხორცი-თა და დაუბრკოლებლად მიზიან მისსა, მთხრებლ არს ვერცხლის მოყვარებამ და შთახად მას შინა არა დასცხრებიან, არამედ თავით თვისით ნებსითსა მას ეშმაკსა მოიტაცებენ, რომელნი იგი ვაებისა ვადრედა ნეტარებისა ღირს არიან, რამეთუ ჭეშმარიტი იგი კეთილი განიშორეს და მოსპოლვაჲ იგი ხრწნილებამ შიტკებეს.

ხოლო ჩუენ ძმანო შვეიკრძალოთ აღსაარებამ ჩუენი, რომელსაცა ზედა ვდგათ და ვიქადით, სასოებისა ღმრთისა მიერისა დიდებისათა, შუეღვთ მოღვაწებასა, რომელი მოიღვაწეს წმიდათა, და უფროსდა რომელსა ესე აწდა უგალობდით, ნეტარ-მან პახუში. კეთილად ვხედვიდეთ, კეთილად ვისმენდეთ, კეთილად ვეშურებოდით, ყოველთა ასოთა კეთილად ვიხუმევდეთ, ვითარცა სიტყვისა მიერ წარმართებულნი და სიტყვისა მსახურნი, რათა დავიმკუდროთ აღთქმული იგი საუკუნოდ ცხორებამ, ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა,

რომლისა არს დიდებამ თანა მამით და სული წმიდითურთ, აწ და ...

საქართველოს  
საეპისკოპოსო

**ვითარმედ ჯერ არს წმიდითა გონებითა ზიარებამ წმიდათა საიდუმლოთა, რომელი ესე ითქვა ამაღლებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა**

ძმანო და მამანო ამაღლებამ მოიწია და დღესასწაული ესე აღსასრული არს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს განგებულებისამ, რომელმან ნებისაებრ მამულისა ყოველი რამ აღასრულა ამაღლდა დიდებით და თანა აღმამაღლნა და თანა დამსხნა ჩუენ ზეცათა შინა წმიდათა მათ მიერ ხორცთა თვისთა და ეპა, სიმდიდრე ესე დიდებისა მისისამ. და ეპა, გარდარეული ესე დიდებამ ძლიერებისა მისისამ, რამეთუ მდაბალი ესე და უნდომ ბუნებამ ჩუენი საყდართა სამეფოთა აღიყვანა, ყოველთა მიერ ზეცისა ძალთა თაყვანისცემული, ესე განვიცადით ძმანო და შვევიკდიშოთ და შვეკრწუნდეთ სიმდიდრისაგან ამის ნიჭისა და ღირსად თავისა ჩუენისა ემოქალაქობდეთ, ვითარცა ახონი ქრისტესნი, ვითარცა ხორცინი და თანა მკვიდრნი, და მყარნი მისნი სიწმიდითა და მეცნიერებითა, სულგრძელებითა და სიტკობებითა სულთა წმიდითა, სიყვარულითა შეუორგულელებითა, სიტყვითა ჭეშმარიტებისამათა, ძალითა ღმრთისამათა ყოველთა მორწილებითა და სიმდაბლითა, ყოველთა მოწყალებითა და კრძალულუბითა. ნუმცა რამ არს ჩუენ თანა უჯეროდ და ნუმცა რას ვიქმთ გარეშე მცნებისა. რამეთუ რომელი შეაგინებდეს ხორცთა თვისთა, არა არს ასო ქრისტესო, და რომელი ძვირსა იხსენებდეს, არა არს ასო ქრისტესა. და არცა ღირს არს ზიარებამ წმიდათა საიდუმლოთა, რამეთუ იტყვის მოციქული: „გამოიცადენ კაცოჲ კაცადმან თავი თვისი და ესრეთ პურისა მისგან ჭამენ და სახუმელისა მისგან სუნ, რამეთუ რომელი ჭამდეს და სუმიდეს უღირსებით, დასახჯელად თავისა თვისისა ჭამს და სუამს, რამეთუ არა განიკითხნა ხორცინი უფლისანი.“ ამისთვის მრავალ

არიან თქვენ შორის უბღურ და სნეულ და წვანან მრავალნი. „არამეთუ უკეთუმცა თავთა თვისთა განვიკითხვიდით, არამცა განვიკითხვინით, ხოლო განთუვიკითხვით, უფლისა მიერ განვიხსნავადებით, რათა არა სოფლისა თანა დავიხსაჯნეთ.“ ვინამცა წმიდა ვიქმნეთ და უბიწო, რათა ღირსად გუეწოდოს ასო ქრისტესი და ესრეთ ეწიარებოდით წმიდათა საიდუმლოთა. და ესე რომელ ოდესმე უკრძალველობითა წყნითა აღტყინების წუნ შორის გულისთქმად ბოროტი, გინა რისხვამ, გინა შური, გინა სიძულელი, ანუ სხუად რამე დმრთისა საძულელი, არა საკვირველ არს, არამედ რათა მოსწრაფედ კვლად ვეგუბოდით პირველსავე წესსა და განვიკურნებოდით, და ნუ დაეყოვნებთ სიბოროტესა შინა. რამეთუ დადგრომასა და დაყოვნებასა თანა წარუვალი აქუს სასჯელი. ანუ არა საკუდილი მესქეულად მოიწეისა? აბა ესრეთ, გუშინ მივედით ხილვად ემისკოპოსისა და ვპოვეთ სიმძიმესა შინა, ყოვლითურთ განდევნილი მხურვალეებისაგან და ყოვლითურთ წარწირული ურვისაგან და სულმოკლებისა იმიერ და ამიერ მხედველი და არამ ვინა შეწვენისა მპოვნელი. ვარნა ხოლო გონებისაგან გინათუ კეთილისა, გინათუ ბოროტისა რამე არს ანუ არა წყენცა ვგრეთვე შეგვემთხვიოსა, ვარნა რამ არს ესე სიზმარი და ანრდული მერმეთა მათ თანა სატანჯველთა. რამეთუ ცეცხლი იგი არა დაშრტების და მატლი არა მოკუდების და ბნელი არა განქარდების, საკრველნი არა განისხნებიან, ტარტაროსი არა განიღვევის, ღრტენად კბილთაი არა დასცხრების, და სხვანი იგი ყოველნი სატანჯველნი საუკუნო არიან და დაუსრულებელ. ამას ყოველსა გონიერად გულისხმაყოფადით, მძანო და ნუმცა ვართ მოყვარე ვნებათა, ნუცა მოშურნე, ნუცა მანიერ, ნუცა მრისხანე, ნუცა ძვირის მერკველ, ნუცა მტყუანე, ნუცა სხვისა რისამე წინა აღმდგომისა მოქმედ, არამედ მშვიდობის მყოფელ და მტკიცე და ღმობიერ და სახიერ და ღმრთის მოშეშებით ურთიერთარს ვიყვარებოდით და ყოველსავე ბრძანებულსა წუნდა ვიქმოდით, რათა სატანჯველთაგან განვერნეთ

და საუკუნესა ცხორებასა ღირს ვიქმნეთ ქრისტე იესუსს მიერ უფლისა წყენისა, რომლისაი არს დიდებაი თანა მამით და სულთ წმიდითურთ...

### გარდამოსვლისათვის სულისა წმიდისა და სიკუდილისათვის უბადრუკისა ევბრეებისა. ითქუა პირველ მარტილისა

მძანო და მამანო, მეერგასესა დღესა მოვიწინით გარდამოსვლასა სულისა წმიდისასა, ვითარცა იტყვის უფალი, ვითარმედ: „უკეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინისმცემელი იგი არა მოვიდეს თქვენდა, ხოლო უკეთუ წარვიდე, მოვაგლინო იგი თქვენდა და მოვიდეს იგი და გიძლოდის თქვენ ყოველსა ჭეშმარიტებასა.“ ვბა, აღთქმა დიდებული, რამეთუ არა ანგელოზი, არცა კაცი აღუთქუა მოვლინებად, არამედ თავადი იგი და თანა არსი სული. აღვიდა უკუე ზეცად მხოლოდ შობილი ძე ღმრთისაი, მამული რამ აღასრულა საქმე და გარდამოხდა სული წმიდაი, არა სხუად ღმერთი, ნუ იყოფინ! არამედ სხუად ნუგეშინისმცემელი, ვითარცა წერილ არს.

და მოა, გამოუთქმელი კაცთმოყვარებაი, ნუგეშინისმცემელ წუნდა იქმნების ღმერთი და ნუგეშინისცემს ჭირვეულსა ამას და განვაფულსა სულსა, რათა არა მოუძღურდეს განსაცდელთა შინა. და წამებს წმიდაი მოციქული და იტყვის: ვარემ შე ბრძოლანი შინაგან შიშნი, არამედ რომელმან ნუგეშინისსცის მგლოართა, ნუგეშინისმცა წუნ ღმერთმან მოსვლასა მას ტიტესსა. ნუგეშინისსცემს გულსა მას შეშინებულსა შიშისაგან ეშმაკათისა და აღიყვანებს მას ნუგეშინისსცემითა სიმხნედ დაუპერობელად. და წამებს ნეტარი დავით და იტყვის: „არამეთუ შენ უფალი შემიწვი მე და ნუგეშინისმცე მე.“ ნუგეშინისსცემს ნეტარ ქსილსა მას გონებასა, ვითარცა იტყვის მოციქული: „ქრისტესითი უკეთუ — ვითარცა ღმერთი გლოცავს წუნ მიერ, გვედრებით, უკუე ქრისტესთვის დავენით ღმერთსა.“ იხილუა სიმდაბლუ ესე გამოუთქმელი, იხილუა ნიჭისა

ამის სიმაღლე, ზეშთა შინა მხოლოდ შობილი ძე მეობ არს ჩუენთვის მამისა მიმართ, ვითარცა წერილ არს, რომელი არს მარჯვენით ღმრთისა და რომელი მეობ არს ჩუენთვის. და ქუეყანასა ზედა სული წმიდაი ნუგეშინის გუცემს მრავალ სახედ და მრავალ ფერად. რაი უკუე მივაგოთ უფალსა ამის ყოვლისათვის. გარნა თუ ხმაი იგი მგალობელისაი აღმოუტქუათ და ვოქუათ: „ყოველთა ძუაღთა ჩემთა თქუან, უფალო, უფალო, ვინ გემსგავსოს შენ, რამეთუ იხსენ გლახაკი ხელთაგან ძლიერისათა და გლახაკი და დავერდომილი მიმო მტაცებულთაგან მისთა.“ და კუაღად: „შეწვენა არს ჩუენდა სახელითა უფლისათა, რომელმან ქმნა ცაი და ქუეყანაი, და არათუმცა უფალი შემეწია მე, კინდა და დამცაემკვიდრა ჯოჯოხეთს შინა სული ჩემი.“ და კუაღად: „უფალი არს მწე ჩემდა, არა შემეშინოს, რაი მიყოს მე კაცმან.“ აწ უკუე ვინათგან ესე ვითარი გუაქუს ნუგეშინისმცემელი, რომელ არს სული წმიდაი უბრძოლველი იგი ძლიერებაი, დიდი ხელის ამპურობელი და ღმერთი და მაცხოვარი. ნუ გეშინინ, ძმანო, შიშისაგან მტერისა, ნუცა შევძრწუნებდით წინააღმდეგმთა მათ ძალთაგან, არამედ ვითარმცა იგი გუაქუნდა წინამძღურად და მმართველად ჩუენდა, ახოვნებით მოღვაწეობისა და აღსარებისა ღუაწლნი სიმხნით და ახოვნებით თავისხნეთ. მერმეცა დღისა და დამისა უბრწოდ გარდახდითა. ნუ შეეიტყუებით საცთურითა ვეშაპისათა, ნუცა მოვმედგრდებით მოუკლებელთა მისთა ბრძოლათაგან; დაეშრიგოთ ტრფიაღებაი ხორცთაი, ვითარცა და მწველი სახლსა სულისა ჩუენისასა. რამეთუ არა არს გუ მოვნებაი, არამედ საღმობაი ბოროტი; არა არს მხიარულებაი, არამედ განცვიობრებაი გონებისაი და მწუხარებაი დამაქცეველი. და ესე იცან განფრთხობილთა ხორცთა სიცოფისაგან. და რომელთა ღმრთისა მიმართ ხოლო აქუს ტრფიაღებაი, რომლისა რამცა იყო უტკობელეს და უფროის საშუებელ, რამეთუ კინდა ესე ვითარი იგი ხორცთა შინა არს და სოფელსა შინა უსეშთაეს სოფლისა. და ცხორებასა ამას შინა უადრეს ხილულისა ამის ცხორებე-

სა ცხორებს. რომლისა მიერ დედუნი იგი მადლისანი აღძრულნი მუედროითა მით ნავითა სულისათა დაწუნარებასა გამოუტქმელსა იქმს სულსა შინა მისსა.

არამედ რამე არს უბადრუკებაი ესე, რამეთუ გემთმოყვარებისაგან ვიძლე ვით ჩუენ, რომელი ესრეთ ბოროტთა მიდრეკითა მიგუდრეკს და შეცვალებითა შეგუცვალებს, ვიდრედა არა გვიტე ვებს კეთილისა რაისამე განცდად, არამედ ქუეყანად მიმართ ხედვად და ხორცთა მიმართ და მისხლთა, ამისთვისცა ყოვლითურთ უცხო გუყოფს ჩუენ სახიერისაგან ღმრთისა ჩუენისა. არა გესმაა რაი იგი შეემთხვია საწყალობელსა ევბრებისს? რამეთუ აწეა გუაწეწეა ჩუენ, ვითარმედ მოკუდა, და მოკუდა არა საწუთროთა სიკუდილითა, ვაიმე საწყალობელსა, არამედ საუკუნოთა, ვინათგან შეეყო დედაკაცსა და მას შინა მოკუდა. პოი, რადა შეემთხვია უბადრუკსა უწყით განაღდა თუ ვითარ ბრწყინვიდა ნათელი პირველ თავსა ზედა მისსა კეთილად მორწმუნეობისა და სათნოდ ქცევისაი. არა ჩემთანა პურობილ იქმნაა აღმსაარებლებერ პირველსა მას პურობილობასა? არა იკონომოსობისა პიტვისა აღვიდა საკუდისა მონასტერსა? არა აწინდელსა ამას აღსარებასა განშეშულდაა, დუაწელთა მიმართ და ორგზის იგუემა და სიმხნით თავს იდგა. და მერმე რაი აქუნდა, ვითარცა იკონომოსსა გუადრუცი მონასტრისაი და მას შინა შთახადებელი, შესცთა ვერცხლის მოყვარებითა და მომედგრდა ოქროთა და განიგუშირა მსგავსად იუდაისა და განყიდა უფალი. პოიმე ვინაცა განიძარცუა ქაღელღებისა აღთქმაი, და მსგავსად გუეხისსა მოიფინა აგარაკნი, და ვენახი და ზროხაი და ცხოვარი და დაიმკვიდრა არათუ კუთროვნებაი მისი, არამედ უძიერესი ფრიად და მრავალ წილად მოსასრველი საუკუნო და ცაცხლი უშრეტი.

იხილეთ, ძმანო ჩემნო თუ რაი ქნა ვერცხლის მოყვარებამან და ვევეტროდით ვნებისა ამისგან, გუედრები, ვითარცა შინა განცემისა სავაქროსისაგან, იხილეთ თუ რაი მოაწია ურწმუნობამან. ვვეტროდით ბნელისა ამისგან, ვითარცა მუუ



ფისა შეერთებისა დამხსნელისა; ვეულ-  
ტოდით სხვისაცა ყოელისავე ვნებისაგან,  
რომელნი მოიცვენ საწყალობელსა სულსა,  
გულსწყრომასა ვიტყვი და შურსა, მრისხ-  
ანებასა და თავისა თვისისა სიყუარულსა,  
თუთ შჯულობასა და განთვისებულად  
რავსამე ქონებასა. იელტოდეთ მარტოე-  
ბით ყოფისაგან, რათა განერნეთ უფლისა  
მიერ ბრძანებულსა წვევასა, რამეთუ იტყ-  
ვის: „ვამ, მარტოსა, რამეთუ შეეთუ დაუ-  
ცეს, არა არს რომელმან აღადგინოს იგი“,  
ვითარცა შექმთხეია, რომლისათვის არს  
სიტყუად ჩუენი, რამეთუ უკეთუმცა ვინ  
ყოფილ იყო მის თანა, დადაცათუ დაეცა,  
თანა შეწვევითა მისითა ამცადგომილ იყო  
კუალად, და კუალად ეტირამცა ცოდვისა  
მისთვის და შეენანა. ეინაითგან კულა არა  
აქუნდა, წარწყმდა საწყალობელი იგი და  
მოსისო და წარვიდა თვისსა ადგილსა.  
ტირილითა და ტყუბითა საეხე არს, მძანო  
პამბავი ესე და შიშითა და ძრწოლითა  
სახე ესე.

და კუალად იტყვის, ვითარმედ: „რომ-  
ელი დგეს, უკრძალენ, ნუ უკუუ დაეცეს და  
რომელი კეთილად რბიოდის, იხილენ, ნუ  
უკუუ შეუბრკმეს“ და განიცდიდინ დაცემ-  
საცა ამას ზემო სსენებულისასა. რამეთუ  
ნუ უკუუ და მკონამცა ვინ თუ ანგულოსი  
დაეცეს ვიდრედა მძა იგი. გარნა მიერ-  
ულა რაი უღებუბითა დაეცა და მიზეხი  
იყო ეეცხლის მოყვარებაი. ხოდო არამცა  
გებყოფე თქუენ ეეცხლის მოყვარებისათ-  
ვის, უკეთუმცა არა მიმოდანბნულ იყვნით  
აწინდელისა ამის დეუნუღებისაგან, და  
სახმარ იყო თქუენდა საფასე საზრდელად  
სულთა თქუენთა. რამეთუ უკეთუ არა  
გერძალნეთ ძლიერად, შთასცვივეთ თქუენ  
სამკულურსა მას ეეცხლის მოყვარებისასა,  
ამის მიერ ვიეთმე არა თუ მოყვანსი პნებ-  
ვან, არამედ ოქროს; ამის მიერ არცა სი-  
ყუარულსა მძობისასა შეიტკბობენ, რათა  
ენებანი შეიტკბნენ; ამის მიერ ვერცადა  
ფერხნი დაჟუდნებიან, არამედ აქა და იქა,  
ვითარცა ძადლნი რბიან, რათა ნუ უკუუ  
სადამე მორწმუნეთაგან ეეცხლი შეიძი-  
ნონ; ამის მიერ ვიეთმე მონათა ენები-  
სათა მონანი მოიგნეს და წარწყმიდეს

სადმროთისა მის აზნაურებასა პატრონ-  
სხუანი კუალად სხვისა სახმრისათვის  
წარედენ, რომელი არა უხმს საჭიროდ  
და რეცა სახმრად თვისსა შეიკრებენ  
და ვაჭარ და მსყიდელ შექუელბაქეთაებრ  
დახხდებიან და შესაძინელად თვისსა ვაჭ-  
რობენ. იხილეთ მძანო საშჯელი ღმრთი-  
საი და იხილეთ საშინელი იგი და დაუძ-  
ინებელად მხედველი თუალი ღმრთისაი,  
რომელსა არა რაი დაეფარვის, არცა თუ  
დაფარულთა შინა გულისათა ქმნილი  
არა თუმცა გარეშითა კაცითა. იხილეთ  
საშჯელითა სიკუდილისაი, რამეთუ ამა  
ესერა ორთა მძათა ჩუენთა შეისუენეს  
მიღმან და ბარნაბა და პირველ ამათსა  
სხუათა და ერთი ერთსა შემდგომად წარ-  
ვალთ. ნუმცა ვინ წარაყავს სიკუდილსა  
განუშხადებელი გვედრები, ნუცა დაუმტ-  
კიცებელი, რამეთუ არა მცირედი ბორო-  
ტი არს განერდომია ღმრთისაგან და  
განერდომია სასუფველისაგან ცათაისა  
და სასჯელი და მისაგებელი საუკუნოა,  
რომლისა მოგონებასაცა ვერ დაუთმობს  
ყოველი ხორციელი, არა თუმცა საქმით  
გამოცადა, რომელი ესე უუჭველად მოიწყ-  
ვის მის ზედა, რომელმან არა ყოს სათნო  
უფლისაი. რათა უკუუ ჩუენ გლახაკთა  
განრომად შეუძლოთ მომავალისა მისგან  
რისხვისა ძეთა ზედა ურჩებისათა. ვუთ  
ბრძანებული ჩუენდა გვედრები და გმ-  
სახხუროთ ღმერთსა ამიერთგან. და რო-  
მელიცა რაი ვინ შეატყუეს თავსა თვისსა,  
ვითარმედ ნაკლულევან არს, განიწმიდენ  
თავი თვისი და განახლენ სული თვისი  
ნებასა ზედა ღმრთისასა, რამეთუ მახლო-  
ბულ არს იგი ყოველთა, რომელნი ხადი-  
ან მას. და დღითი დღე აღიღებს ცოდვათა  
ჩუენთა და მარადის ეედრებით გულოცავს,  
რათა აღვირჩიოთ ჩუენ ცხორებაი საუკუ-  
ნოა, რომელსა ღირსმცა ვართ მიმთხუვეად  
ქრისტე იესოსი მიერ უფლისა ჩუენისა,  
რომლისაი არს დიდება და ძლიერებაი  
თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ  
და ...

**ყოველთა წმიდათათვის და ვითარმედ  
არა სისხლთა დათხევითა ხოლო  
იქმნების წამება, არამედ ცხორებისა  
მიერცა ხაღმართისა და  
კეთილისა მოქალაქობისა**

ძმანო და მამანო, წმიდა მარტილია დღესასწაული არს დღესასწაულთა, რომლისა დღესასწაულობად ღირს ეიქმნებით, ხოლო დღესასწაული არს ესეცა ყოველთა წმიდათა, რომლისადა მიახლებულ ვართ. ხოლო ვინაათგან დღესასწაულთათვის არს კეთილისა რასამე მოგება გულის-სიტყვისა მიერ ხაღმართისა გულისხმავითა უკეთუ ვერ გინნს თუ რაოდენ და რაბამ არიან მოხსენებულნი ესე წმიდანი.

და ვინმცა უძლო აღრიცხუვად ვარსკვლავთა ცისათა და ქვიშათა ზღვისათა, რომელთა კნინდა და უზუშთაეს არიან სიმრავლითა ყოვლისა სოფლისა მოწამენი, რომელნი სარწმუნოებით ვრუოდეს წინა აღმდგომთა მათ ძალთა და ახოვნებით განეწყვნეს წყობისა მიმართ მძღაერთათსა: დათრგუნეს ცეცხლი, შურააცხვეს მახვილი, არად შეპრაცხეს მივინებრება მხეცთა და ყოვლისავე საქანურისა მიმართ აღიჭურნეს, რამეთუ შეპრაცხეს სატანჯველნი საშუებელად და სისხლთა დათხევანი სიხარულად. და ესე ვითართა სასოებითა ვიდოდეს ნაკურცხალთა ზედა ცეცხლისათა, დაშრიტეს სახუმილი აღტყინებული და ჰქმნეს ბუნებათა უზუშთაესნი ბუნებანი, განკვირვნეს მეფენი და მოწყლნეს იგინი წამებითა.

ხოლო რასა წამებდეს, ვითარმედ: „იესუ არს ქრისტე ძე ღმრთისა და სახელითა მისითა მოგუკცემის ცხორებად საუკუნოთ, ვითარცა წერიდ არს.“ გარნა რამე არს სისხლთა დათხევითა ხოლო იქმნესა მოწამენი? არა, ნუ იყოფინ! არამედ საღმრთოთა მოქალაქობითაცა და უბიწოთა ცხორებითა, რამეთუ იტყვის მოციქული: „იქცოდეს ხალხუებითა და თხის ტყავებითა, ნაკლულევანნი, ჰირვეულნი, ძვირ ხილულნი, რომელთა ღირსევი არა იყო სოფელი ესე, უდაბნოთა ზედა შეცთომილნი და მათა და ქვაბთა და ხურელთა ქუეყანისათა, — და მცირე ქუე-

მორე — ესე ოდენი მაქუს გარემოდგომილი ჩუენდა სიმრავლე წმიდა მოწამეთა. სიმძიმე ყოველი განვაგდოთ და მწარულ მოშავალი იგი ცოდვამ. მოთმინებით ვრბოდით წინა მდებარესა მას ჩუენსა დუაწლსა და ვხევიდეთ სარწმუნოებისა ჩუენისა და სრულებისა მოქმედსა იესუს.“

ხედავთა? რამეთუ ზოგად მოწამედ ურდა ყოველთავე სიწმიდისა ტრფილთა და მოთმინებასა მიერ საჭიროისა ცხორებისა მტერთაველთა.

აწ უკუე ჩუენცა, პოე, ძმანო, წამებასა ამას შინა დაწესებულ ვართ, რამეთუ თავსდებითა და მოთმინებითა ჩუენითა მრავალსა ამას მოქალაქობასა ჯუარშე-მოსილისა ამის ცხორებისასა. და დაცვითა ჩუენითა ქალწულებისა აღთქმასა და დამარხვითა ჩუენითა მორჩილებასა წამებასა უტყუელად ეწამებთ, ვითარმედ — იესუ არს ქრისტე ძე ღმრთისა; ეწამებთ, ვითარმედ — სასჯელი არს და მიგება; ეწამებთ, ვითარმედ — სიტყვა მიცემთ წინაშე საშინელისა მის ქრისტეს საყდრისა საქმეთათვის. წინა აღუდგეთ ემბაკსა — მტერსა მას ქრისტესსა, რომელი გუტანჯავს გემოთა, ვითარცა მტარვალთა მიერ უწყალოთა, რათა უვარჯყოთ, ვითარმედ, არა არს ღმერთი. რამეთუ განხრწნილნი საქმეთა მიერ ბოროტთა, ერჩიან და თანა ეწამებიან წინა აღმდგომსა და საქმეთა მიერ დაღადებენ, ვითარმედ არა არს ღმერთი, თქმულისა მისებრ წმიდისა დაეითისა:

„თქუა უგუნურმან გულსა თვისსა: არა არს ღმერთი,“ რამეთუ უკეთუმცა არა იყო დაეიწყებად ღმრთისა სულსა კაცთასა, ვითარცა რამ უარისყოფად რამე, ვერმცა უძლო გონებასა კაცთასა შთაგდებად გემოთა შინა ხორციელთა და მიდრეკად შერეულებისა მიმართ ცოდვისა. მოვრადობისა, ბიდწებისა, სიმღერისა, შუებისა, ანგაპრებისა, კერპთმსახურებისა და სხვისა ყოვლისავე მიმართ, რომელიცა რამ არს უწესობად და სიბოროტე და მიერთგან წარიტაცოს ღმრთისაგან. შეიდეგნს კუალსა თვისსა ესე ვითარსა მას სულსა და მოატყუებს დაუშრეტელსა მას ცეცხლსა საუკუნოსა სატანჯველისასა. ესა



ვითარდა საწყალობელ არს საცთური ესე და უბოროტეს აღსასრული საცთურისა.

ხოლო ჩუენ ჰოდა, ძმანო, ვითარცა მოწამეთა ქრისტესთა, ვწამით მერმეცა კეთილი იგი წამებდა. მერმეცა აღვიართო კეთილი იგი აღსარებდა. და ვიხარებდეთ ყოველთა თანა წმიდათა. რამეთუ ღირს ვიქმნებით წამებად ქრისტესთვის და არა მოუდროცენით მუხლნი ჩუენნი ბააღს. ხოლო ვიტყვი გულისთქმასა ხორცთასა და სხვათა გემოთა საწუთროსსათა. ნუ ვირწმუნებთ მისსა, მოგუაგონებდეს რად მორჩილებისა უარის ყოფისა მიზეზთა, არამედ დღითი - დღე ვითარცა სტადიონსა შინა ვიდუწოდეთ მოწყლულნი, არამედ არა დახსნილნი, არამედ განმხსნობილნი, არამედ არა შეშინებულნი. და მერმე რად არს წამებთა ამისგან შესაძინელი, იცით განაღა? რამეთუ მოწამენი ვისინიჲ სოფელსა ამას შინა თანა ზიარ სიხარულსა მისსა იქმნებთან და საქმეთა მათთისთა, რომელთა ეწამნეს თანა მონაწილედ გამოჩნდებთან. ამის თვისცა გულისხმის საყოფედ არს, ვითარმედ ქრისტეს მოწამენი, რომელთა წამეს მისთვის, ყოველსა შინა და წამებოსათვის ჰქმშიარიტისა მოუთმენელნი ტანჯვანი თავს იხსნეს. მერმესა მას საუკუნესა თანა მკვიდრად გამოჩნდნენ, ვითარცა იტყვის მოციქული, ვითარმედ: „რავაჲს ქრისტე გამოცხადნეს, ცხობებაჲ ჩუენი, მაშინ თქუენცა გამოცხადნეთ მისთანა დიდებით,“ რომელთა თანა ჩუენცა წამებდა ჩუენი სრულ ვყოთ, რამეთუ გრძელ არს და ცხობრებისა მიერ ყოველისა, ვიდრე და სოფელსა შინა ვიყენენ, რათა ღირს ვიქმნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა საშუებელსა და ქრისტეს თანა საუკუნოდ სიხარულსა, რამეთუ მისა შუენის დიდებაჲ, პატივი და თაყვანისცემად, თანა მამით და სულთი წმიდითურთ, აწ და -

**პირველსა კვირიაკესა, მისივე სწავლიად მშვიდობისათვის**

ძმანო და მამანო, მშვიდობისა დღე არს კვირიაკე, რამეთუ მბრძოლი იგი მას შინა წარმოტყუენა უფალმან და ჰქუა მოწამეთა, მშვიდობად თქუენ თანა, ხოლო ესე

თქუა არა თუ მათ ხოლო დაუწყვიდრა მშვიდობად, ანუ ერთსა დღესა შინა: შეაყენა, არამედ ყოველთა და ყოველადვე მასვე მშვიდობასა უდავადებს, ვითარცა ჩუენ გლახაკთა ამით, აწ უკუე ვინათგან მშვიდობად გუაქუს მშვიდობასა ეწყოფდეთ თათა შორის თვისთა. გარემოთა კაცითა ესრეთ, რათა არა გუაქუნდეს მტრობად მათა ჩუენთაგანისა ვისინიჲ, არამედ ყოველთა მიმართ სიყუარული, ვითარცა იტყვის, ვითარმედ: „ამით სცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწამენი ხართ, უკეთუ იფუარებოდით ურთიერთას.“ ხოლო შინაგანითა კაცითა ესრეთ რათა მშვიდობად გუაქუნდეს და მყუდროებაჲ გულისსიტყვათაგან და ვნებათა წარმწყმედელთა, რათა ესრეთ შეუძლოთ მოციქულისა თანა თქმად, ვითარმედ: „მშვიდობად გუაქუს ღმრთისა მიმართ ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა მიერ დაგებდა ესე მოვიდეთ მადლისა ამის სარწმუნოებათა, რომელსაცა ზედა ვდგათ და ვიქადით სასოებოთა ღმრთისათა.“ ხოლო ვინათგან მიმოქვევადისა ბუნებისანი ერთ და მოიწვევის ჩუენ ზედა შერყევად მიმოკეთებაჲ და ესე უმჯავლად. მეყსულად აღვისწრაფოთ პირველსავე მყუდროებისა ჩუენისა და მოვიგოთ მშვიდობად ღმრთისა მიმართ, რამეთუ იგი არს მშვიდობად ჩუენი, რომელმან შექმნა ორივე ერთად და შუა კედელი ზღუდისად მის დახსნა მტერობად იგი ხორციითა მით თვისითა, შჯული იგი მცნებათად მათ ბრძანებით განაქარვა, რათა ორივე იგი დაბადოს მას შინა ერთად, ახლად კაცად ყოფად მშვიდობისა და დააგნეს ორნივე იგი ერთითა მით ხორციითა ღმრთისათა. ჯუარისა მიერ მოკლა მტერობად იგი მას შინა, ესე არს საქმე, რომელი აღასრულა უფალმან, ვითარცა იტყვის მამისა მიმართ: „საქმე აღვასრულე, რომელი მომეც მე, რათა ვყო,“ ესე იგი არს ვითარმედ: „მშვიდობა ვყავ შორის ზეცისათა და ქუეყანისათა.“ ესრეთ მშვიდობისა და სიყუარულისა ძედ

გამოგუაჩინა ჩუენ. ხოლო უკეთუ ვინმე იტყოდის, ვითარმედ: ვეგების ესე, რათა არა ვიყვნეთ ჩუენ მარადის ბრძოლასა შინა, ვინაითგან იტყვის მოციქული, ვითარმედ: „არა არს ბრძოლა ჩუენი ხორცთა მიმართ და სისხლთა, არამედ მოთაფრობათა მიმართ და ხელმწიფებათა სოფლის მპყრობელთა მიმართ ამის ბნელისათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე.“ ესრეთ ებრძვათ მათ, ვითარმედ, თუ ვითარ არს და რაბამ ბრძოლა ესე გვიჩუენებს ჩუენ არა თუ რათა ვიბრძოდით, რამეთუ იტყვის სხუასა ადგილსა: „გულის-სიტყუათა დაჲარდუევით და ყოველსა სი-მაღლესა ამაღლებულსა მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა და წარმოვსტყვევანეთ მეცნიერებასა მორჩილებად ქრისტესა, და შუა ვართ შურისგებად ყოელისა ურჩეი-სგან, ხოლო რომელი ესრეთ განმზადე-ბულ იყოს საცნაურ არს ვითარმედ, მას დაუუვლებიეს ბრძოლა და მშვიდობით იტყვიოს, არამედ ნუ საწყინო ვაჩინს, ძმანო ჩემო, რაჟამს ესევითარსა რასა ვიტყოდი და ესევითართათვის გამოვეძიებდეთ, რა-მეთუ არა ურგებ არს, არამედ ფრიადცა სარგებელ, რამეთუ გზა უყოფს სიტყუად საქმისა მიმართ. სხუანი უკუნე სოფლი-სათვის იტყოდენ და რაოდენი არიან სოფლისაგან, ვითარ მუშაკობისა, ვაჭრო-ბისა, შესაძინელისა, დაჭირვებისა და სხუ-ათა მათთვის ამაოებასა მოსწრაფებათა. ხოლო ჩუენ რაე ვთქვათ სხუაი ანუ რასა ვიტყოდით, არამედ სულისათვის და უცხო ქმნისათვის ვნებათაგან და მოგებად სათ-ნობათა და განშორებისათვის სულისა ხორცთაგან და წარდგომისათვის წინაშე საყდრისა ქრისტესა, შჯულისათვის და მიგებისა და თავადისა მის თვის სახუფ-ვევლისა ცათასხა, რომლისა ღირსმცა ქმ-ნულ ვართ ჩუენ დამკვიდრებად მაღლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რა-მეთუ მისა შუენის დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და ხულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკენითი უკენისამედ ამინ.

**მეორესა კვირიაკესა. ვითარმედ ჯერ არს შიშითა და სიფეარულითა ღმრთი-სათა გარდახდა ცხორებისა ჩუენისა და დაძინებისათვის ძმისა ველუკიმოსა**

ძმანო და მამანო, დღე ესე კვირია-კისა, რომელსა დღეს ველუკისწაულობთ, კმა არს ჩუენდა სახედ სწავლისა, უკეთუ ოდენ ვერხდეთ, რამეთუ ამას შინა აღ-მადგინა ჩუენ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან დაცემულინი ცოდვითა, ამას შინა ცხოველ მყენა ჩუენ მომკუდარნი უსჯულთობითა და წინადაუცუეთელბითა ხორცთა ჩუენთათა. ამას შინა განმიღო ჩუენ კუადად სამოთხე შუებად ძელისა მისგან ცხორებისა, რომელ არს ცხოვე-ლსყოფილი ხორცი და სისხლი მისი. ამას შინა ემაღლითი სიკუდილსა ზედა და მსგავსად საწინასწარმტყვევლოსა მის ხმისა ვლადადებთ: „სადა არს სი-კუდილო, საწურტელი შენი, ანუ სადა არს ჯოჯოხეთო, ძღვევა შენი,“ ძღვეულ ხარ მის მიერ, რომელმან იგი თქუა: „ნუ გე-შინინ, რამეთუ მე მიძლევებს სოფლისა“, და მერმეცა თქუა მსგავსად მოციქულისა: „ამას შინა ღმერთმან და მამამან თანა აღმადგინა და თანა დამსხნა ჩუენ ზეცა-თა შინა ქრისტე იესუს მხერ, რათა აჩუ-ნოს ეამთა მათ მომავალთა გარდამატე-ბული იგი სიმდიდრე მაღლისა თვისისა სიტკობებით ჩუენდა მომართ ქრისტეს მიერ“. და შოი, გამოუთქმელნი იგი ნიჭ-ნი მისნი, თუ სადაით სადა აღმოჩიყანა ჩუენ. სიკუდილისაგან ცხორებად, ბნელის-აგან ნათლად, მონებისაგან აზნაურებად, მტერობისად საკუთრად სიყუარულად და ესოდენად ვიდრედა თანახატმსგავსებასა მას ძისა თვისისასა გამოძაინა ჩუენ. რაე არს მითხრობელი ესე მაღლი, რაე არს გარდარეული ესე სიმდიდრე ჩუენდა მომართ სიყუარულისა მისისაი, რამეთუ მხოლოდშობილი ძე მისი მისცა სახსრად ჩუენ ყოველთათვის. ვამი არს თქმად მგა-ლობელისა თანა: „ვინმე იტყოდის საკ-ვირველებათა შენთა, უფალო და ხასმე-ნელ ყინეს ყოველნი ქებულებანი შენი“. აწ უკუნე შევიყვართ იგი, რომელმან შემე-ყვარნა ჩუენ და მოგუდეთ მისთვის, რომ-ელი მოკუდა ჩუენთვის. და რაითურთ ნუ მოვტკევეთ სისხლთა მიმართ და ხორც-თა, ნუცა ზაკვითა მტერისათა შევეტებით,





ნუცა გემოთა სოფლისათა შევიწინარებთ, ნუცა ნაყოფსა ცოდვისასა მოვისთოდებთ, რომლისაგან არს სიკუდილი, რამეთუ ნუფსით რა ეცოდვიდეთ შემდგომად მოღებისა ცნობისა ჭეშმარიტებისასა, არღარა ცოდვათათვის დააკლდების მსხუერპლი, არამედ საშინელი რამეჲ მოლოდენბაი სასჯელისა და ცეცხლისა შური შემჯამდეს წინა აღმდგომთა, ამისთვისცა შიშით და ძრტოლთი გამოჩნდეთ უფალსა გონიერებით და გულისხმისყოფით გარდავიხდიდეთ ცხორებასა მოთმინებით და განკითხვით ვიპრობდეთ სამსახურებელთა გამოწულილეთა ფრიადითა. არა ხოლო სულიერთა საქმეთათვის, არამედ ხორციელთათვისცა, ვიდრე შემისა დაწეანდევცა და წელისა წარგებად, რამეთუ ესენიცა ვითარცა ხედავთ კუნძულსა ამას შინა ნაკლულევანებით არიან და ამას ყოველსა ზედა სასჯელსა სიკუდილისასა იგონებდით, რამეთუ ამა, ესერა ვედუქსიოსცა ძმად ჩუენი მიიცვალა უფლისა მიმართ და უკეთუ სიკუდილი ძმისა ჩუენისაი არა გონიერ მყოფს ჩუენ, მაშა ვინდა მომაქცინეს ჩუენ, და უკეთუ საიდუმლოთა სიკუდილისაი არა განმსწავლის ჩუენ, მაშა რამანდა შეუძლოს აღკრძალვად ჩუენდა წარმწყმედელთა ვნებათაგან, რამეთუ ვიდრედა ვიკოფიდი და განვიზრახვიდეთ ამას რასმე, ვინა მას რასმე, მყესსებლად მოიწიოს დღე იგი სიკუდილისაი, რომელი იგი საშინელ არს და ძნიად შესამთხუეველ შეპერობილთათვის ცოდვათა მიერ და რომელთა აღუვარებელნი ცოდვანი ჰქონდინ.

სახე ბოროტთა, ურთთა, თვითშეჯულთა, ხოლო ტბილ და საწადელ ღმრთისმოყვართა და სათნოებისმოყვართა, ღმრთისმოშიშთა, მორჩილთა და მდაბალთა, რომლისათვისცა გვედრები და მოგახსენებ, ძმანო ჩემო, ესე ვითარნი გულისსიტყვანი მოვიგნეთ და განვეშორნეთ ვნებათაგან ყოველითა ძალითა ჩუენითა და შეუდგეთ მოყვარულსა ქრისტესსა სათნოებათა აღსრულებითა და დავემტკიცნეთ მას ზედა, რათა ესრეთ სრულეყოთ ცხორებაი ჩუენი და სასუფეველი ცათაი დავიმკვიდროთ ქრისტე იესუსის მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაი არს დიდებაი თანა მამით და სულთი წმიდითურთ, აჲ და მარადის...

**მესამესა კვირიაკესა ხსენებისათვის სიკუდილისა და სიტყვისგებისა საქმეთა ჩუენთათვის წინაშე საშინელისა სამსჯავროსა.**

ძმანო და მამანო, დღე ესე აღდგომისაი არს, ხოლო სიკუდილისათვის ვიტყვი, რამეთუ უწყით, თუ ვითარ ზედაას ზედა შემდგომით შემდგომად განვლენ ცხორებისა ამისგან ძმანი ჩუენნი და მამანი და ესე ხსუად არა რაი არს, არამედ უწყებაი, ვითარმედ კინდა და ჩუენცა მივიცვალდებით ამიერ, ხოლო მივიცვალდებით არა საწუთროთა და ქუეყანისა ადგილთა და საყოფელთა, არამედ უნიერთოთა და სამარადისოთა საეანეთა, რომელთაგან არა არს მოქცევაი ერთგვის წარსულთაი. და საშინელ არს სიკუდილისათვის სმენად, ხოლო უსაშინელეს არს რაჟამს თვალთა იხილვის. ვითარ იგი ჩუენ პირველ ექუსისა დღისა ხალკიისა წინამძღუროსაი ვიხილეთ. რამეთუ ვინათგან მივეწიფინით უკუანასკნელსა აღმოვშენებასა, ფრიად განეკვირდი საქმესა მას ზედა თუ ვითარსა საშინელსა შინა წამსა თვალისასა ჩუენ თანა იყო და ჩუენ განგუეყო და მიეცა სიკუდილსა. და ჭეშმარიტად საშინელ არს სმენად და განსაკვირვებელ ხილვაი. თქუა უკუე ვიდრე სულიერდა იყო ნებარი იგი ესე ვითარი რამეჲ და სიტყვასა თანა შეძრა თავი ხელითურთ, ხოლო სახე სიტყვისაი მის არა გამოაცხადა, ხოლო ჩუენ გულისხმავყავთ, თუ რაისათვის არა ჰქმნა გამოცხადებაი და ვთქუ არა მისდა შესასმენელად, ნუ იყოფინ! არამედ თავისა თვისისა შემინებად და თქუენდა განსაკრძალვებულად. რათა არა მივიწინეთ ესე ვითარსა ხმისა აღმოთქმად ეამსა სიკუდილისასა, არამედ განმზადებულსა და შეუშფოთებულსა, რამეთუ წერილ არს: „განვეშხადე და არა შეებრწუნდი“. ხოლო ვერ სადა ვბოთთ ესე არა თუ დღითი დღე თათა თვისთა ეპკრძალვობით და წარმართებულნი დაეშმარხნეთ კრძალულად და უდებ ქმნილნი განვეშართნეთ მოღვაწეებად. და ესრეთ განვეშადებოდით მარადის, ვითარცა ზეცად აღმავალნი. რამეთუ ვის წინაშე

წარედგებოთ მითხარიოდა — ანუ არა ყოველთა მსაჯულისა და ღმრთისა? „რომლისა მოდრკეს ყოველი მუხლი ზეცისათა და ქუეყანისათა და ქუესკნელისათა და ყოველმან ერმან აღუაროს. და რომელი სიტყვის მიცემა გუგულების არა ყოველისავე ცხორებასა ჩუენისათვის, საქმით და სიტყვით და გონებით. მე უკუ რაოდენ ზნისა მოიხსენო ესე, ძრწოლია შემოპრობა და ვგონებ, ვითარმედ მესხეულად მოიწიოს. ხოლო თქუნდა ჯერ არს რათა უში იყვნეთ. ხოლო თქუნ გერევი კეთილად მორჩილთა და რომელნი ყოველსავე მორჩილებისა ზრუნვასა სიტყვისა მიმართ მიავებთ. რამეთუ ესე ვითარი არს ჭეშმარიტისა ცხორება, ხოლო ვითარიმე სიტყვისგება განიზხადონ თავთა თვისთა წინაშე საშინელისა ქრისტეს საყდრისა, რომელნი მორჩილებისა წესთა განპრეზინან; რომელნი განთვისებულად ცხორებენ და უწესოდ იქცევიან აქა და იქი და სღვაჲ ფერხითა არა აქუს; რომელნი ვეცხლით ფრდილთა მონათა მიმო იყვანებენ, ესა ჩუენი ესე უბადრუკება, ვითარ საბატეველ არს უკეთურება და ვითარ უკუნ იქცეს მართლ უკუნ წრფულად მავალნი მონაზონებასა მოქალაქობასა, რომელთათვის იტყვის: „უმჯობეს იყო მათდა არა ცნობად გზისა მის სმართლისა, ვიდრე ცნობად და უკუქცევაჲ მოცემულისა მისგან მათდა წმიდისა მცნებისა, შემთხვია მათ ჭეშმარიტისა მისებრ იგავისა — მადლი მიქცა ნათხევარსა თვისსა და ღორი ინწუბა სანგორულსა მწვირისასა“. რასა იტყვი, მოყუახო, მარტო ქმნილი სოფლისაგან ღტოლვილი და განხსნილი ყოველისავე მსოფლიოისა ხიუარულისა და ზიარებისაგან. მონასა მოიყვანება? მოიყუანე უკუ ცოლიცა, რამეთუ ორნივე ესე სოფლისადა და მსოფლიოთადა მიცემულ არს, ხოლო რომელთა მიერ ჯუარშემოსილი ესე ცხორებაჲ ჭეშმარიტებით აღრეულ არს, ორი ესე უცხო არს მათგან, არამედ ვითარ ვგონებ, ცოდვაჲ არს მიზეზ ყოველისა ბორბტის, რამეთუ ვინათგან ენებათა მოყვარე ვართ,

შევხძინოთ ესეცა — და დედათა მოყვარე — არა გუნებაჲს ძმისა თანა მკვიდრობა, არამედ მარტოებით, რათა არა გუყახდოს მხილველი და მამხილველი დაფარულთა საქმეთა, რომელ არს მონებაჲ მონაგებთა, ვითარცა ჭეშმარიტად განფრდილთა ცოდვითა და მონათა ხორცთა და სისხლთასა. ამის მიერ იქმნების დახსნა და დაცემა და დაბრკოლებაჲ ჭეშმარიტებით და არა იტუეულებით, ამის მიერ ვიგლოე და მწუხარე ვარ, რამეთუ ვამხილებ და უწამებ და არა ვინ არს რომელმანცა ისმინა. არამედ რასა იტყვის, ვითარმედ: „უკეთუმცა არა მოვედ და ვერყოფე მათ ცოდვაჲმცა არა აქუნდა, ხოლო აწ მიზეზი არა აქუს ცოდვათა მათთათვის“, ვინაცა უბრალომცა ვარ გლახაკი ესე სულისაგან, ესე ვითართაჲსა და სრულიადმცა მოკუთაჲ მომეწია მათ ზედა. მსგავსად მცნებისა მის, რომელი ბრძანებს, არამედ ვინათგან დევნულებაჲ არს ჯერეთ ვადროებ, რათა ნუ უკუე სადაჲ განიფრთხონ ესე ვითართა მათ საბრხისაგან ეშმაკთაჲსა მოკუფხლეილთა მის მიერ და შეწუდეულთა ნებასა მისსა.

ხოლო თქუნ, კურთხეულნი უფლისა მიერ, რომელნი ერთმანეთისა თანა და ურთიერთას ორნი, გინა საშინი ზოგად ცხორებულთა წესისაებრ სცხონდებით, ხოლო უკეთუ უმეტესნი იყვნენ ერთად, უმეტესისადა ქებისა ღირს არიან. რომელნი სახლთა შინა იყოფით და არა სადა განხუაღთ უკამოდ, თვინიერ საჭიროისა რაჲსამე და უფროსდა უბანთა და კრებათა, რომელნი ურთიერთას მშსახურებთ და ამით მძეუფებთ სოფელსა ზედა და მონებრთვისა მონათა მონებისაგან, წმიდა იქმნებით, რომელნი ყოველსავე ღმრთის მოყვარებით შეუნიერად აღასრულებთ, განმცამრავლებულ არს თქვენ შორის მადლი და მშვიდობა და გიხილვანმცა კეთილნი ზეცისა იერუსალიმისანი, ქრისტე იესუსს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ.

# ბანბებაჲ პანაჴვილისაჲ ხსენებასა ᴞსკენებულისასა



## ნ ი ნ ა თ ი ე ა

ქრისტეს ეკლესიის საზღვრები, რომელსაც ჩვენ მივეკუთვნებით, აერთიანებს ცოცხლებსაც და მიცვალებულებსაც. ამის შესახებ წერს პავლე მოციქული: „გინათუ ცოცხალ ვიყვნეთ, გინათუ მოეწყდეთ, უფლისანი ვართ“ (რომ. 14,8), რომელიც თავად არის მარადიული სიცოცხლე. ცოცხლებსა და მიცვალებულებს შორის არსებული კავშირის, მათდამი სიყვარულის და განსაკუთრებით ჩვენ ნათესაეების, მშობლების, დაძმების და შვილების გამო, ვაღიქვამთ ვართ, მათი სულები მოვიხსენიოთ.

მიცვალებულთა მოხსენიება დამოწმებულია წმიდა წერილიდან. ძველი აღთქმიდან ვგებულობთ, რომ ებრაელები უფალს მამა-პაპისათვის ცოდვების მიტევებას შესთხოვდნენ (ნემ. 9,2). როდესაც გარდაცვლილ მშობრებს კვართის ქვეშით წარმართულ აგვაროზს აღმოუჩენდნენ (მისი ტარება დიდ ცოდვად ითვლებოდა მორწმუნე ებრაელისათვის), მთელი ერი ღოცულობდა, რათა უფალს მათთვის შეენდო (2 მაკ. 12,40-42). ახალ აღთქმაში ჩვენ ეკითხულობთ, რომ პავლე მოციქული შესთხოვდა უფალს, რათა გარდაცვლილი ონიზიფორესათვის თავისი მჟორგდ მოხელის ეამს წყალობა ებოძებინა (2 ტიმ. 1,18). აი, ხაიდან არის დამოწმებული პანაშვილების არსებობა ეკლესიის ისტორიის პირველ ხაუკუნეებში. როგორც იოანე დამასკელი ამბობს, სწორედ: „მაცხოვრის მოწაფეებმა და ღმრთაებრივმა მოცი-

ქულებმა განაჩინეს მორწმუნე მიცვალებულთა მოხსენიება საშინელ, ყოვლადწმიდა, ცხოველსმყოფელ საიდუმლოებებში. მოციქულების მიერ დადგენილი ეს ტრადიცია არც საფუძველს მოკლებულია და არც შემთხვევითი. ქრისტიანული სარწმუნოება სრულყოფილია და არაფერს შეიცავს ისეთს, რაც სარგებლობის მომტანი არ იქნება; პირიქით, მასში ყველაფერი კეთილისმყოფელია, ღვთისთვის სათნოა, სასარგებლოა და მთლიანად ცხოვნებისაკენ არის მიმართული – რომ ჩვენ ყველა, ცოცხლებიც და მიცვალებულებიც, „ხორცნი ქრისტესნი ვართ და ასოთა მისთაგანი“ (1 კორ. 12,27). ამიტომ, საღმრთო ღიბურგისა და პანაშვიდის დროს უფალს ვვედრებით მორწმუნეთა შესვენებულთათვის, რადგან იმედი გვაქვს და გვეჯერა ღმრთის კაცთმოყვარეობის, გულმონწყალებისა და სახიერების. ცხადია, რომ ამ ღოცვებით უფალს შეუთხოვთ იმას, რაც მისთვის სათნოა. ღმრთოს, როგორც სიყვარულისა და მოწყალების წყაროს, სურს, რომ ყველა ცხონდეს. წმიდა იოანე დამასკელის მიხედვით: „წმიდა მამებმა ღმრთის უსაზღვრო სიყვარულის გამო დაადგინეს ღიბურგები, ღოცვები, ფსალმუნთ გალობა, პანაშვიდები საუკუნითან გარდაცვალებულთა მორწმუნეთა მოსახსენებლად, რაც უფლის კაცთმოყვარებით დაემდგა აღესრულება. ეს ყველაფერი ეკლესიის მიერ არის დაცული და გულისხმობს იმას, რომ ამგვარი განჩინება ღმრთისთ-

ვის სათნოა. ამგვარად, წმიდა მამებს აქვთ ღმრთის სიტყვისა და მისი კაცთმოყვარეობის სასოება. ისინი გვასწავლიან, რომ ჩვენს ღოცვას მიცვალებულთათვის დიდი სარგებელი მოაქვს. წმიდა იოანე ოქროპირი წერს: „არ არის ამო ჩვენ მიერ მიცვალებულისათვის აღსრულებული მსახურება, არ არის ამო ჩვენი ღოცვა... უჭვს ნუ შეიტან, რომ მიცვალებულები დიდ სიკეთეს და სარგებლობას მიიღებენ. დიაკონი უსაფუძვლოდ არ მოგიწოდებს, ეილოცოთ „ქრისტეს მიმართ გარდაცვლილი ძმებისათვის“. წმიდა მამები გემოძღვრავენ, რომ მოხსენიებით სარგებლობას, უპირველესად, ის მიცვალებულები მიიღებენ, რომლებიც ამ ქვეყნიდან სინანულით ან ყოველი შემთხვევისათვის ამის სურვილით წაიღიან. ადამიანთა სულები, რომლებიც მომაკვლინებულ ცოდვებში ჩაყარდნენ, თუცა გარდაცვალების წინ სასოწარკვეთამ როდი მოიცვა, არამედ წუთისოფლიდან გასვლამდე მიეცნენ სინანულს, მაგრამ ამ სინანულის ნაყოფის გამოღება ვერ მოასწრეს (როგორცაა: ღოცვა, ცრემლები, გულის შემუსვრილება, დატაკთა ნუგეშინისცემა და ღმრთისა და მოყვასის სიყვარულის საქმით აღსრულება), ჯოჯოხეთში ვარდებიან, მაგრამ ამასთან ერთად, ტანჯვის შემსუბუქების იმედი რჩებათ.“ წმიდა წერილიდან და, განსაკუთრებით, მართლმადიდებელი ეკლესიის პრაქტიკიდან, მისი ღოცვებიდან და გაღობებიდან ჩანს, რომ ასეთ ადამიანთა სულები მოკლებულები არ არიან ცოდვათა მიტვევისა და ჯოჯოხეთიდან გათავისუფლების იმედს (სწორედ ამას მეტველებს წინამდებარე წეს-განგებაც). აქედან გამომდინარე, ჩვენ, ცოცხლებმა, უნდა ეილოცოთ ამგვარად აღსრულებული თანამომკვებისათვის.

აღმოსავლეთის პატრიარქთა წერილში მართლმადიდებლური რწმენის შესახებ, ნათქვამია: „ჩვენ ყველანი შევადგენთ ერთიან სულიერ სხეულს, თუნდაც ზოგიერთი მისი ასო სხვებზე უფრო „ნათელი“ იყოს. მოდით, დაუღალავად შევეწიოთ იმ ქვეყნად წასულ ჩვენს ახლობლებს და თუკი ვინმე მათგანი ცოდვებში გარდაიცვალა, მოდით, შევეცადოთ მათ დახმარებას ღოცვითა და ღმრთისადმი ვედრებით... ეს უსაფუძვლოდ არ აღესრულება და მათ ამოღად არ მოვიხსენიებთ საღმრთო საიდუმლოებებში. ამოღად არ ვვედრებით იესო ქრისტეს, რომელმაც სამყაროს ცოდვები იტვირთა“.

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ჩვენი წმიდა ეკლესია ღმერთს ვვედრება, არა მარტო სინანულით გარდაცვალებულთათვის, არამედ მათ გამოც, ვინც ცოდვებში აღესრულა. ეკლესია, სიყვარულის გამო, ყველასთვის ღოცულობს; მაგრამ ცოდვებში გარდაცვლილთა მოხსენიებით, დედა ეკლესია არ გვასწავლის და არ გუპირდება, რომ სინანულის გარეშე აღსრულებულები ცოდვათა მიტვევას მიიღებენ. წმიდა მამებიც, რომლებიც ცოდვებში გარდაცვლილთა ღოცვისათვის მოგიწოდებენ, არ ამტკიცებენ, რომ მათ, ვინც სინანულის გარეშე, ბიწიერი, ქრისტიანისათვის შეუფერებელი ცხოვრებით აღესრულდნენ, მათ ღოცვისა და ქველმოქმედების წყალობით, ჯოჯოხეთის სატანჯველებს მოვაშორებთ და სასჯელის ადგილიდან სამოთხეში გადავიყვანთ. ისინი მხოლოდ აღნიშნავენ, რომ ასეთი სულები, ღოცვის წყალობით, გარკვეულ ნუგეშს კპოვებენ და ამით მათი სატანჯველი მსუბუქდება. მიუხედავად იმისა, რომ მოუნანიებელი ცოდვილები სატანჯველში



იმყოფებიან, სულ მცირედი და დროებითი შეწყვენა, რომელსაც ისინი ჩუნი ღოც-ვით იღებენ, მათთვის ნამდვილად დიდია. წმიდა მარკოზ განმარტებული წერს: „ეს ხანმოკლე და დროებითი შეწყვენა, რომლითაც ისინი კმაყოფილდებიან – მათთვის უდიდეს შეგებასა და ნუგეშს წარმოადგენს“. წმიდა იოანე ოქროპირიც გვასწავლის, რომ ცოდვებში გარდაცვლილს მუდმივი ღოცვით დაეხმარებით, რათა მისი სასჯელი უფრო ასატანი გახდეს: „თუკი მართალი იობის შეიღები მამის მიერ გაღებული მსხვერპლით განიწმიდნენ (იობი 1,5), მაშინ რატომღა გვეპარება ეჭვი იმაში, რომ ღმერთის წინაშე მიცვალებულთათვის აღვლენილი ღოცვით – მათ გარკვეულ ნუგეშს ვცემთ?“

წმიდა ათანასე დიდი თვლის, რომ მოხსენიებით, ცოდვილთა სულებიც შეგებას პოულობენ. წმიდა მამა დახძენს, რომ ეს ხდება „ისე, როგორც ამას განაგებს ცოცხალთა და მკუდართა მეუფე და ღმერთი ჩვენი“.

ამგვარად, წმიდა ათანასე ამ პრობლე-

მის გადაწყვეტას ღმერთის კაცთმოყვარეობას მიანდობს.

ამიტომაც, წმიდა მამები არ გვირჩევენ, თავი შეეკავოთ ცოდვებში გარდაცვლილთა მოხსენიებისაგან. ბოლოს და ბოლოს, ვის უხილავს სხვისი გულის დაფარული კუთხე-კუნჭული? ვინ იცის, რა მოხდა მის სულში სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში? ვინ იცის, თუ როგორი ცოდვილი იყო ჩვენი ახლობელი ადამიანი სულის გასვლის ეამს და როგორ მოქმედებდა მის გულში უფალი, რომელსაც „ყოველთა კაცთა პნებას ცხორება და შეცნობისა ჭეშმარიტებისასა მოსდევ“ (1 ტიმ. 2-4). როგორც წმიდა იოანე დამასკელი ამბობს: „ღმერთმა ქნას, რომ არც ერთი მათგანი არ იყოს დაეიწყებული“.

დაე, ღმერთმა განუსვენოს „მამა-დედათა და შვილთა და ძმთა და დათა და სხუთა ყოველთა ნათესავთა და ყოველთა სულთა პირველწარსულთა“. ამენ.

დაე, ღმერთმა „ჩუენიცა აღსასრული ქრისტიანობით და უცოდველად ინებოს, ყოვლითა საქმითა და სიტყვითა კეთილითა განსრულდებული“. ამენ.

## ტექსტისათვის

„პანაშეიდის“ სახელწოდებით დასათავრებული წეს-განგება მიცვალებულთა მრავალი ხელნაწერთაა დღევანდელამდე მოღწეული. მათგან ყველაზე ძველი, ცნობილი სინური ნუსხა სინ. 73 ხელნაწერია. ამ ნუსხაში მოცემული „ლოცვაჲ პანაშეიდისაჲ“ (90წ-94წ), შეიცავს ექვს ღოცვას და შესვენებულთა ერთ კვერქქს. პანაშეიდი მხოლოდ ღოცვების ტექსტით არის წარმოდგენილი, ყოველგვარი რიტუალური და ტიპიკონური შენიშვნების გარეშე. ამ

მხრივ, მისი ზუსტი ანალოგი არც ერთ სხვა ხელნაწერში არ იძენება; თუმცა, „პანაშეიდაჲ“ სახელდებული წეს-განგებანი მრავალ ნუსხაში გვაქვს. მაგ: A 1110 (XIV-XV); A 72 (XVI); A 294 (XVI); A 450 (XVII); H 1449 (XVI-XVII); Q 106 (XVIII) და სხვა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოსტ-ათონურ კურთხევითა კრებულებში მიცვალებულთა წეს-განგებანი ძალზე მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. გამონაკლისს არც „პანაშეიდის“ განგება წარმოადგენს. პანაშეი-

დის ტექსტი ნუსხებში სხვადასხვა სათაურითაა მოცემული: „განგებაჲ პანაშეიდისა მიცვალებულისათვის (A 450; A 72)„ „განგებაჲ პანაშეიდისაჲ ხსენებასა შესვენებულისასა (A 294; A 1505), „პანაშეიდი, რომელი იხსნის მიცვალებულსა ცეცხლისაგან სატანჯველისა. ორმოცამდე იხედების“ (H 2383; S 3942; Q 106). „პანაშეიდი მიცვალებულისა, რომელი იხსნის სულსა ცოდვილისასა ცეცხლისაგან გეჰენისა“ (H 1449). ზოგჯერ ტექსტის ერთგვაროვნების შემთხვევაშიც კი იცვლება დასათაურება. ასევე, არცთუ იშვიათად, ერთნაირი სათაურით მოცემული ტექსტები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მკვეთრად გამოხატული რედაქციული თავისებურებებით. ესენია: ცალკეულ საკითხავსაგალობელთა და ღოცვათა ციტირების ხასიათი; ტექსტის გაერთობა რიტუალური და ტიპიკონური შენიშვნებით; ხანდახან ამ შენიშვნების შინაარსის შეცვლაც კი (დაწერილებით ამის შესახებ იხ. ექვთიმე კოჭლამაზაშვილი. „დიდი სინური კურთხევანის თავისებურებანი“, თბილისი 2002. 30-32 გვ.). განსაკუთრებით საინტერესოა ვარიანტი, რომლის სათაურიცაა „პანაშეიდი, რომელი იხსნის მიცვალებულსა ცეცხლისაგან სატანჯველისა“. წინამდებარე გამოცემის მიზანდასახულობაც წესგანგების ამ ვარიანტის პუბლიკაციაა.

ტექსტი წარმოდგენილია ხუთი ხელნაწერის მიხედვით და გარკვეულწილად, ამ ნუსხათა „კომპილაციას“ წარმოადგენს. ეს ხელნაწერებია: A 1110 (XIV-XV); A 1583 (XVI); H 1449 (XVI-XVII); A 633 (XVII); Q 106 (XVIII).“ საყურადღებოა, რომ ამ ნუსხათა შორის დროით აღრინდელობა არათუ არ გულისხმობს უკეთეს ტექსტს,

არამედ ხშირად საპირისპირო მოუღენსთან გვაქვს საქმე. მაგალითად, XIII ს-ის Q 106 არა იშვიათად შეუდარებლად უფრო მართებულ ტექსტს გვაწვდის, ვიდრე A 1110 (XIV-XV) და A 1583 (XVI). ზემოთ დასახელებულ ხელნაწერებში (განსაკუთრებით Q 106) განგება სხვა ვარიანტებისაგან სრულიად განსხვავებულადაა აგებული და უფრო ვრცელი ტიპიკონური შენიშვნებით ერთის თან. პანაშეიდი გამართულია ცისკრის ღოცვის სქემით: დასაწყის ღოცვებსა და 130-ე ფსალმუნს მოსდევს სხვადასხვა ფსალმუნ-ჩასართავეები, წარდგომანი, კვერქსები, აღელეუია, „ნეტარიაინი“ (17-ე კანონი) „მიწყალე“ (50-ე ფს.), „გალობანი სინანულისანი“ და სხვა. კომპოზიციური თავისებურებების გარდა, ვარიანტი H 1449 გამოირჩევა ზოგიერთი ისეთი ტერმინის ხმარებით, რაც სხვა ვარიანტებს არ მოეპოვებათ. ასეთია, მაგალითად, „საქცევი“ („ჩასართავის მნიშვნელობით“), „კეცი“ (საცეცხლურის მნიშვნელობით) და სხვა. პანაშეიდში მოცემული ღოცვები: „დაუწყედელო აღმომდინარეო“... „მეუფეო ყოვლისა მპყრობელო...“ „ღმერთო დიდო და საკვირველო...“ დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ „მარტვილის“ (სულთმოფენობის) მწუხრის განგებაში მოცემულ ღოცვებთან მიმართებაში.

ტექსტი კრიტიკული აპარატის (კერძოდ, ვარიანტული წაკითხვებისა და რედაქციული სხვაობების) გარეშე იბეჭდება, რაც განპირობებულია მისი ოდენ ლიტურგიკული, საეკლესიო-პრაქტიკული დანიშნულებით.

**არქიმანდრიტი ბასილი  
(კაკიაშვილი)**

# პანაშეიდი რომელი იხსნის მიცვალებულსა ცეცხლისაგან სატანჯველისა

**შემდგომად მწუხრისა გამოდღაცვისა ვრცეთ მტერესა და შეიშოსოს მდღეღმან და აკუშიოს წესისამებრ და თქუას ამაღლებამ**

**მდღეღმან:** კუეთხეულ არს ღმერთი ჩუენი ყოვლაღვე აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე.

**განწესებულმან:** ამენ.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაეო შეგვიწყალენ ჩუენ **(გ გზის)**.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ყოვლაღწმიდაო სამებო, შეგვიწყალენ ჩუენ, უფალო, გვიხსენ და გვიღსინე ცოფვათა ჩუენთაგან, მეუფეო, შეგვიდვენ უსჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძღურებანი ჩუენნი, სახელისა შენისათვის.

უფალო შეგვიწყალენ **(გ გზის)**. დიდებამ აწ და.

მამო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფუეამ შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ვგრეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მოუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა, და ნუ შემიყვანებთ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩუენ ბოროტისაგან.

**მდღეღმან ამაღლებამ:** რამეთუ შენი არს სუფუეამ და ძალი და დიდება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა,

**ერმან:** ამენ.

**განწესებულმან:** უფალო შეგვიწყალენ **ობ (12)** გზის.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

მოვედით, თაყუანის-ესცეთ მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ესცეთ და შეუერდეთ ქრისტესა, მეუფესა ჩუენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყუანის-ესცეთ და შეუერდეთ თვით ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩუენსა.

უფალო, შეისმინე ღოცვისა ჩემისა, ყურად-იღე ვედრებამ ჩემი ჭეშმარიტებითა შენითა, შეისმინე ჩემი სიძარბოთა შენითა; და ნუ შეხუად საჭველსა მონისა შენისა თანა, რამეთუ არა განძარბოდეს შენ წინაშე ყოველი ცხოველი. რამეთუ დევნა მტერმან სული ჩემი და დაამდაბლა ქუეყანად ცხორებამ ჩემი, დამსუა მე ბნელსა შინა, ვითარცა მკუდარი საუკუნო. და მოეწყინა ჩემ თანა სულსა ჩემსა, და ჩემ შორის შემობრუნდა გული ჩემი. მოვიხსენე დღეთა პირველთამ და ეიწურთიდ ყოველთა მიმართ საჭმეთა შენთა და ქმნულსა ხელთა შენთასა ვზრახვედ. განვიპყრენ შენდაში ხელნი ჩემნი, და სული ჩემი, ვითარცა ქუეყანამ ურწყული შენდაში. მსთუად შეისმინე ჩემი, უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა; ნუ გარე მიიჭკეკე პირსა შენსა ჩემგან, და ვემსგავსო მათ, რომელნი შთავლენან ძღვიმესა. მასმინე მე განთიად წყალობამ შენი, რამეთუ მე შენ გესაც; მეუწვე მე, უფალო, გზამ, რომელსაცა ვიდოდი, რამეთუ შენდაში აღვიღე სული ჩემი. მიხსენ მე მტერთა ჩემ-



თაგან, უფალო, რამეთუ შენ შეგვევდრე-  
 მასწავე მე, რაითა ვყო ნებად შენი, რამეთუ  
 შენ ხარ ღმერთი ჩემი; სული შენი სახ-  
 იური მიძლოდეს მე ქუეყანასა წრფელსა.  
 სახელისა შენისათვის, უფალო, მაცხოვრო  
 მე და სიმათლითა შენითა გამოიყვანო  
 ჭირისაგან სული ჩემი. და წყალობითა  
 შენითა მოსრნე მტერნი ჩემნი და წარსწყ-  
 მიდნე ყოველნი მავტრეკებულნი სულისა  
 ჩემისანი, რამეთუ მე მონაა შენი ვარ.

**ხოლო ამას მუხლსა ზედა რამ მო-  
 ვიდეს: „რამეთუ მე მონაა შენი ვარ,“  
 წარდგეს მღვდელი და თქუას:**

- მღვდელმან:** შეისმინე ჩემი, უფალო, სი-  
 მართლითა შენითა.
- მემხრეთა:** შეისმინე ჩემი, უფალო, სი-  
 მართლითა შენითა.
- მღვდელმან:** და ნუ შეხუად საშჯელსა  
 მონისა შენისა თანა
- მემხრეთა:** შეისმინე ჩემი, უფალო, სი-  
 მართლითა შენითა.
- მღვდელმან:** სული შენი სახიერი მიძ-  
 ლოდეს მე ქუეყანასა ზედა
- მემხრეთა:** შეისმინე ჩემი, უფალო, სი-  
 მართლითა შენითა.
- მღვდელმან:** დიდებაჲ მამასა და ძესა და  
 წმიდასა სულსა
- მემხრეთა:** შეისმინე ჩემი, უფალო, სი-  
 მართლითა შენითა.
- მღვდელმან:** აჲ და მარადის და უკუნი-  
 თი უკუნისამდე. ამინ.
- მემხრეთა:** და ნუ შეხუად საშჯელსა  
 მონისა შენისა თანა
- დიაკონმან** კურეკსი: მშვიდობით  
 უფლისა მიმართ ვილოცოთ.
- მემხრეთა:** უფალო შეგუიწყადენ.
- დიაკონმან:** ზეცით გარდაძო მშუიდიობი-  
 სა და ცხორებისათვის სულთა ჩუენთაისა  
 უფლისა მიმართ ვილოცოთ.
- მემხრეთა:** უფალო შეგუიწყადენ.
- დიაკონმან:** მშიდობისათვის ყოვლისა  
 სოფლისა, დამტკიცებისათვის წმიდათა  
 ეკლესიათა და ყოველთა ერთობისათვის,

- უფლისა მიმართ ვილოცოთ.
- მემხრეთა:** უფალო შეგუიწყადენ.
- დიაკონმან:** წმიდისა ამის სახელისათვის  
 და რომელნი სარწმუნოებით და შიშითა  
 ქრისტესითა შემავალ არიან ამის შინა,  
 უფლისა მიმართ ვილოცოთ.
- მემხრეთა:** უფალო შეგუიწყადენ.
- დიაკონმან:** რაითა შეისმინოს და შეწყნ-  
 არებულ იქმნას ევდრებაი ჩუენი წინაშე  
 ღმრთისა და გარდაშოვევილისოს მდი-  
 დრად წყალობაი და მოწყალებანი ჩუენ  
 ყოველთა ზედა, უფლისა მიმართ ვილო-  
 ცოთ.
- მემხრეთა:** უფალო შეგუიწყადენ.
- დიაკონმან:** ძმისა ამის ჩუენისა [სახ-  
 ელით] მოხსენებისა, შეწყალებისა და ნუ-  
 ტარებისა მისისათვის და რაითა შეენდ-  
 ენენ ყოველნი ცოდვანი და ცდომანი მისნი,  
 უფლისა მიმართ ვილოცოთ.
- მემხრეთა:** უფალო შეგუიწყადენ.
- დიაკონმან:** რაითა უცოდველად  
 წარედგეთ წინაშე საყდართა ქრისტესთა,  
 უფლისა მიმართ ვილოცოთ.
- მემხრეთა:** უფალო შეგუიწყადენ.
- დიაკონმან:** რაითა უფალმან ღმერთმან  
 ჩუენმან დაწესოს სული მისი ავგილსა  
 ნათლისასა, სადა იგი მართალნი გან-  
 ისუენებენ; უფლისა მიმართ ვილოცოთ.
- მემხრეთა:** უფალო შეგუიწყადენ.
- დიაკონმან:** ხსნად ჩუენდა ყოვლისაგან  
 ჭირისა, რისხვისა და იწროებისა, უფლისა  
 მიმართ ვილოცოთ
- მემხრეთა:** უფალო შეგუიწყადენ.
- დიაკონმან:** და ყოველთათვის, რომელნი  
 ითხოუნ ღმრთისაგან წყალობასა, უფლისა  
 მიმართ ვილოცოთ.
- მემხრეთა:** უფალო შეგუიწყადენ.
- დიაკონმან:** წყალობაი ღმრთისაი და  
 შუნდობაი ცოდვათაი და სასუფვეელი  
 მისი ვითხოოთ, თაენი თვისნი და ურთ-  
 იერთარს და ყოველი ცხორებაი ჩუენი  
 ქრისტესა ღმერთსა ჩენსა შევევდროთ.
- მემხრეთა:** მოგუმაღლე უფალო, უფალო  
 შეგუიწყადენ
- დიაკონმან:** უფლისა მიმართ ვილოცოთ.



**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყადენ.

**მღვდელმან ლოცვაი ეს:** ღმერთო სულთათო და ყოველთა ხორციელთათო, რომელმან სიკუდილი მოჰკად და ეშმაკი დახორგუნე და ცხორებაი სოფელსა მოანიჭე. განუსუენე, ქრისტე, სულთა მონათა შენთასა, ადგილსა განსასუენებელსა, სადა არა არს საღმობაი, მწუხარებაი და სულთქმაი, და ცოდვანი საქმითნი, სიტყუითნი და გონებითნი, ვითარცა სახიერმან და კაცთმოუყარემან ღმერთმან, შეუნდვენ, რამეთუ არა არს კაცი, რომელი ცხონდეს და არა ცოდოს, რამეთუ შენ მხოლოი ხარ უცხო ყოველისაგან ცოდვისა და სიმართლვი შენი სიმართლე არს უკუნისამდე.

**ამაღლებად რამეთუ შენ ხარ ცხორებაი და განსუენებაი შესვენებულთა მონათა შენთა, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა შევესწირავთ, თანა დაუსაბამოით მამით და ყოვლადწმიდით, სახიერით და ცხოველსყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.**

**ერმან:** ამენ

**მღვდელმან ხმითა:** აღელუაი, **გ გზის.**

**მემხრეთა:** აღელუაი, **გ გზის.**

**მღვდელმან საქცეფი:** „შენდამი უფალო აღვიდე სული ჩემი“.

**მემხრეთა:** აღელუაი, **გ გზის.**

**მღვდელმან:** „ნეტარ არს, რომელი გამოირჩინე და შეიწყნარენ უფალო“.

**მემხრეთა:** აღელუაი, **გ გზის.**

**მღვდელმან:** „ნეტარ არიან, რომელნი გამოიკულევენ წამებათა შენთა“.

**მემხრეთა:** აღელუაი, **გ გზის.**

**მღვდელმან:** „უფალო, აღმოიყვანე ჯოჯოხეთით სული ჩემი“.

**მემხრეთა:** აღელუაი, **გ გზის.**

**მღვდელმან დ გვერდი უტციოს:** „აღდგენ მკლარნი საფლავთაგან და იხარებდნენ ქუეყანასა ზედა“.

**მემხრეთა:** აღელუაი, **გ გზის.**

**განწესებულმან:** რომელი სიღრმითა მით სიბრძნისა შენისათა კაცთმოუყარე ბით ყოველსავე განაგებ, რომელი უმ-

ჯობესსა ყოველთასა განაწესებ, მხოლოდ დამბადებელი ყოველთათო, განუსვენე სულთა მონათა შენთასა, რამეთუ შენდა მომართ აქუნდათ სასოებაი, შემოქმედისა ყოველთასა და კაცთმოყუარისა ღმერთისა.

**დიდება** მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

**შენ ხარ ზღუდეი ჩუენი და ნავსაყუდეი, და შუოხი, კეთილად შემწყნარებელი მისსა მიმართ, რომელი შევე შენ ღმერთისმშობელს უსძლოო, მორწმუნეთა ცხორებაო.**

**აქა ყოველთა ძმათა განვეოს სანთელი.**

**და იწყონ ხმითა: „კურთხეულ ხარ შენ უფალო, მასწავენ მე სიმართლენი შენი“. კანონი იზ (17).**

ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ელენან შჯულსა უფლისასა. ნეტარ არიან, რომელნი გამოიკულევენ წამებათა მისთა, ყოვლითა გულითა გამოიძინენ იგი. რამეთუ არა მოქმედნი უშჯულოებისანი გზათა მისთა ვიდოდეს. შენ ამცენ მცნებათა შენთა დამარხვად ფრიად. წართუმცამართებელ იყენეს გზანი ჩემნი დაცვად სიმართლეთა შენთა, მაშინ არა მრცხუნოდის, რაჟამს ვხვდვიდე მე ყოველთა მიმართ მცნებათა შენთა. აღვიარო შენ სიწრფოვებითა გულისათა, რაჟამს ვისწავლენ მე განკითხვანი სიმართლისა შენისანი. სიმართლენი შენნი ეიმარხნენ ნუ დამაგდებ მე ვიდრე ფრიად. რათამე წარიმართოს ჭაბუკმან გზად თვისი? არამედ იმარხნეს თუ სიტყუანი შენნი. ყოვლითა გულითა ჩემითა გამოვიძიე შენ; ნუ განმაშორებ მე მცნებათაგან შენთა. გულსა შინა ჩემსა დავიფარენ სიტყუანი შენნი, რათა არა შეგცოდო შენ. კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმართლენი შენნი. ბაგითა ჩემითა მიუთხრენ ყოველნი სიმართლენი

პირისა შენისანი. გზასა წამებათა შენ-  
თასა განესცხრებოდე, ვითარცა ყოვლითა  
სიმდიდრითა. მცნებათა შენთა გულს  
ვეტყოდუ და განვიცადნე მე გზანი შენ-  
ნი. სიმათლეთა შენთასა ვიწურთოდე და  
არა დავივიწყო მე სიტყუაჲ შენი. მომაგე  
მონასა შენსა, ეცხოუნდე და დავიმარხნე  
სიტყუანი შენნი. განანათლენ თუაღნი  
ჩემნი და განვიცადნე საკვირველებანი  
შჯულისა შენისანი. მწირ ვარი მე ქუყუა-  
ნასა ზედა, ნუ დაჲფარავ ჩემგან მცნებათა  
შენთა. სურვიელ იქმნა სული ჩემი გუ-  
ლისთქუამდ სამართალთა შენთა ყოველ-  
სა ჟამსა. შეპრისხენ შენ ამპარტავანთა;  
წყუელ არიან, რომელთა გარდააქციეს მც-  
ნებათაგან შენთა. მოსვე ჩემგან ყუედრე-  
ბად და შეურაცხებად, რამეთუ წამებანი  
შენნი გამოვიძიენ. და რამეთუ დასხდეს  
მთავარნი, ჩემთვის ძვირსა იტყოდეს, ხოლო  
მონად შენი ზრახვიდა სიმათლეთა შენ-  
თა. და რამეთუ წამებანი შენნი წურთა  
არიან ჩემდა და ზრახვა ჩემდა არიან სი-  
მათლენი შენნი. მივახლა სული ჩემი მი-  
წასა; მაცხოვნე მე სიტყვისაებრ შენისა.  
გზანი ჩემნი გათხრენ შენ, და ისმინე ჩემი;  
მასწავენ მე სიმათლენი შენნი. გზად  
სიმათლეთა შენთად გულისხმამიყავ მე,  
და ვიტყოდი მე საკვირველებათა შენთა.  
მიერულა სულსა ჩემსა მოწყინებითა;  
დამამტკიცე მე სიტყვითა შენითა. გზად  
სიცრუისაი განმაშორე ჩემგან და შჯუ-  
ლითა შენითა შემიწყალებე მე. გზად ჰკმ-  
მარტებისაი სათნოეყავ და სიმათლენი  
შენნი მე არა დავივიწყენ. შევეყავ წამება-  
თა შენთა, უფალო, ნუ მარცხუნენ მე. გზა-  
სა მცნებათა შენთასა ვრბოდდე, რაჟამს  
განაერცე გული ჩემი. შჯულებრმეყავ მე,  
უფალო, გზასა სამართალთა შენთასა, და  
გამოვიძიო იგი მარადის. გულისხმამიყავ  
მე, და გამოვიძიო შჯული შენი და და-  
ვიმარხო იგი ყოველითა გულებითა ჩემითა.  
მიძლოდე მე აღაგსა მცნებათა შენთასა,  
რამეთუ იგი მონდა მე. მოდრიკე გული  
ჩემი წამებათა შენთა და ნუ ანგაძრებასა.  
მოაქციენ თუაღნი ჩემნი, რათა არა იხ-

ილონ ამოებად, და გზასა შენსა მაცხოვნე  
მე. დაამტკიცე მონისა შენისა თანა სი-  
ტყუაჲ შენი, რათა მეშინოდის მე შენგან.  
მოსვე ჩემგან ყუედრებად იგი, რომელსაცა  
ვეტუ მე, რამეთუ სამართალნი შენნი ტკ-  
ბილ არიან. ესერა გულმან მოთქუა მც-  
ნებათა შენთად; სიმათლეთა შენთად  
მაცხოვნე მე. და მოვედინ ჩემ ზედა წყ-  
აღობად შენი, უფალო, და მაცხოვარებაჲ  
შენი სიტყვისაებრ შენისა. და მიუგო მა-  
ყუედრებელთა ჩემთა სიტყუად, რამეთუ მე  
სიტყუასა შენსა ვესაგ. და ნუ განაშორებ  
პირსა ჩემსა სიტყუასა ჰკმმარტებისასა  
სრულიად, რამეთუ მე სამართალთა შენთა  
ვესაგ. და დავიცვა შჯული შენი მარადის,  
უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე. და  
ვილოდე მე ფართოსა, რამეთუ მცნებანი  
შენნი გამოვიძიენ. და ვიტყოდე წამებათა  
შენთა წინაშე მეფეთასა და არა მრცხ-  
უნოდა. და ვიწურთოდე მცნებათა შენთა,  
რომელნიცა შევიყუარენ ფრიად. და აღ-  
ვიპერენ ხელნი ჩემნი მცნებათა შენთა  
მიმართ, რომელნიცა შევიყუარენ, და ეს-  
რახვედ სიმათლეთა შენთა. მომახსენე  
სიტყუაჲ შენი მონასა შენსა, რომლისა  
მოსაემყავ მე. ამან ნუგეშინისმცა მე სიმდ-  
აბლესა შინა ჩემსა, რამეთუ სიტყუამან  
შენმან მაცხოვნა მე. ამპარტავანნი უშ-  
ჯულოებდეს ფრიად, ხოლო მე შჯულისა  
შენისაგან არა გარდავაქციე. მოვიხსენენ  
სამართალნი შენნი საუკუნითგან, უფალო,  
და ნუგეშინისმეცა მე. ურვამან შემიპერა  
მე ცოდვილთამან, რომელთა დაუტყვეს  
შჯული შენი. საგაღობელ იყენეს ჩემდა  
სამართალნი შენნი ადგილსა მას მწირო-  
ბისა ჩემისასა. მოვიხსენე დამე სახელი  
შენი, უფალო, და დავიცვე შჯული შენი.  
ესე მეყო მე, რამეთუ სამართალნი შენნი  
გამოვიძიენ მე. ნაწილი ჩემი ხარი შენ, უფა-  
ლო, ვთქუ, რათა ვიმარხო შჯული შენი.  
გმლოცვედ პირსა შენსა ყოვლითა გუ-  
ლითა ჩემითა, შემიწყალებე მე სიტყვისაებრ  
შენისა. განვიზრახვედ გზათა შენთა და  
მოვაქციენ ფერხნი ჩემნი წამებათა შენთა.  
განვემზადე და არა შექძრუნდი, რამეთუ

ვიმარხენ მე მცნებანი შენნი. საბელნი ცოდვილთანი მომეხსნეს მე, და შჯული შენი მე არა დაევიწყე. შუაღამე აღედგი აღსაარებად შენდა, განკითხვათათვის სიმართლისა შენისათა. შევეყავ მე ყოველთა მოშიშთა შენთა და რომელთა დაიცუნინან მცნებანი შენნი. წყალობითა შენითა, უფალო, საესე არს ქუყანაჲ; სიმართლენი შენნი მასწავენ მე. სიტკობუბად პეავ მონისა შენისა თანა, უფალო, სიტყვისაებრ შენისა. სიტკობუბად და სწავლულუბად და მეცნიერუბად მასწავე მე, რამეთუ მცნებანი შენი მრწმენეს მე. პირველ დამდაბლებად ჩემდამდე მე ვცოდე, ამისთვის სიტყუად შენი ვიმარხე. ტკილ ხარ შენ, უფალო, და სიტკობუბითა შენითა მისწავენ მე სიმართლენი შენნი. განმრავლდა ჩემ ზედა სიცრუვე ამპარტავანთად, ხოლო მე ყოვლითა გულთა ჩემთა გამოვიძინე მცნებანი შენნი. შეიყო ვითარცა სხე გული მათი, ხოლო მე შჯულსა შენსა ვიტყოდე. კეთილ არს ჩემდა, რამეთუ დამამდაბლე მე, რათა ვისწაველ მე სიმართლენი შენნი. კეთილ არს ჩემდა შჯული პირისა შენისაჲ უფროს ათასეულისა ოქროსა და ვეცხლისა.

— ხელთა შენთა შექმნეს მე და დამდადეს მე; გულისხმაიყავ მე, და ვისწაველ მე მცნებანი შენნი. მოშიშნი შენნი მხედვიდენ მე და იხარებდენ, რამეთუ მე სიტყუათა შენთა ვესაე. გულისხმაიყავ, უფალო, რამეთუ სიმართლით არიან განკითხვანი შენნი, და ჭეშმარიტად დამამდაბლე მე. იყავ წყალობად შენი ნუგეშინისმცემელ ჩემდა, სიტყვისაებრ შენისა მონისა შენისა [მიმართ]. მოვიდენ ჩემ ზედა მოწყალეებანი შენნი, და ვცხოვნდ, რამეთუ შჯული შენი არს ზრახვა ჩემდა. პრცხუენოდენ ამპარტავანთა, რამეთუ სიცრუვით უშჯულოებდეს ჩემდა მომართ; ხოლო მე გულსა ვეტყოდი მცნებათა შენთა. მომაქციედ მე მოშიშთა შენთა და რომელთა იცნინან წამებანი შენნი. იყავ გული ჩემი უბიწო სამართალთა შინა შენთა, რათა არა მრცხუნეს მე. მოაკლდების მაცხოვ-

რებისა შენისა მიმართ სულსა ჩემსა, რამეთუ მე სიტყუათა შენთა ვესაე. მოაკლდეს თუაღნი ჩემნი სიტყუათა მიმართ შენთა, მეტყვედ რაჲ: ოდესმე ნუგეშინისმცე მე? რამეთუ ვიქმენი, ვითარცა თხიერი ნეფხება, ხოლო სიმართლენი შენნი მე არა დაევიწყენ. რაოდენმე არიან დღენი მონისა შენისანი? ანუ ოდესმე პუო საშჯელი ჩემი მღვეართა ჩემთაგან? მითხრეს მე უშჯულოთა ზრახვად, არამედ არა იყო ვითარ შჯული შენი, უფალო. ყოველნი მცნებანი შენნი ჭეშმარიტებით არიან; უსამართლოდ მღვენიდეს, შემეწიე მე. წუთდა წარმეწმედდეს მე ქუყანასა ზედა, ხოლო მე არა დაურტვენ მცნებანი შენნი. წყალობითა შენითა მაცხოვრე მე, და დავიმარხნე წამებანი პირისა შენისანი. უკუნისამდე, უფალო, სიტყუად შენი დაადგრების ცათა შინა. და ნათესავითი ნათესავამდე ჭეშმარიტებად შენი; დააფუშნე ქუყანად და პიეს. ბრძანებასა შენსა ელის დღე, რამეთუ ყოვლითურთ გმონებს შენ. არათუცა შჯული შენი ზრახვა იყო ჩემდა, მანინეე სამეცა წარეწმედი სიმდაბლესა შინა ჩემსა. უკუნისამდე არა დაევიწყენ მე სიმართლენი შენნი, რამეთუ ამას შინა მაცხოვრე მე. **(ესე გ ვისი თქუან).**

### **ხოლო მდღელმან უკუთოს ეკლესიასა და მმათა.**

**დაიკონმან** კურეჟსი: მშვიდობით უფლისა მიმართ ეილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგვიწყალებ.

**დაიკონმან:** ზეცილ გარდამო მშვიდობისა და ცხორებისათვის სულთა ჩუენთაისა უფლისა მიმართ ეილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგვიწყალებ.

**დაიკონმან:** მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა, დამტკიცებისათვის წმიდათა მკლესიათა და ყოველთა ერთობისათვის, უფლისა მიმართ ეილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგვიწყალებ.

**დაიკონმან:** წმიდისა ამის სახლისათვის და რომელნი სარწმუნოებით და შიშითა ქრისტესითა შემავალ არიან ამას შინა,

უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** ქრისტესმოყუარისა [სახელით] მოხსენებისათვის, წყალობისა და განსუენებისა და ნეტარებისა მისისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** პირველშესუენებულთა მამათა და ძმათა ჩუენთა, ღხინებისა და ნეტარებისა და ხსენებისა მათისათვის, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** რათა შეენდგენ ყოველნი შეცოდებანი და დავიწყებულ იქმნენ ბრალნი მათნი, ნებსითნი და უნებღიეთნი, საქმითნი და გონებითნი, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** რათა შეწყნარებულ იქმნენ სულნი მათნი ადგილსა ნათლისასა, სადა იგი არა არს საღმობაი და წუხარებაი და სუფთქმაი, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** რათა ზიაროქმნენ სულნი მათნი მოუკლებელსა სიხარულსა, საუკუნითგან წმიდასათა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** რათა იშუებდნენ ივინი ხმითა დღესასწაულთა ოხრისათა, ანგულოსთა განწყობილისათა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** რათა ღირსყუნეს ივინი მოღებად ბრწყინვალეებასა მის, ნეტარისა მის და ცხორებისა დასაბამისა სამებისა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** ხსნად ჩუენდა ყოვლისაგან ჭირისა, რისხეისა და იწროებისა, უფლისა მიმართ ვილოცოთ

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** და ყოველთათვის, რომელნი ითხოვენ ღმრთისაგან წყალობასა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** წყალობაი ღმრთისაი და შენდობაი ცოდვათაი და სასუფვეელი მისი ვითხოვოთ, თაენი თვისნი და ურთიერთარსა და ყოველი ცხორებაი ჩუენი ქრისტასა ღმერთსა ჩენსა შეგუკედრნეთ.

**მემხრეთა:** მოგუმაღლე უფალო, უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

### **მღვდელმან ლოცუბა ესე:**

ღაუწყვედელი, აღმომდინარეო, ცხოველსყოფელი და განმანათლებელი წყაროო, თანაარსო და თანადაბნადებულო, ძალო მამისაო, რომელმან ყოველივე განგებულება ცხორებისათვის კაცთაჲსა კეთილად აღასრულე, ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელმან სიკუდილისა განუხსნეგინი საკრეულნი განხეთქნენ და ბორბოტა მათ სიმრავლე დასთრგუნენ, რომელმან შესწირე თაეი თვისი მსხუერქლად უბიწოდ და ცხორებაი საუკუნოი მოგუმაღლე ჩუენ. რომელი შთახედ ჯოჯოხეთს და მოქლომნი რკინისანი შემუსრენ და ქვესკნელს მსხდომარეთა ზე აღმოსავალი უნუენე, დიდად სახელოვანო, სიბრძნეო მამისაო, რომელი განანათლებ ბნედსა და ანრდილთა სიკუდილისათა მსხდომარეთა, რომელმან ღირსსიინე ვედრებათა შეწირვა სახსრად შეპრობილთათვის ჯოჯოხეთს შინა, და დიდთა სასოებათა მოგუცემ ღხინებად და ნუგეშინისცემად, დიდებისა მის მადლისა თუალშეუდგამისა უფალო და მამისა მის საყუარელი ძეო, დაუსაბამოო და დაუსრულებულო ნათელი, დაუსრულებულისა და დაუსაბამოისაგან ნათლისა, აღმოსავლისა მშეო სიმართლისაო, შეისმინე ჩუენი, რომელნი გვედრებით შენ და განუხუენე სულსა მონისა ამის შენისასა (სახელით) და პირველდაძინებულთა მამათა და ძმათა ჩუენთასა, რომელთათვის ხსენებასა ვყოფთ აწ, რამეთუ შენი არს ყოველთა პერობაი და ხელთა შენთა შინა არიან ყოველნი სულნი.

**ამადღება:** რამეთუ შენ ხარ განმანათლებელი სულთა და ხორცთა ჩუენთაი

და შენდა დიდებასა შევსწირავთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწდა და მარადის და უკუნითუკუნისამდე.

**ერმან:** ამენ

### **შემდგომად ამისა კებალად იწყონ:**

შენი ვარ, მაცხოვრე მე, რამეთუ სიმართლენი შენნი გამოვიძიენ მე. მელოდეს მე ცოდვილნი წარწყმედად, რამეთუ წამებანი შენნი გულისხმავეყვენ. ყოვლისა დასასრულისა ვიხილე ოხვანი; ფართო არს მცნებაი შენი ფრიად. რაბამად შევიფუარე შჯული შენი, უფალო, ყოველსა დღესა წურთა არს ჩემდა. უფროს მტერთა ჩემთასა მეცნიერმყავ მე მცნებათა შენთა, რამეთუ უკუნისამდე ჩემნი არიან. უფროს ყოველთა მასწავლელთა ჩემთასა გულისხმავეყ, რამეთუ წამებანი შენნი წურთა არიან ჩემდა. უფროს მოხუცებულთასა გულისხმავეყ, რამეთუ მცნებანი შენნი გამოვიძიენ. ყოვლისაგან გზისა უკეთურისა დაეაყენენ ფერხნი ჩემნი, რათთა ვიმარხნენ მე სიტყუანი შენნი. სამართალთა შენთაგან არა გარდავაქციე. რამეთუ შენ შჯულიერ მყავ მე. რაბამად ტკიბლ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფროს თაფლისა პირსა ჩემსა! მცნებათა შენთაგან გულისხმავეყ; ამისთვის მოვიძულე ყოველი გზაი სიცრუისა. ხანთელ არს ფერხთა ჩემთა შჯული შენი და ნათელ აღაგთა ჩემთა. ვფუცე და დავამტკიცე რათთა დავიკუნე მე განკითხვანი სიმართლისა შენისანი. დავმდაბლდი ფრიად; უფალო, მაცხოვრე მე სიტყვისაებრ შენისა. ნებსითი პირისა ჩემისა სათნოივე, უფალო, და სამართალნი შენნი მასწავენ მე. სული ჩემი ხელთა შენთა შინა არს მარადის და შჯული შენი მე არა დავიფიცე. დამირწყეს მე ცოდვილთა მახე და მცნებათა შენთაგან მე არა შევსკვთ. დავიპკვიდრენ წამებანი შენნი უკუნისამდე. რამეთუ სიხარულ არიან გულისა ჩემისა. მოედრიკე გული ჩემი ყოფად სამართალთა შენთა უკუნისამდე, მერმისა მისთვის

მოსაგებელისა. უშჯულონი მოვიძულენ, ხოლო შჯული შენი შევიფუარე. შემწე და ხელისაღმჭერობელი ჩემი ხარ შენ, მე სიტყუათა შენთა ვესავ. მისდერკით ჩემგან, უკეთურნო, და გამოვიძიენ მცნებანი ღმრთისა ჩემისანი. შემეწე მე სიტყვისაებრ შენისა და მაცხოვრე მე და ნუ მარცხუნე მე სასოებისაგან ჩემისა. შემეწე მე, და ვცხოვრდე და ვიწურთიდე სიმართლეთა შენთა ყოველსა ეამსა. შეურაცხვენი ყოველნი, რომელნი განდგეს სამართალთაგან შენთა, რამეთუ სიცრუვით იყენეს ზრახვანი მათნი. გარდაშვალად შეგმრაცხენ ყოველნი ცოდვილნი ქუყანისანი, ამისთვის შევიფუარენ წამებანი შენნი. განმშჯულენ შიშითა შენითა ხორცი ჩემნი, რამეთუ საშჯელთა შენთაგან შემეშინა. ყვავ განკითხვამ და სიმართლენ ნუ მიმცემ მე მავნებელთა ჩემთა. შემიწინარე მონად შენი კეთილსა შენა და ნუ ცილსა შემწამებუნ მე ამპარტავანნი. მოაკლდა თუაღთა ჩემთა მაცხოვრებებისა მიმართ შენისა და სიტყუათა მათ სიმართლისა შენისათა. ყავ მონისა შენისა თანა წყალობისაებრ შენისა და სიმართლენი შენნი მასწავენ მე. მონად შენი ვარ; მეცნიერმყავ მე და გულისხმავეყვენ წამებანი შენნი. ეამი არს მსახურებად უფლისა, რამეთუ განაქარვეს შჯული შენი. ამისთვის შევიფუარენ მცნებანი შენნი, უფროს ოქროსა და ანთრაქისა; ამისთვის ყოველთა მიმართ მცნებათა შენთა წარვამართე და ყოველ გზაი სიცრუისაი მოვიძულე. საკვრეულ არიან წამებანი შენნი, ამისთვის გამოიძინა ესენი სულმან ჩემმან. განცხადებამ სიტყუათა მათ შენთაი განანათლებს და გონიერყოფს ჩვილთა. პირი ჩემი აღვადე და მოვიღე სული, რამეთუ მცნებათა შენთა მსუროდ.

მოიხილე ჩემ ზედა და შემიწვალე მე სამართალთათვის მოეუარეთა სახელისა შენისათა. სღვანი ჩემნი წარმართენ სიტყუათაებრ შენთა, და ნუ მეუფლებინ მე ყოველი უშჯულოება. მისხენ მე ცი-

ლისწამებისაგან კაცთადასა, და დაეიცვნენ მე მცნებანი შენნი. გამოაზინე პირი შენი მონისა შენისა ზედა და მასწავენ მე სიმართლენი შენნი. ნაკადულენი წყალთანი გარდამოდოდეს თუალთა ჩემთა, რამეთუ არა დაევიცვენ შველთი შენი. მართალ ხარ შენ, უფალო, და წრფელ არიან განკითხვანი შენნი. ამცენ სიმართლენი წამებათა შენთაჲ, და ჭეშმარიტ არს ფრიად. განმკავა მე შურმან შენმან, რამეთუ დაივიწყეს სიტყუაჲ შენი მტერთა ჩემთა. გამოხურვებულ არს სიტყუაჲ შენი ფრიად, და მონამანცა შენმან შეიფურა იგი. ყრმა ვარი მე და შეურაცხ, ხოლო სიმართლენი შენნი მე არა დაევივიწყენ. სიმართლენი შენი სიმართლენი არს უკუნისამდე და შველთი შენი ჭეშმარიტ. ჰირთა და ღუაწლთა მპოვეს მე, და მცნებანი შენნი ზრახვა იყვნეს ჩემდა. სიმართლეთი არიან განკითხვანი შენნი უკუნისამდე, გულისსამაძიყაჲ და ეცხოვრდენ დადადვყავ ყოვლითა გულთთა ჩემითა; ისმინე ჩემი, უფალო, და სიმართლენი შენნი მოვიძინე. ხმავეჲ შენდაჲ, მიხსენ მე, და დაევიცვენ წამებანი შენნი. აღვიმსთუე უფამოსა და ხმავეჲ, რამეთუ მე სიტყუათა შენთა ვესაჲ. აღმოსთუეს თუალთა ჩემთა განთიად ზრახვად სიტყუათა მათ შენთა. ხმისა ჩემისაჲ ისმინე, უფალო, წყალობითა შენითა და სამართალთა შენითა მაცხოვნე მე. მიეახლნეს მდევარნი ჩემნი უშველუობასა, ხოლო შველსა შენსა განეშორნეს. ახლოს ხარ შენ, უფალო, და ყოველნი გზანი შენნი ჭეშმარიტებით არიან. დასაბამითგან ეცან წამებათაგან შენთა, რამეთუ უკუნისამდე დააფუძნენ შენ ივინი. იხილე სიმდაბლენი ჩემი და მიხსენ მე, რამეთუ შველთი შენი მე არა დაევივიწყე. საჯე შჯაჲ ჩემი და მიხსენ მე და სიტყუითა შენითა მაცხოვნე მე. შორს არს ცოდეილთაგან ცხოვრება, რამეთუ ხამართალნი შენნი არა გამოიძინეს. წყალობანი შენნი მრავალ არიან, უფალო; სამართალთა შენითა მაცხოვნე მე. მრავალ არიან მდევარნი ჩემნი და მაჭირვებულნი ჩემნი, და წამებათა შენთაგან არა გარდაეჲქციე.

ვიხილენ უგულისხმონი და დაედუნებოდენ რამეთუ სიტყუანი შენნი არა დაიმარხნეს, იხილე, რამეთუ მცნებანი შენნი შევიყვარებენ; უფალო, წყალობითა შენითა მაცხოვნე მე. დასაბამი სიტყუათა მათ შენთაჲ ჭეშმარიტება არს, და უკუნისამდე ყოველნი განკითხვანი სიმართლისა შენისანი. მთავარნი მდევნიდეს მე ცუდად, და სიტყუათა შენთაგან შეეშინა გულსა ჩემსა. ვიხარებდენ მე სიტყუათა შენთა ზედა, ვითარცა ვინ პოვის ტყუე დიდძალი. ცოდვაჲ მოვიძულე და მოვიძაგე, ხოლო შველთი შენი შევიყვარე. შეიფურის დღესა შინა გაქებდენ შენ, განკითხვათათვის სიმართლისა შენისათა. მშვიდობაჲ მრავალ არს მათ თანა, რომელთა უყუარს შველთი შენი, და არა არს მათ თანა საცთურ. ევლოდენ მე მაცხოვარებასა შენსა, უფალო, და მცნებანი შენნი შევიყვარენ. დაიცივნა სულმან ჩემმან წამებანი შენნი და შეიყვარნა ივინი ფრიად. დაეიმარხენ მცნებანი შენნი და წამებანი შენნი, რამეთუ ყოველნი გზანი ჩემნი წინაშე შენსა არიან, უფალო. მიეახლენ ღოცვაჲ ჩემი წინაშე შენსა, უფალო, და სიტყუითა შენითა გულისსამაძიყაჲ მე. შევედინ შენ წინაშე ვუდრებამი ჩემი, უფალო, და სიტყუითა შენითა მიხსენ მე. აღმოთქუან ბაგეთა ჩემთა გალობაჲ შენი, რაჟამს მასწავლენ მე სიმართლენი შენნი. თქუნეს ენამანცა ჩემმან სიტყუანი შენნი, რამეთუ ყოველნი მცნებანი შენნი სიმართლეთი არიან. იყავნ ხელი შენი მაცხოვრად ჩემდა, რამეთუ მცნებანი შენნი აღვირჩინენ. მსუროდა მაცხოვარებაჲ შენი, უფალო, და შველთი შენი არს ზრახვა ჩემდა. ცხოვრდეს სული ჩემი და გაქებდეს შენ, და სამართალნი შენნი შემეწინენ მე. შევსცეთი მე ვითარცა ცხოვარი წყმედული; მომიძიე მონაჲ შენი, რამეთუ მცნებანი შენნი მე არა დაევივიწყენ.

**და ვითარცა სრულყონ ნეტარარბიანთა, იწყონ მეგზბრეთა:**

**კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმართლენი შენნი.**



კრებულმან წმინდათამან პოვა წყაროი ცხორებისა და კარი სამოთხისა. მომად-  
 ლე მეცა სახიერ, პოვნად გზა იგი სინანუ-  
 ლისაი, მე ვარ ცხოვარი იგი წარწყმედუ-  
 ლი, მომიძიე მაცხოვარ და შემოწყადე მე.

**კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმაართელნი შენი.**

რომელთა გზად იგი იწროი და საჭირო ელეს სოფელსა შინა, რომელთა ჯვარი ჩემი, ერთარცა უდელი იტვირთეთ, და შემომიდე-  
 კით სარწმუნოებით, მოვედით და მიიღეთ რაი იგი განგვიზადე თქვენ, სამკაულნი და გუიერგუინი, ზეცისანი დაუწნობელი.

**კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმაართელნი შენი.**

განუსუენე, ქრისტე ღმერთო, მონათა შენთა მიცუალბულთა, და დააწესე იგი-  
 ნი სამოთხესა, სადა იგი არიან კრებულნი წმიდათანი, უფალო, და მართალნი ბრწყინვენი ერთარცა მნათობნი, რომელნი შეივე-  
 დრენ, შეიწყაღენ, შენ სახიერ, და აღხოცენ ბრალნი მათნი.

დიდებთა მამისა და ძესა და წმიდასა სულსა

სამბრწინეალებსა ერთღმრთეებისასა მართლმადიდებლობით უფალობდეთ და ეიტყოდეთ: წმიდა ხარ მამო, და ძეო და სულო წმიდაო, დაგვიცვენ ჩვენ, რომელნი სარწმუნოებით გმონებთ შენ და საუკუნოისა მის ცეცხლისაგან გვიხსნენ.

აწდა და მარადის და უკუნითი უკუ-  
 ნისამდე, ამენ.

გიხაროდენ, ქაღწულო წმიდაო, რომელ-  
 მან შევ ღმერთი ხორციოთა, ცხორებად ნათესავეისა კაცთაისა, და ბუნებაჲმან პოვა შენ მიერ გამოხსნა; მგოხებითა შენითა, წარმიძელუ ჩვენ სამოთხედ, ღმრთისმშობლო, მარადის კურთხეულო.

**დააკონმან** კუერქსი: მშვიდობით უფლისა მიმართ ეილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** ზეციითგარდამო მშვიდობისა და ცხორებისათვის სულთა ჩვენთაისა, უფლისა მიმართ ეილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** მშვიდობისათვის ყოელისა

სოფლისა, დამტკიცებისათვის წმიდათა ეკლესიათა და ყოველთა ერთობისათვის, უფლისა მიმართ ეილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** წმიდისა ამის სახლისათვის და რომელნი სარწმუნოებით და შიშითა ქრისტესითა შემავალ არიან ამას შინა, უფლისა მიმართ ეილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** მონისა ღმრთისა [სახელით] ლხინებისა, განსუენებისა და ნეტარებისა და ხსენებისა მისისათვის, უფლისა მიმართ ეილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** რაითა შეენდენენ ცოდეანი მისნი ნებსითნი და უნებლიეთნი და რაითა ღირს იქმნეს სასუფეველსა ცათასა, უფლისა მიმართ ეილოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**დააკონმან:** მერმეცა სარწმუნოე-  
 ბით დაძინებულთათვის წმიდასა ამის მონასტერსა შინა, მამათა და ძმათა ჩუნთა, რომელთათვის ღოცვათ ამათ ვპოყთ, რაითა მიეტვენენ ყოველნი ცთო-  
 მანი, საცნაურნი და უცნაურნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, ლხინებისა, და განსუენებისა, და ნეტარებისა, და ხსენებისა მათისათვის, და რაითა ღირსყუნეს უფალ-  
 მან სასუფეველსა მისსა, შუებად საუკუ-  
 ნოდ, ეთქუათ ყოველთა ვედრებით.

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**მღვდელმან ამადლებათ:** რამეთუ მოწყადე და კაცთმოყუარე ღმერთ ხარ შენ, ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა აღვაუღენთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწდა და მარადის და უკუნითიუკუნისამდე.

**ერმან:** ამენ.

**მღვდელმან:** მშვიდობაი ყოველთა.

**ერმან:** სულისა შენისა თანა.

**დააკონმან:** თაენი ჩუენნი უფალსა მოუ-  
 დრიკეთ.

**მღვდელმან ღლოცუაი ესე:** მეუფეო, ყოე-  
 ლისა მპყრობელი, ღმერთო მამათა ჩუენ-  
 თაო და უფალო წყალობათაო, ნათესავისა უკუდავისა და მოკუდავისაო, და ყოელი-

სა განგებისა კაცობრივისა შემოქმედო, შეერთებულისა და კულად დახსნადისაო, ცხორებისა და აღსასრულისა აქ ყოფისა და მუნ მიცუადებისა, რომელი წელთა აღრაცხა ცხოველთა და მკუდართასა, და ვამთა განაწესებ, შთაიყვანებ ჯოჯონხეთად და აღმოიყვანებ, შეპკრავ უძღურებთთა და განუტეობ ძალითა, რომელი აწ მყოფთა კეთილად განაგებ და მომავალთა უმჯობესად აღასრულებ, რომელი სიკუდილისა საწურტკელითა მოწველულთა აღდგომისა სასოებითა ახარებ, შენ, მკუფეო ყოველთაო, ღმერთო ყოვლისა მპრობელო, მაცხოვარო ჩუენო, სასოო ყოველთა კედეთა ქვეყანისათაო, სახიერო და კაცთმოყუარეო, ისმინე ჩუენ გლახაკთა მონათა შენთაი და პირველდაძინებულთასა და სულსა მონისა შენისასა [სახელი] ადგილსა ნათლისასა, სავანესა მართალთასა განუსვენე, და ჩუენიცა აღსასრული, ქრისტეანობით, უცოდველად ინებე, ყოვლითა საქმითა კეთილითა.

**ამბილებამ:** მადლითა და წყალობითა და კაცთმოყუარებითა მხოლოდშობილისა ძისა შენისათა, რომლისა თანა კურთხეულ ხარ, ყოვლად წმიდით, სახიერით და ცხოველსყოფელით სულით შენითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**ერმან:** ამენ

**განწესებულმან წარდგომანი ესე:** რომელნი მისცვალენ ჩუენგან საუკუნოდ ცხორებად, გვედრებით ქრისტე ღმერთო, მართალთა თანა განუსუენე და ცოდვათა შენდობაი მიანიჭე მათ, ვითარცა სახიერმან და ბუნებით მოწყალებამ ღმერთმან, რამეთუ შენ მხოლო ხარ უცოდველ, ყოვლად ძლიერო.

**ტეშმარიტად** ამო არს ყოველივე ესე წარმავალი, და ცხორებაი ესე უმედგრეს ანდილისა და სიხმრისა, რამეთუ ცუდად შფოთებს ყოველივე მიწისაგანი, ვითარცა თქუა წიგნმან. რამეთუ ოდეს ყოველი სოფელი შევიძინოთ მაშინ საფლავივე დავიძვიდროთ, სადა იგი ყოველნივე

ერთბამად დაემკვიდრებიან, მკუფეო, მადარნი და გლახაკნი. ამისთვისცა, ქრისტე ღმერთო, ამიერ წარსულთა მიცუადლებულთა განუსუენე, ვითარცა მოწყალებამ და ბუნებით სახიერმან ღმერთმან, რამეთუ შენ მხოლო ხარ უცოდველი და ყოვლადძლიერო.

**დიდება** მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

**სიტყვისამებრ** შენისა, დედაო ტეშმარიტისა ღმრთისაო, აჰა, ესერა ყოველი თესლები განტრით შენ, გოგალობთ და გვეუდრებით, შენ გვეყავ, ცხორებად სულთა ჩუენთათუის.

**მეცხულად მიწყაღე [50 ფსლ] და გალობანი.**

მიწყაღე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყაღებითა შენითა ახოცე უშჯულოებამ ჩემი. უფროს განმბანე მე უშჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე. რამეთუ უშჯულოებამ ჩემი მე უწყი, და ცოდვამ ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ; რათა განმმართდე სიტყუათაგან შენთა და სძლო შჯასა შენსა. რამეთუ ესერა უშჯულოებათა შინა მოდგამ და ცოდვათა შინა მშუა მე დედამან ჩემმან. რამეთუ ესერა ტეშმარიტებამ შეიყუარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამოშიცხადენ მე. მასხურო მე უსუპითა და განწმინდე მე, განმბანო მე და უფროს თოვლისა განვსპეტაკე მე. მასმინო მე გალობამ და სიხარული, და იხარებდენ ძუალნი დაძაბლებულნი. გარეშიაქცე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უშჯულოებანი ჩემნი ახოცენ. გული წმიდა დაძაბდე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმავადებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისანი და სულითა მთავრობისათა





დამამტკიცე მე, ვახწავლენე უშეჯულოთა გზანი შენნი და უღმრთონი შენდა მოიქცენ, მიხსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო, ცხორებისა ჩემისაო; იხარებდეს ენაი ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბავენი ჩემნი აღახუნე, და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა. რამეთუ უკუეთუმცა გენება, მსხუერპლი შემცამეწირა; არამედ საკურთხი არა გონდეს. მსხუერპელ ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღეშენენ ზღუდენი იერუსალემისანი. მაშინ გონდეს მსხუერპლი სიმართლისაი, შესაწირავე და ყოვლადდასაწუველი; მაშინ შესწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი.

**გალობანი სულისანი**

**უგალობდითსა. ძღისპირი. ხმაი გ გვერდი**

უკუღვევლად ზღუა წიაღელთ იხრავლმან, ვითარ წრფელი ქუეყანაი და მღვეარი ფართ იხილა დანთქმული უფსკრულთა და ძღვეისა გალობასა ღმერთსა უგალობდა.

**განუსუნე უფალო სულსა მიცვალებულისა მონისა ამის შენისასა.**

სამინელ არს სიკუდილისა მოხსენებაი და უფროის საზარელ არს ცეცხლი გემუნისაი, მოვედით და ვევედრნეთ ქრისტესა, რაითა მისცეს მიცვალებულთა ღხინებაი და წყალობაი.

**განუსუნე უფალო სულსა მიცვალებულისა მონისა ამის შენისასა.**

საშველისა მის ცოდვისასა განმკუთხულად განაწესე სიკუდილი დამბადებულო, ხოლო სარწმუნოებით განსრულთა მიზეზ განსვენებისა და აღდგომა ცხორებისა.

**დიდებაი—**

საწუთოისა შუენიერი ბრწყინვალეებაი მსგავსად კუამლისა წარვალს და უჩინო იქმნების, შთაუხედნეთ საფლავსა შინა, ამა, ძუადნი შიშუელნი და ყოველი ხორცი მტუერ არს.

**აწ და—**

შვიწყნარე საიდუმლოდ ღმრთისმშობელთ, დამბადებელი შენი და გვიშვე ჩუენ უთესლოდ მიუწდომელი უბიწოო და იქმენ კეშმარიტად დედად მუუფისა.

**განმღიერდასა. ძღისპირი.**

არაი ვინ არს წმიდაი შენებრ, უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან აღამაღლე დღეს რქაი ქრისტეანეთაი, დამამტკიცენ ჩუენ ერთობით კლდესა ზედა სარწმუნოებისასა.

**განუსუნე, უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა ამის შენისასა.**

ქუეყანასა ზედა კაცნი სიკუდილსა და ცოდვასა დაემორჩილნეს ურნებოთა, ხოლო შენ სახიერ უცოდველ ხარ და უკუდავ, იხსენ მიცვალებულნი დაშვისაგან.

**განუსუნე, უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა ამის შენისასა.**

ღმრთისა ცხოველისა ხელთა შთაერდომა საშინელ არს ცოდვათა შინა მომწყდართა(თვის), იხსენ, სახიერო, სატანჯველთაგან სასტიკთა, მორწმუნენი ჩუენგან მიცვალებულნი.

**დიდებაი—**

საშველი ჯოჯოხეთისაი და ღოდი საფლავისა გოდებოთა აღსავსე არს, რამეთუ ორნივე განმხრწნელ არს და უღხინებელ, განეცადოთ, რაი შემთხვევად არს ჩუენთვის.

**აწ და—**

უხეშთავეს არს ყოველსა წესსა ბუნებათასა შობაი შენი, ქალწულო, რამეთუ ღმერთი მხოლოდ საშოსა დაიტიე და გვიშვე ჩუენ და დაადგერ ქალწულად.

**უფალო მესმასა. ძღისპირი.**

ქრისტე ღმერთი ჩემი, უფალი ძალ ჩემდა ხმითა მადლითა იტყვის კლესია და ნებისაებრ ღმრთისა იხარებს სარწმუნოებით საღმრთოთა მით სიხარულთა.

**განუსუნე, უფალო, სულსა მიცვალებულისა მონისა ამის შენისასა.**

## **ბუღისა მონისა ამის შენისასა.**

სიკუდილისა მიერ დაეისაჯენით ჩუენ, რაითა არა უსახურებამ ცოდვისა უკუ-დავად გუმძღაერობდეს ჩუენ, ვევედრნეთ ქრისტესსა რაითა განუსვენოს მონათა თვისთა.

## **განუსვენე, უფალო, სულსა მიცუაღერ ბუღისა მონისა ამის შენისასა.**

ზეცათა შეებასა და განსვენებასა სადა იგი ოხრა დღესასწაულთამ გიგალობს, ქრისტე ღმერთო, ამიერ მიცვალებულნი მონანი შენი დააწესენ.

### **დიდება...**

მიმოდამყრის მწარედ და აღშტობის უწყ-ალოდ სიკუდილი და საფლავნი ნათესაფ-თა და ყოველთა კეთილთა, ვაი, მჲ, სულთ ჩემო, სადა არს აწ მშობელნი და ძმანი.

### **აწ და...**

ტეშმარიტად დიდ არს და გამოუკუ-ღვეულ საიდუმლოდ შობისამ შენისამ, ღმრთისმშობელო, ქალწულო, რომელსა ქუეყანისანი ზეცისათა თანა ვადიდებთ.

**მესმასა ზედა დიაკონმან** კურეკსი: მერმეცა და მარადის მშუიფობით, უფლი-სა მიმართ ვილოცოთ

**მემხრეთა:** უფალო შეგუიწყაღენ.

**მღვდელმან ლოცუბა ესე** ღმერთო დიდო და საკვირველო, წმიდაო და კაცთმოყუ-არეო, რომელმან ღირსმყუენ ამასცა ვამსა დგომად წინაშე დიდებისა შენისა, გაღო-ბად და ქებად საკვირველებათა შენთა, გვიღხინე ჩუენ უდირსთა მონათა შენთა და მოჰმადღე მადლი, რომელნი შემუსრვილ-ითა გუღითა და გონებითა დაუნეველითა შესწირვენ შენდა დიდების მტკუველებასა და მადლობასა, დიდებულთა მათ ნიჭთათ-ვის, რომელნი კქმენ და იქმ ყოვლაღვე ჩუენთანა; მოიხსენე უძღურებაი ჩუენი და ნუ წარმწყმედ უმჯუღლოებათა შინა ჩუენ-თა, არამედ დიდი წყალობამ ჰყავ ჩუენზე-და და სიგლახაკისა ჩუენისა თანა, რაითა ბნელსა ცოდვისასა განვერნეთ და დღესა შინა სიმართლისასა ვიდოდეთ, შევიმო-სოთ სატურველი ნათლისამ და ყოველ-თაგან ღონეთა უკეთურისათა განვერნეთ. და ღირსმყუენ სულნი მონათა შენთანი მშ-

ვიდობასა და განსვენებასა, რამეთუ არა მკუდართა აღგიარონ შენ, უფალო, არცა ყოველი შთამავალნი ჯოჯოხეთისანი კადნიერ იქმენ შეწირვად შენდა ქებისა, არამედ ჩუენ ცხოველნი გლოცაეთ, და გვევედრებთ, და საღხინებულთა ღოცვა-თა და მსხუერპლთა შეესწირავთ შენდა მათოის.

**დიაკონმან:** შეგუიწყიენ, გვაცხოვნენ, შეგვიწყაღენ და დაგვიცვენ ჩუენ, ღმერთო შენითა მადლითა.

**მემხრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.

**დიაკონმან:** ყოვლაღმადისა, უხრწნელი-სა, უფროსად კურთხეულისა, დიდებულ-ისა დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელი-სა და მარადის ქალწულისა მარიამისა, და ყოველთა წმიდათა მომხსენებულთა თაენი თვისნი, და ურთიერთარს, და ყოველი ცხო-რებაი ჩუენი ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა შევევედროთ.

**მემხრეთა:** შენ, უფალო

**მღვდელმან ამადღება:** რამეთუ შენ ხარ ცხორებაი და განსუენებაი შესუენებ-ულთა მონათა შენთა, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენდა დიდებასა შეესწირავთ, თანა დაუსაბამოთ მამით და ყოვლაღწ-მიდით, სახიერით და ცხოველსყოფელით სულითურთ, აწდა და მარადის და უკუ-ნითი უკუნისამდე.

**ერმან:** ამენ

## **ღამითგანსა. ძლისპიოი.**

ნათლითა შენითა საღმრთოთა, დიდ-ბულო, სულნი, რომელთა აღმოსთვეს შენ-დამი სიყვარულით, განანათლენ, რაითა გიცნან ღმერთი მხოლოდ განმათავისუ-ფლებელი ცოდეათა მათთაგან.

## **განუსვენე, უფალო, სულსა მიცუაღერ ბუღისა მონისა ამის შენისასა.**

ვერღარა მძღაერობს ჯოჯოხეთი სულთა მიცვალებულთა, გარდასვლისათ-ვის ცნებისა, რამეთუ ქრისტეს ღმრთისა სიკუდილითა და აღდგომითა საღმრთო-სა ცხოვრებისა თანა მკვიდრ იქმნებიან.

**განუსვენე, უფალო, სულსა მიცუაღერ**

## **ბუღისა მონისა ამის შენისასა.**

საშინელ არს საფლარი შენი, სახარულ განშჯად შენი და თანა წარუვალ განკითხვაი შენი, რომელთაგან იხსნენ, ქრისტე, მონანი შენი და ნუ შეურაცხ, მხსნელო, ბრალთა საწუთოფსათა.

### **დიდებაჲ—**

მწარე არს განმხრწნელ საფლავი და საწადელთა სოფლისათა ყოველთა უშუკრებით განხრწნის, მოვედით ყოველნი და მოშით შთაუხედნეთ და ეხილნეთ ხატნი ჩუენნი განრყენილნი და შეცვალებულნი.

### **აწ და—**

რომელნი აღგიარებენ შენ ხარწმუნოებით დედად ღმრთისად, დაბადებულთა დედოფალო, დაიცივენ, რომელნი მოგიგებენ მფარველად ღმრთისმშობელო, კაცთა სიქადელო.

## **დადაფავსა. ძლისპირი.**

სოფლისა ზღუაი აღძრულ არს დეღვიოთა ცოდვისათა და საშინელად დანთქამს მე და მოვივლტი შენდა ნათსაყუდეღისა და ესრედ გიდადადებე განხრწნისაგან იხსნენ მე კაცთმოყვარე.

## **განუსუენე, უფალო, სულსა მიცუაღებუღისა მონისა ამის შენისასა.**

ნაბრძვილნი სოფლისანი და ტვირთნი ცოდვითანი, აღუსუბუქენ, ქრისტე, ხარწმუნოებით შენდა მიცვალებულთა, რამეთუ შენ გესვიდეს და შენდა მოიცვალნეს, მრავალმოწყაღე.

## **განუსუენე, უფალო, სულსა მიცუაღებუღისა მონისა ამის შენისასა.**

რომელთა დამიარხეს ხარწმუნოებაი შენი და შენდა მოიცვალნეს, საწუთოფსა ბრალნი ხახიერებით შეურდვენ, მეუფო, რამეთუ მიწანი ვართ, ვითარცა უწი.

### **დიდებაჲ—**

ვითარცა რაი ყვაილი, დააჭნო სიყვარული ჩუენი მძღაფრმან სიკუდილმან და კუდად ლოდმან მწარემან შეიცვა, ესრეთ ცულ არს ყოველი სოფლისა ამის შეუებაი და ხიხარული.

### **აწ და—**

ქალწულო დედოფალო, რომელმან გვიშვე ღმერთი დაბადებულთაჲ ხორციოთა, დააცხრევენ დეღვანი განძვინებულნი გულისსიტყვანი ჩემნი და მოეც სულსა ჩემსა სიწმიდე სათნო.

## **კურთხეულარსა. ძლისპირი.**

ყრმათა მათ წმიდათა სახმილი შეაცურია ანგელოზმან მაცხოვრისამან და ქალდეველნი შეწუნა ბრძანებამან ღმრთისამან და მძღაფრსა ასწავა გალობად: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

## **განუსუენე, უფალო, სულსა მიცუაღებუღისა მონისა ამის შენისასა.**

მოვედით გულისხმავყოთ შემდგომად სიკუდილისა უწყალოება სჯულისა და ღმობიერად ვითხოვთ ქრისტეს მხსნელისაგან, განუსუენე მიცვალებულთა სახიერ, რამეთუ მხედმწიფებ და არა სჯულდებულ ხარ.

## **განუსუენე, უფალო, სულსა მიცუაღებუღისა მონისა ამის შენისასა.**

რომელნი იზიარენ ხორცსა და სისხლსა შენსა, მრავალ მოწყაღეო, დიდებისაცა შენისა ზიარყვენ, დაღათუ ვითარცა კაცთა ბრალეულთა შეგცოდეც, არამედ არა განდგეს შენგან.

### **დიდებაჲ—**

ნეშტი ცხორებისა ჩუენისა წინა ძეს განმამბრძნობელად ჩუენდა, ძმანო და მომავალსა წარსულისაგან გულისხმავყოფ, რამეთუ სიკუდილი და საფლავი ყოველსავე უნინო კყოფს და დამხსნის ცხორებასა ჩუენსა.

### **აწ და—**

შეუწერელსა ღმერთსა ვაკურთხევედეთ, მორწმუნენო, ხარწმუნოებით თაყვანისცემდეთ სამებასა ერთარსებასა და ესრეთ უდაღებდეთ: კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო, მამათა ჩუენთაო.

**კურთხეულარსსა ზედა დიაკონმან კურეკსი:** მშვიდობით უფლისა მიმართ ვილაოცოთ.

**მემხრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.



**დაკონმა:** ზეცით გარდამო მშეიდობი-  
სა და ცხორებისათვის სულთა ჩუენთადას  
უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მეხსრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.

**დაკონმა:** მშეიდობისათვის ყოველისა  
სოფლისა, დამტიციებისათვის წმიდათა  
კელესიათა და ყოველთა ერთობისათვის,  
უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მეხსრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.

**დაკონმა:** წმიდისა ამის სახლისათვის  
და რომელნი სარწმუნოებით და შიშითა  
ქრისტესითა შემავალ არიან ამას შინა,  
უფლისა მიმართ ვილოცოთ.

**მეხსრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.

**დაკონმა:** აქა მყოფთა ამითვის და  
ჩუენდა მეგდრებელთა, უფლისა მიმართ  
ვილოცოთ

**მეხსრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.

**დაკონმა:** რათა შეისმინოს და შეწყნ-  
არებულ იქმნას ვედრება ჩუენი წინაშე  
ღმრთისა, და გარდამოგვიღმინოს წყა-  
ღობად და მოწყალებად მიხი ჩუენ ყოველ-  
თა ზედა, და ღირს ვიქმნეთ სასუფეველსა  
ცათასა, უფლისა მიმართ ვილოცოთ

**მეხსრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.

**დაკონმა:** რათა წმინდა ვიქმნეთ  
ცოდებათა ჩუენთაგან, და ეპოთ წყალო-  
ბად და შეწყენად ჯამსა შეწყნარებისასა,  
უფლისა მიმართ ვილოცოთ

**მეხსრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.

**დაკონმა:** ძმისა ჩუენისათვის (სახ-  
ელთ), წყაღობისა და ღხინებისა, საუკუ-  
ნონისა ცხორებისა და განსუენებისათვის,  
უფლისა მიმართ ვილოცოთ

**მეხსრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.

**დაკონმა:** რათა შეენდენეს ყოველნი  
ცოდვანი მისნი, უფლისა მიმართ ვილო-  
ცოთ

**მეხსრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.

**დაკონმა:** ხსნად ჩუენდა ყოველისაგან  
ჭირისა, რისხვისა და იწროებისა, უფლისა  
მიმართ ვილოცოთ

**მეხსრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.

**დაკონმა:** და ყოველთათვის, რომელნი  
ითხოვენ ღმრთისაგან წყაღობასა, უფლისა  
მიმართ ვილოცოთ.

**მეხსრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.

**მღდელმან ლოცვაი ესე:** რამეთუ შენი

არს ნიჭი ესე და ჭეშმარიტად დიდი ესე  
საიდუმლო, მეუფეო, ყოველთა შემოქმედო,  
აწინდელიცა ესე დახსნად შეერთებულისა  
ამის შენთა დაბადებულთადას, და ამის შემ-  
დგომად კუალად შეერთებად, და განსუენე-  
ბად საუკუნოდ. შენ აღგარებ მადლობასა  
ყოველადვე ყოველსა ზედა, შემოსვლასა  
ამას სოფელსა შინა და განსვლასა ამი-  
ერ სოფლით, რომელნი იგი აღდგომისასა  
სასობასა და უხრწნელისა ცხორებისა-  
სა უტყუელთა მათ აღთქუმათა შენთასა  
მოასწავებენ, რომელნი იგი გვიპოვნიანმცა  
მეორედ მოსვლასა მას შენსა, რამეთუ შენ  
ხარ ცხორებისა ჩუენისა წინამძღუარი და  
საქმეთა ჩუენთა თუაღუხეავი მსაჯული,  
და სასყიდლის მიცემისა მეუფე უფადი,  
შეიწყნარენ, მეუფეო, თხოვად და ვედრებად  
ჩუენნი და განუხუენე თითოეულსა მამათა  
და დედათა, შეიღთა, და ძმათა და დათა,  
და სხუათა ყოველთა ნათესავთა და თვის-  
თა და ყოველთა სულთა პირველშესხვენი-  
ულთა სასოებითა აღდგომისა და ცხორე-  
ბასა საუკუნოდსათა, და დააწესენ იგინი  
წილთა აბრაჰამ, ისაკ, და იაკობის თანა,  
სოფელსა მას ცხოველთასა, სასუფეველსა  
ცათასა.

**დაკონმა:** შეგუიწყიენ, გვაცხორენ,  
შეგვიწყაღენ და დაგვიცვენ ჩუენ, ღმერთო  
შენითა მადლითა.

**მეხსრეთა:** უფალო, შეგუიწყაღენ.

**დაკონმა:** ყოველადწმიდისა, უხრწნელი-  
სა, უფროსად კურთხეულისა, დიდებულისა  
დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელი-  
სა და მარადის ქაღწულისა მარიამისა, და  
ყოველთა წმიდათა მომხსენებელთა თაენი  
თეინი, და ურთიერთარს, და ყოველი ცხო-  
რებად ჩუენი ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა  
შევედროთ.

**მეხსრეთა:** შენ უფალო

**მღდელმან ამაღლება:** რამეთუ კურთხ-  
ეულ და დიდებულ არს ყოველდაბრთო-  
სანი და დიდადშუენიერი სახელი შენი  
მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ

და მარადის და უკუნითი უკუნისამდე  
ერმან ამენ.

### **აკურთხევდითსა. ძღვისპირი.**

სახუმილით სამთა ყრმათა ცვარსა ასხურებდი და წყალთაგან დასწუევენ ელიაის კურთხინი, რამეთუ ნებაჲ შენი ქრისტე მსწრაფედ აღასრულეთ შენ გაკურთხევით და აღგამადლებთ უკუნისამდე.

### **განუსუენე, უფალო, სულსა მიცუაღებულისა მონისა ამის შენისასა.**

ცხორებასა განაკუეთს ჭეშმარიტად სიკუდილი და სასჯელად საშინელად წარადგინებს, რამეთუ საშინელ და თუაღუხუაჲ არს მსაჯულ, მას ვევედრნეთ, რათა განუსუენოს მიცვალებულთა.

### **განუსუენე, უფალო, სულსა მიცუაღებულისა მონისა ამის შენისასა.**

დღე იგი დღე არს ტირილისა და გლოვისა და ეამი საცხე სიმწარითა და შიშითა, რაჟამს იგი შიშველნი და ქედდარეკოდნი წარედგეთ, ქრისტე ღმერთო, მოწაღებე ვქმენ შესვენებულთა.

#### **დიდება—**

განუსუენებაჲ მიამადლე ქრისტე მონათა შენთა და ფუფუნებასა სამოთხისასა ღირსყვენ, რომელნი ქუყანასა ზედა სარწმუნოებით გმსახურებდეს და მიეც შენდობაჲ ცოდვათა.

#### **აჲ და—**

სამებასა წმიდასა ღმერთსა ყოველთაჲსა მამასა ძისა თანა სულთ წმიდითურთ სარწმუნოებით მორწმუნენი თაყვანისცემთ და უფროსად აღგამადლებთ მას უკუნისამდე.

### **აღიდებდითსა. ძღვისპირი.**

ღმერთი შეუძლებელი ხილვად კაცთაგან, რომელსა გუნდნი ანგელოზთანი ვერ მიხედვენ, ქალწულო, გამოიუნდა შენ მიერ კაცთა სიტყვაჲ სიბრძოლექმნული, რომელსა ვაკურთხევთ უსიბრძოთა თანა და შენ დღეს გადლობით გადიდებთ.

### **განუსუენე, უფალო, სულსა მიცუაღებულისა მონისა ამის შენისასა.**

ქრისტე ღმერთო, ვითარცა უწეი უძღურებაჲ ბუნებისა ნუენისა, შეუნდვენ მონათა შენთა მიცვალებულთა შეცოდებანი მათნი და სასძლოსა შენისა კარნი განუსუენ მათ და ფუფუნებაჲ საუკუნოჲ მდიდარი დაუმეკვიდრე.

### **განუსუენე, უფალო, სულსა მიცუაღებულისა მონისა ამის შენისასა.**

ჰოდ, ვითარი განკითხვა და მსაჯული მოგველის ძმანო, ეჰა რაბაჲში შიში და ძრწოლა, რომელსა შინა ნიეთნი ესე დადნენ და დაძუელდენ, აწ მოვედით, შეუვრდეთ ქრისტესა და ეხმობდეთ, განუსუენე ყოველად ძლიერო სულთა მორწმუნეთა შენთასა.

#### **დიდება—**

ვითარცა ხარ უფსკრული სახიერებისა, ქრისტე, განუსუენე მიცვალებულთა და დააწესენ რჩეულთა შენთა თანა და ბრალთა და ცოდვათა მათთა ნუ მიხედავ, რათა მარადის იხარებდენ და გადიდებდნენ შენ.

#### **აჲ და—**

ღმობიერად გვედრებით წმიდაო დედ-უფალო, რომელმან გვიშვე ქრისტე მყოფე, სულსა ამას, რომელი მიიცუაღა ზრწნილთა ხორცთაგან, ხელი აღუძგარ და ღმერთსა დააგე ვედრებითა შენითა, და ღირსყავ სასუფეველსა.

### **და მეესყუელად იბაკოა, ხმაჲ დ გვერდი**

წმიდათა თანა განუსუენე, ქრისტე სულსა მონისა შენისასა, სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარებაჲ, არა ურვაჲ, არცა სულთქმაჲ, არამედ სიხარული და ცხორებაჲ იგი დაუსრულებელი.

#### **იკოსი:**

შენ მხოლოჲ ხარ უკუდაგი, ყოვლად-ძლიერო, რომელმან ეგე შექმენ და დაბადე კაცი, ხოლო კაცნი ქვეყანით დაივობადენით, და კუაღად მუნვე ქუყენად

და მიწად მიეგქცევიით ჩუენ, ვითარცა იგი თქუ შემოქმედმან ჩემმან და შიბრძანე, ვითარმედ: „მიწაი ხარ და მიწადვე მიიქცე“, სადა იგი მიეგქცევიით ყოველნი მოკუდავნი, ეინიცი და ფელვისა ჩუენისა გოდებასა ვიგოდებთ და გალობით ვლადებთ და ვიტყუით საღმრთოსა ამას გალობასა: აღუღუაი

**დიდებანი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნიით უკუნისამდე, ამენ.**

შენ ხარ ზღუდე ჩუენი და ნახსაყუდელი, და მეოხი, კეთილად შემწყნარებელი მისსა მიმართ, რომელი შეე შენ ღმრთისმშობელად უსძლო, მორწმუნეთა ცხორებაო.

**განწესებულმან: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდავო შვევიწაღენ ჩუენ (გ გზის).**

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნიით უკუნისამდე, ამენ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შვევიწაღენ ჩუენ, უფალო გვიხსენ და გვოლხინ ცოდვითა ჩუენთაგან, მეუფეო, შვევიწაღენ უსჯულოებანი ჩუენნი, წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძღურებანი ჩუენნი, სახელისა შენისათვის.

**უფალო შვევიწაღენ (გ გზის). დიდება, აწ და.**

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა, პური ჩუენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს და მომიტუვენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა, და ნუ შემოიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსნენ ჩუენ ბოროტისაგან.

**მღვდელმან ამადლებათ: რამეთუ შენი არს სუფევა ძალი და დიდება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნიით უკუნისამდე.**

**მგალობელმან: ამენ**

მიწაღენ ჩუენ, უფალო, შვევიწაღენ ჩუენ, რამეთუ ყოვლისავე ხიტყუის მიცემისაგან უღონო ვართ, გარნა, ამას ვედრუ-

ბასა შენ, მეუფისა სახიერისა, ცოდვილნი ესე შეეხწირავთ. მიწაღენ ჩუენ, უფალო, შვევიწაღენ ჩუენ.

**დიდება—**

უფალო, შვევიწაღენ ჩუენ, რამეთუ შენ გესავთ, ნუ განმირისხდები ჩუენ ფრად და ნუცა მიხსენებ უშუგლოებათა ჩუენთა, არამედ მოიხილე ჩუენზედა წყალობით, ვითარცა სახიერ ხარ, და გვიხსნენ ჩუენ სამართლად რისხუისაგან შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი და ჩუენ ვართ ურნი შენნი, ყოველნივე ქმნულნი ხელთა შენთანი ვართ და სახელი შენი წოდებულ არს ჩუენზედა და შვევიწაღენ ჩუენ.

**აწდა—**

მოწაღებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღმრთისმშობელო, რათა, რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხორებაი ნათესავისა ქრისტიანეთასადა.

**დაიკონმან კურეკსი ესე: შვევიწაღენ ჩუენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, კაცთოყუარე, გვედრებით შენ, ისმინე და შვევიწაღენ ჩუენ.**

**მემსრეთა: უფალო შვევიწაღენ გ გზის**

**დაიკონმან: მერმეცა გვედრებით ღმრთივდაცულისა ერისა ჩუენისა და მეუფებისა მისისათვის.**

**მემსრეთა: უფალო შვევიწაღენ გ გზის**

**დაიკონმან: მერმეცა გვედრებით უწმიდისისა და უნეტარებისა, ყოვლისა საქართველოისა კათოლიკოს-პატრიარქისა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტისა, დიდისა მეუფისა, მამისა ჩუენისა [აქა მოიხსენოს მღვდელთმობღუარი იგი, რომლისა სამწყობსაგანცა იყოს] და ყოველთა მიერ ძმათა ჩუენთათვის.**

**მემსრეთა: უფალო შვევიწაღენ გ გზის**

**დაიკონმან: მოხსენებისათვის და განსუენებისა პირველდაძინებულთა მამათა და ნათესავთა და ძმათა ჩუენთა, რომელნი წმიდასა ამას გკლესიასა შემოვედრებულ**

არიან, ეთქუათ ყოველთა ვედრებით.

**მემხრეთა:** უფალო შეგვიწყალებენ **გ გვის**

**დააკონმან:** მარადის მოხსენიებულისა მონისა ღმრთისა [სახელით] ღმრთისა და განსუენებისა და ნეტარებისა და ხსენებისა მისისათვის, რაითა შეენდვენეს ყოველნი ცოდვანი მისნი ნებისთინი და უნებღიეთნი, და ღირსყოს უფალმან სასუფეველსა ცათასა, ეთქუათ ყოველთა ვედრებით.

**მემხრეთა:** უფალო შეგვიწყალებენ **გ გვის**

**მღვდელმან ამადლება:** რამეთუ მოწყალებ და კაცთმოყუარე ღმერთი ხარ შენ, ღმერთ ჩუენო და შენდა დიდებასა შეესწირაეთ მამისა და ძისა და წმიდისა ხულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე

**ერმან:** ამენ

**მღვდელმან:** მშუიდიობა ყოველთა

**ერმან:** სულისა შენისა თანა

**დააკონმან:** თაენი ჩუენნი უფალსა მოუდრიკნეთ

**ერმან:** შენ უფალო

**მღვდელმან ღოცება ესე:** უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან მოდრიკენ ცანი და გარდამოხედ ცხორებად კაცთა ნათესაისა, მოჰხედენ მონათა შენთა, რამეთუ შენდა კაცთმოყუარისა მსაჯულისა მოუდრიკნიან თაენი, და ქედნი მათნი დაუმდაბლებიან, და შენსა ეძებენ წყალობასა და შენმიერსა ითხოვენ ცხორებასა, რაითა დაიცუნე, გამსა ამას, მწუხარსა ამას და დამესა მოწყენულსა, ყოელისაგან საქმისა წინააღმდეგომისა, გულისსიტყუათაგან ამითა და მოისხუნე პირველდაძინებულნი მამანი და ძმანი ჩუენნი, და სული მონისა შენისა **[სახელით]** სავანეთა მართალთასა, წიადთა შინა აბრაამ მამათმთავრისასა დაამკვიდრე და ჩუენცა აღსასრული ქრისტიანობით და უცოდველად ინებე, ყოველთა საქმითა და სიტყუითა კეთილითა.

**მღვდელმან ამადლება:** მადლითა და წყალობითა და კაცთმოყუარებითა მხოლოდ შობილისა ძისა შენისადათა, რომ-

ღისათანა კურთხეულ ხარ, ყოველადწმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე

**ერმან:** ამენ

**ამისა შემდგომად დადგან საცეცხური საშუალ გკლესიისა-ყოველნი მოვიდოდენ თ-ორი და მოიდრეკდენ მუხლსა გ გვის მიცვალებულისათვის, და საკუმეველსა დაასხმიდენ, და მოიდონ შესანდობელი ველოგაი.**

**ხოლო ოდეს განასრულონ თქუას დააკონმან:** მშუიდიობით წარვიდეთ.

**ერმან:** სახელითა უფლისაითა, უფალო, გვაკურთხენ

**მღვდელმან ღოცება:** ღმერთო მიწყალებენ ჩუენ და მაკურთხენ ჩუენ, გამოაძინე პირი შენი ჩუენზედა და ზეცისა სასუფეველსა ღირსმყოფენ ჩუენ.

**ერმან:** ამენ.

**მღვდელმან:** დიდებაი შენდა, ქრისტე ღმერთო, ჩუენო, დიდებაი შენდა სასოო ჩუენ ყოველთაო.

**ერმან:** დიდებაი მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ. უფალო, შეგვიწყალებენ, უფალო, შეგვიწყალებენ, უფალო, შეგვიწყალებენ, მუუფო, გვაკურთხენ.

**მღვდელმან ვჯარი დასახოს ერსა და თქუას:**

ჩუენთან არს ქრისტე ღმერთი ჩუენი, ყოველადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

**ერმან:** ამენ.

**და წარვიდენ კაცად-კაცადი სახედ თუისად.**

## წმილა მეფე ვახტანგ გორგასალი

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,  
ციდან ჩამოესმა რუკა,  
იაღბუზზე ფუხი შედგა,  
დიდმა მოთბა იწვეს დრეკა.“  
ხალხური

მე, მეფეო, მადლი ღმერთსა –  
შენდა მომავლინებულსა,  
„იაღბუზის გამირსა“, მხნესა,  
ტფილის დამაარსებელსა –  
სამების მადიდებულსა,  
ტაძართა აღმშენებულსა.

ივერიის ხელმწიფესა,  
მირდატ და საგდუხტის ძესა,  
სახით უშეენიერესსა,  
საროსაო, ტანით ბრგესა –  
ნებროთევებრ უძღვეულსა,  
მართლმადიდებლობის მცველსა.

კაი ყმასა, აშირბარსა,  
ქრისტეს უებრო მხედარსა,  
„ვითა ღლომიო კანჯარსა“,  
ესრეთ სრვიდა მტრისა სპასა –  
მინდობილსა ღვთისა ძაღსა,  
მძღვეულსა გოლიათასა.

მეფესა გვირგვინოსანსა,  
ტომითა ხოსროიანსა,  
ბრძენსა, ქველსა, ყრმა-მხცოვანსა,  
ჯომარდსა, ღლომეულოვანსა –  
ოქრომუხარადიანსა,  
„მგელ-ღომ“ გამოსახულთასა.

შეკურვილსა ბედაურსა  
აღიღებდა მხართა ზედა,  
მცხეთიდგანო აღვიდოდა,  
არმაზისა ციხეზედა –  
ფერხით ირემს ეწყოდა,  
რქითაიო შეიპყრობდა.

ქრისტესათვისა იწამა,  
დიდი მეფე-სარდალია,  
ომებში უძღვეულია,  
ქართველთა გორგასალია.  
მოუპოვა ეკლესიას  
სრული ავტოკეფალია.

მეფეთ-მეფეს, გამირთა-გამირსა,  
მდაბალსაო, ღვთისმოშიშსა,  
ვინმეო მონაყოფილმა  
ლახვარი სცა დაღატითა.  
უჯარმასა ადგესრულა  
წმიდა ვახტანგ გორგასალი,  
„ღომი იგი ღლომთაიო,  
გოლიათ-გოლიათთაი...“  
დაკრძალესო მცხეთასაო,  
სვეტიცხოვლის ტაძარსაო,  
სად მეფეთა სამარხოა,  
დიდთა ბაგრატიოვანთაო.  
გარდაცვალების წინაო,  
მეფე-მთაფარსარდალმაო,  
თავის შთამომავალთაო,  
ანდერძად დაუბარაო:  
მივიღეარ ჩემ ღმერთთანაო,  
ვმადლობ მისსა სახელსაო,  
გამცნებთაო ყოველთაო,  
მტკიცედ დექით რწმენასაო,  
უძიებლით სიკვიდისაო  
ქრისტეს სახელისთვისაო,  
„რათა წარუვალიაო  
დიდება მოიგოთაო.“



## იღუმენიოვის 25 წლისთავი



13 ივლისს, სვეტიცხოვლობას, სამთავროს დედათა მონასტერში საზეიმოდ აღინიშნა მონასტრის წინამძღვრის, დედა ქეთევანის, იღუმენიად კურთხევის 25 წლისთავი.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, წირვა აღასრულა მონასტრის მღვდელმსახურმა, დეკანოზმა მირიანმა (აღიბე-გაშვილი). წირვის შემდეგ მამა მირიანმა იღუმენია ქეთევანისათვის პარაკლისი გადაიხადა ღირსი მამა გაბრიელის, აღმსარებელისა და საღვთის, ღუსკუმასთან. ღოცვის შემდეგ მონასტრის დედეები, სხვადასხვა დედათა მონასტრებიდან სტუმრად მოსული წინამძღვრები და იღუმენიები საზეიმო ტრაპეზს დაესწრნენ.

მოგვიანებით იღუმენია ქეთევანი, მონასტრის დედეები და სტუმრები საპატრიარქოში, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მიერ აღვლენილ საღამოს ღოცვას დაესწრნენ.



იღუმენია ქეთევანი სხვადასხვა მონასტრის წინამძღვრებთან და იღუმენიებთან ერთად

### სქემილუმენია იონანა (სიხარულიძე + 1939-2015)

9 აგვისტოს, სქემილუმენია იონანას გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად, სამთაეროს დედათა მონასტერში წირვა აღავლინა და პანაშეიდი გადაიხადა გარდაცვლილის ვაჟმა, დეკანოზმა რევაზ სიხარულიძემ.

დედა იონანა დაიბადა 1939 წლის 13 თებერვალს. მისი ოჯახი, საბჭოური გარემოსათვის გამორჩეულ, ეკლესიურ ცხოვრებას ეწეოდა. ერობაში მას პეყედა მეუღლე და ექვსი შვილი. ორმოცი წლის მანძილზე იგი ღირსი მამა გაბრიელის სულიერი შვილი და შეგობარი იყო და მოძღვარს არ განეშორებოდა. თავის მოგონებებში წერს: „რომელ ეკლესიაშიც წავიდოდა მამა გაბრიელი, მრეველიც თან მიეყუებოდით: ორშაბათს დიდუბის ტაძარში დადიოდა, სამშაბათს – სამებაში, ოთხშაბათს – ქაშუეთში, ხუთშაბათს – მთაწმინდაზე, მამა დაეთის ეკლესიაში, პარასკევს – წმიდა აღექსანდრე ნეველის ეკლესიაში, ხოლო შაბათ-კვირას – სიონის საკათედრო ტაძარში.“



1985 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, დედა იონანა სამთაეროს დედათა მონასტერში მორჩილად გაწესდა, ხოლო 1991 წელს მონაზვნად აღიკვეცა და სახელად ეწოდა ნანა. ამავე წელს, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ღლოცვა-კურთხევით, სვეტიცხოვლის ტაძარში, იგი იღუმენიას ხარისხში აღამაღლეს და დაადგინეს ბოდბის წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვრად. დედა ნანას ღვაწლით, მონასტერს დაუბრუნდა კუთვნილი, ისტორიული შენობა, სადაც განთავსებული იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

1997 წელს იღუმენია ნანა აკურთხეს დიდ სქემასში და სახელად ეწოდა იონანა.

სქემილუმენია იონანა გარდაიცვალა 2015 წლის 9 აგვისტოს და უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ღლოცვა-კურთხევით, დაკრძალულია სამთაეროს დედათა მონასტერში.

## აღკვეთები

ამა წლის 19 მარტს სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ღოცვა-კურთხევით, მონასტრის სულიერმა მოძღვარმა, არქიმანდრიტმა ღაზარემ (გაგნიძე) მონოზვნებად აღკვეცა შორხილები: მაკრინე (ეფრემიძე) – სახელად ეწოდა მარიამი, დოსითეა (მარგველანი) – ეწოდა ათანასია, ელენე (მერაბიშვილი) – ეწოდა დარია, ხატია (აღუაიძე) – ეწოდა მარინე, ნათია (ახობაძე) – ეწოდა ირინე, ეთერი (მაიხურაძე) – ეწოდა ქსენია.





მონთჯენის ალექსა  
კ ი თ ხ ე ა - მ ი ტ ე ბ ა

უკეთო მისრულხან წინაშე ღუთისა, ტკიბუე ხამუქდით  
და მთბე მუენ ყოვლითა კრძალულებითა:

კითხუა: რახათუის მისრულხან, ძმაო, შეუზღოთი, წმინდას  
ამას მსხვერმლის შეწირუბა და წმინდათა მათ კრებულთა?

მიტება: მსებაჲს განმირება ხელთახანს, ბაქთისანო ძმაო.

კითხუა: ნებათა შენია ღონს იქმნება ანგულობებოეუა ამას ხახესა  
და წესსა გუნდოა მონთჯენთასა?

მიტება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაქთისანო ძმაო.

წინამძღუარმან: ხელთ ზეკას აღტოზსკეის კეთილი და ხანატრული ესე  
საქმეო, უკეთო გნებაჲს განსრულებაჲს კეთილისა საქმისა,  
შრომიოა, რუღუნებთა და ტყიუდითა განსრულდების.

კითხუა: ნებისთ გონებია შენია მოხუალა წინაშე უფლისა?

მიტება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაქთისანო ძმაო.

კითხუა: დარკაჲ ქაღწულებას შენსა ყოვლითა გონებთა და ხახობითა?

მიტება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაქთისანო ძმაო.

კითხუა: ცხოვრებასა შინა შენსა ვიდრე სიკვდილდე ბეთუა  
მონწილეებას უფლისისასა, და ყოველთა ქრისტიეს ძიურ ძმათასა?

მიტება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაქთისანო ძმაო.

კითხუა: დათქენა ყოველსა ძეარისხელესა, აწროებასა, ბოროტთა  
ძიურ აღძრულსა მხაკუალებასა, ხასუფეკელასათუეს ცაისასა?

მიტება: ბე, ღუთისა ძალითა, ბაქთისანო ძმაო.